პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—20.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმომწერთ ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- — კელოგის ხელშეკრულების ტექსტი.
- — რუს ემიგრანტების გაძევება ვილნოდან.
- — უკრაინელ ახალგაზრდათა თათბირის მონაწილეების დაპატიმრება ლვოვში.
- — შეწყდა პოლიტპატიმართა სიმშილობა პოლონეთის ციხე „პავიაკ“-ში.
- — აფეთქება დადილოვის (რუმინეთი) სამხედრო ბანაკში.
- — მაქსიმ გორკის ავადმყოფობა.
- — მესამე საგლეხო სესხის მოგებათა ტირაჟი დანიშნულია 9—10 სექტემბრისათვის.

კვირა, 2 სექტემბერი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 204 (2247)

კომუნისტი

მიიღება ხელის მოწერა სექტემბრისათვის

დღეს, 2 სექტემბერს, კანტორა ღია იქნება დილის 9 საათიდან--ნაშუადღევის 3 საათამდე

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

კელოგის ხელშეკრულება და საბჭოთა კავშირი

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის თანაშემწეობის დროებითი აღმასრულებლის ამხ. ლიტვინოვის ნოტით, რომელიც გადაეცა საფრანგეთის ელჩს მოსკოვში ერბეტს, საბჭოთა კავშირის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი უერთდება 27 აგვისტოს პარიზში დადებულ ეგრედ წოდებულ კელოგის ხელშეკრულებას, რომელიც კანონს გარეშე აცხადებს ომს.

დაწყებული იმ მომენტიდან, როცა მომავალი ხელშეკრულობის ზოგადი შინაარსი ნათელი გახდა, საბჭოთა პრესა კრიტიკულად უყურებდა იმ მეთოდს, რომლის მეოხებითაც ხელშეკრულების ინიციატორებმა ომი გამოუცხადეს ომს. როგორც ჩვენი პრესა, ისე საბჭოთა დელეგაცია განიარაღების მოსამზადებელ კომისიაში იურიდიული აკრძალვის ამ მეთოდს სამართლიანად ახასიათებდა, როგორც აშკარად არასაკმაო და არა ეფექტიურ მეთოდს. ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებდით, რომ ომის არავითარ იურიდიულ აკრძალვას არ შეუძლია აგვაშოროს ომის კატაკლიზმი, რამდენადაც ამ აკრძალვას თან არ სდევს ულეტის ფიზიკური იარაღის მოსპობა ან მისი მნიშვნელოვნად შემცირება, აგრეთვე ამ იარაღის გამომყენებელი მუდმივი არმიების დაშლა. ჩვენ ვაცხადებდით, რომ ომის ამკრძალავი იურიდიული ნორმა არის არა პირველადი, არამედ მეორედი აქტი კაცობრიობის განმანადგურებელი ომის წინაამდეგ ბრძოლის საქმეში. სწორედ ამ თვალსაზრისზე იდგა საბჭოთა მთავრობა და მისი დელეგაცია ჟენევაში და მუდამ გადაჭრით მოითხოვდა განიარაღებისაკენ მიმართული ზომების განხილვასა და განხორციელებას.

კელოგის ხელშეკრულების ინიციატორებმა საჭიროდ არ სცნეს ამ გზით წასვლა. ისინი სისტემატიურად საბოტაჟს უცხადებდნენ ყოველგვარ განიარაღებას. მაგრამ მშრომელთა ფართო მასების ზეგავლენით, რომლებსაც გულწრფელად სურთ ხანგრძლივი მშვიდობიანობის უზრუნველყოფა, ისინი იძულებულნი გახდნენ გამოენახათ რაიმე მოჩვენებითი ზომა. და აი, მათ მიერ გამონახული ზომა არის ომის ამკრძალავი იურიდიული ნორმების დაწესება. კაპიტალისტური სახელმწიფოებისათვის, რომლებიც განუწყვეტლივ განაგრძობენ შეიარაღებას, კელოგის ხელშეკრულება უფრო ხელსაყრელი გამოდგა, ვიდრე თანმიმდევრობითი განიარაღების გზა. ომის უარყოფის ხელშეკრულების დადება ქმნის იმის ილიუზიას, თითქოს რამე გაკეთდა მშვიდობიანობისათვის ბრძოლის საქმეში. პრესაში გაფთრებული პროპაგანდის საშუალებით ქმნიან ისეთ ატმოსფერას, რომელიც საშუალებას მისცემს მათ რამდენიმე ხნით გადასდონ არა მარტო რაიმე განიარაღების განხორციელება, არამედ თვით ლაპარაკიც კი მის შესახებ. აქედან სავსებით ცხადია, რომ კელოგის ხელშეკრულების გზა არ არის ის გზა, რომელსაც საბჭოთა კავშირი სწორ გზად სცნობს მშვიდობიანობისათვის ბრძოლის საქმეში.

ხელშეკრულების ტექსტი შეიცავს ვალდებულებას მის მონაწილეთათვის, რომ უარჰყონ ომი, როგორც „ეროვნული პოლიტიკის იარაღი“. ამ ვალდებულებას რომ არ ხლდეს თან არავითარი შენიშვნა და შეზღუდვა, მაშინ ხელშეკრულების იურიდიული ეფექტი ბოლომდე იქნებოდა ამოწურული. როგორც ცნობილია, ხელშეკრულების ინიციატორები ყოველგვარი საშუალებით ეცადნენ, შეზღუდვით და დასუსტებით ომის ამკრძალავი ნორმებს ისედაც სუსტი მოქმედების ძალა. თუმცა საფრანგეთის და ინგლისის შენიშვნები არ შეუტანიათ თვით ხელშეკრულების ტექსტში, მაგრამ შენიშვნებში ჩამოყალიბებულია ის, თუ როგორ ესმით ხელშეკრულების მთავარ მონაწილეებს თავიანთი ვალდებულებანი დანარჩენი სახელმწიფოების მიმართ. ჩვენმა პრესამ არა ერთხელ მოიყვანა ციტატები ამ შენიშვნებიდან, რომლებიც ზღუდავენ ომის აკრძალვის მოქმედებას. ცნობილია, რომ საფრანგეთმა, როცა იგი ხელს აწერდა ომის ამკრძალავ აქტს, განაცხადა, რომ ეს აკრძალვა, მისი აზრით, არ შეიხება თავდაცვითი ომს და აგრეთვე ყველა იმ საომარ მოქმედებას, რომლებიც გამომდინარეობენ ერთა ლიგის სტატუტისა, ლოკარნოს ხელშეკრულებისა და, ბოლოს, საფრანგეთისა და სხვა სახელმწიფოების შორის არსებული ხელშეკრულებებიდან. საკმაოა შევჩერდეთ მხოლოდ პირველ შენიშვნაზე რომელიც, შეიტანეს მხოლოდ იმისათვის, რომ გამოეყვანათ ისეთი დასკვნა, თითქოს 1914—1918 წლების ომი, საფრანგეთის თეორიის თვალსაზრისით, კელოგის ხელშეკრულებას შეეფერება. ცნობილია, რომ იმპერიალისტების აზრით, 1914—1918 წლების ომში არ იყვნენ თავდამსხმელნი, იყვნენ მხოლოდ თავდამცველნი. ამჟამად უფრო მეტად ძნელია, ვიდრე ოდესმე, მოვნახოთ ის განსაკუთრებული ნიშნები რომლებიც ახასიათებენ თავდასხმითი ან თავდაცვითი ომს. რაც შეიხება საფრანგეთის სხვა შენიშვნებს, ეს შენიშვნები სავსებით აბათილებენ ვალდებულებას, ომის, როგორც ეროვნული პოლიტიკის იარაღის, უარყოფის შესახებ.

არა ნაკლებ არსებითი შენიშვნები შეიტანა კელოგის ხელშეკრულებაში დიდმა ბრიტანეთმა. ამ შენიშვნების სათავეში ბრიტანეთის მთავრობის დეკლარაცია, რომლის ძალითაც ის იტოვებს მოქმედების თავისუფლებას დედამიწის მთელი რიგი ადგილებისათვის, რომლებიც სპეციალურად არც კი არიან აღნიშნულნი ინგლისის ნოტაში. თუ ინგლისის მთავრობა სცნობს, რომ ამ ადგილებში შეიხება მის ინტერესებს, მას, მისი განცხადების თანახმად, შეუძლია იმოქმედოს როგორც სურს—შეუძლია არა მარტო დაიცვას თავი არამედ თავს დაესხას ყველას იმას, ვინც ხელს ხლება მის ინტერესებს. ამ შენიშვნას ყოველ წუთში შეუძლია უმნიშვნელო ფრაზად გადააქციოს ის ვალდებულებანი, რომლებიც დიდმა ბრიტანეთმა იკისრა კელოგის ხელშეკრულების ძალით.

ზემოთ ვსთქვით, რომ შენიშვნები, რომლებიც ხელშეკრულებაში შეიტანეს, წარმოადგენენ იმ ვალდებულებათა ინტერპრეტაციას, რომლებიც იკისრეს ამ შენიშვნების ავტორებმა. თვით ხელშეკრულების ტექსტის ძალით ეს შენიშვნები სავალდებულო არ არის ხელშეკრულების სხვა მონაწილეთათვის. მაგრამ თავის-თავად ცხადია, რომ რამდენადაც ხელშეკრულების ესა თუ ის მონაწილე ზღუდავს თავის ვალდებულებებს სხვა მონაწილეთა მიმართ, ეს უკანასკნელნიც შეზღუდულად განმარტავენ თავიანთ მოვალეობებს. რამდენადაც, მაგალითად, დიდი ბრიტანეთი მოქმედების თავისუფლებას იტოვებს დედამიწის მთელ რიგ ადგილებში, საკვირველი არ იქნება, თუ ხელშეკრულების სხვა მონაწილენიც თავიანთ ვალდებულებათა განმარტების დროს დაადგებიან იმავე გზას, რომელ გზასაც დაადგა ინგლისი. ამგვარი განმარტების შემდეგ, როგორც სავსებით სისწორით აღნიშნავს საბჭოთა მთავრობის ნოტა, დედამიწის ზურგზე არ რჩება „არც ერთი ისეთი ადგილი, რომლის მიმართაც არ შეიძლებოდეს ხელშეკრულების გამოყენება“.

მეტად დამახასიათებელია ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის—პოლონეთის საქციელი. პოლონეთის მთავრობამ, როგორც ცნობილია, არავითარი შენიშვნა არ შეიტანა ხელშეკრულების ვალდებულებათა მუხლში. თვით ხელშეკრულებაში, როგორც ზემოდ აღნიშნეთ, არის მუხლი შეტევითი ომის უარყოფის შესახებ. მაგრამ როცა პოლონეთის მთავრობას მიეცეით წინადადება, დაედო ხელშეკრულება ურთიერთ თავდასხმის უარყოფის შესახებ, პოლონეთის მთავრობამ ეს წინადადება არ მიიღო, რაც დაასაბუთა იმით, რომ თავდასხმის აუცილებლად უარყოფა ეწინააღმდეგება მის ვალდებულებებს ერთა ლიგის სტატუტის მიმართ. ეხლა პოლონეთის მთავრობამ შესაძლოდ არ სცნო აღენიშნა თავისი ვალდებულებანი ერთა ლიგის მიმართ. ეს გარემოება ნათლად ახასიათებს პოლონეთის „გულწრფელობას“ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებაში.

ჩვენი მოსაზრებანი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებათა ხასიათის საკითხზე, სამწუხაროდ, არ მიიღეს მხედველობაში ხელშეკრულების ინიციატორებმა, რომლებმაც ანგარიში არ გაუწიეს საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ გამოთქმულ სურვილს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა მზად არის მიიღოს მონაწილეობა 27 აგვისტოს დადებული ხელშეკრულების თვით ტექსტის შემუშავებაში. საბჭოთა კავშირის მთავრობას არ შეუძლია იკისროს რაიმე პასუხისმგებლობა სწორედ იმიტომ, რომ ამ ხელშეკრულების ტექსტი არ არის საკმაოდ ნათლად გარკვეული და კატეგორიულად ჩამოყალიბებული.

ეს ტექსტი ჩვენ გადმოგვცეს უკვე დამზადებული და დამთავრებული, ჩვენ არ გვქონდა საშუალება შეგვეცვალა იგი. მიუხედავად ამისა, თავის-თავად ცხადია, რომ ჩვენ არ შეგვეძლო და არ შეგვეძლია ხელი ავიღოთ იმ უფლებაზე, რომელიც მიენიჭა ხელშეკრულების ყველა მონაწილეს და რომელიც ხელშეკრულების მონაწილეთა თანასწორუფლებიანობისა და სუვერენობის ძალით გვეკუთვნის ჩვენც. მაგრამ სარგებლობდა რა ამ უფლებით საბჭოთა კავშირის მთავრობა არ წავიდა იმ გზით, რომლითაც წავიდნენ საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობები. საბჭოთა მთავრობის მიერ შედგენილი შენიშვნები არა მარტო ამცირებენ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, არამედ, პირიქით, ყოველმხრივ აფართოვებენ. ამგვარად, ეხლანდელი ხელშეკრულების იდეა საბჭოთა შენიშვნების მეოხებით მნიშვნელოვნად ფართოვდება და ვითარდება.

ნამდვილი თვალთმაქცობა იქნება აკრძალოს ომი—ამ სიტყვის მტკიცე ფორმალური მნიშვნელობით—და ამავე დროს ხელშეკრულების დარღვევად არ ჩასთვალოს ფაქტიური ომი, თუნდაც იგი არ აკმაყოფილებს ყველა იმ პირობას, რომელიც საერთაშორისო სამართლის სახელმძღვანელოებშია აღნიშნული.

შეგვიძლია აუარებელი მაგალითი მოვიყვანოთ უკანასკნელი ხანის ისტორიიდან, როცა ნამდვილ საომარ მოქმედებას, რომელსაც თან სდევდა ომის ყველა საშინელება, ფორმალურად ომს არ უწოდებდნენ. საკმაოა გავიხსენოთ, რომ ის სახელმწიფოები, რომლებიც 1918—1920 წლების განმავლობაში ახორციელებდნენ ინტერვენციას საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, ომი არ გამოუცხადებიათ ამ უკანასკნელისათვის.

ცნობილია, რომ ბრძოლა თურქეთის ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ 1920—22 წლებში დიდი ბრიტანეთის მთავრობა აწარმოებდა ისე, რომ მას ფორმალურად არ გამოუცხადებია ომი. ჩინეთში იმპერიალისტური ბრძოლის მთელი ისტორია, რომელსაც თან სდევდა ყუმბარების დაშენა ნავთსადგურებისათვის, უცხოეთის ჯარების გადასხმა და აშკარა ბრძოლა ჩინეთის ტერიტორიაზე, ოფიციალურად არასოდეს არ უწოდებდნენ ომს. ჩვენ კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეგვეძლო, მაგრამ აღნიშნულ მაგალითებიც საკმაოა იმისათვის, რომ კელოგის ხელშეკრულების ვალდებულებანი ომის (ამ სიტყვის მტკიცე ფორმალური მნიშვნელობით) მიმართ ვსცნოთ არასაკმაოდ.

კელოგის ხელშეკრულების მონაწილენი, აცხადებენ რა უარს ომზე, კისრულობენ—მათ შორის წარმოშობილი კონფლიქტები გადასწყვიტონ მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით. საბჭოთა მთავრობის ნოტა სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ სავალდებულო და ბუნებრივი წინასწარი პირობა კონფლიქტების მშვიდობიანი საშუალებით გადაწყვეტისათვის არის ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის არსებობა სახელმწიფოებს შორის. აი, ამიტომ ის სახელმწიფო, რომელიც უარს აცხადებს სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაზე ან სწყვეტს მასთან არსებულ ურთიერთობას, სწორედ ამით არ ასრულებს თავის ვალდებულებას კონფლიქტების მშვიდობიანი საშუალებით გადაწყვეტის შესახებ. სავსებით ბუნებრივია, რომ დიპლომატიური ურთიერთობის უქონლობა ან შეწყვეტა გამოიწვევს ყველაფერს, რაც გნებავთ, მხოლოდ არა იმას, რომ კონფლიქტები მშვიდობიანი საშუალებით იქნას მოგვარებული. სრული თვალთმაქცობაა ასეთი ვალდებულება, როცა უარჰყოფენ ამ ვალდებულების ძირითად წინასწარ პირობას.

სავსებით გასაგებია, რომ საბჭოთა კავშირს არ შეუძლია ლოღიკურად და დასაშვებად სცნოს იმის უარყოფა მაშინ, როცა ომის გამოყენება ნებადართულია ერთა ლიგის ხელშეკრულებიდან და ლოკარნოს შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებათა მიხედვით, იმის გამო, რომ მოხდება ერთა ლიგის წესდების ამა თუ იმ პარაგრაფის თანახმად, ომის საშინელება კაცობრიობისათვის არ იქნება ნაკლები, ვიდრე ყოველ სხვა შემთხვევაში.

ასეთია საბჭოთა შენიშვნები, რომლებიც კი არა ზღუდავენ, არამედ აფართოვებენ ხელშეკრულების მოქმედებას.

როცა ამ შენიშვნებს ვაკეთებთ, ჩვენ ამით განვმარტავთ, თუ როგორ გვესმის ხელშეკრულების დადგენილება, ამასთანავე მოუწოდებთ ხელშეკრულების დანარჩენ მონაწილეთ —სწორედ ასე გაიგონ ეს დადგენილება.

ჩვენ ვაშკარავებთ ხელშეკრულების ნაკლოვანებებს და დეფექტებს, აღვნიშნავთ მის დადებულების მოჩვენებით ხასიათს, შინაგან წინააღმდეგობას, რომლებიც არა თუ გულისხმობენ ვალდებულებებს განიარაღების დარგში, არამედ სავსებით არ ეხებიან ამ საკითხს, მაგრამ მაინც ვაცხადებთ, რომ უერთდებით ხელშეკრულებას. ის სავსებით და მთლიანად გამომდინარეობს საბჭოთა კავშირის მთავრობის ყველა წინანდელი დადგენილებიდან, რომლებშიაც იგი ყოველთვის აცხადებდა, რომ მზად არის ისარგებლოს ყოველგვარი საშუალებით რომელსაც შეუძლია ოდნავ მაინც შეუწყოს ხელი მშვიდობიანობის საქმეს. ჩვენ ვაცხადებდით და ვაცხადებთ, რომ თვით ხელშეკრულებას, როგორც ასეთს, არ შეუძლია მშვიდობიანობისა და მისი უზრუნველყოფის საქმის მოახლოება, ვინაიდან ადგილი აქვს შეიარაღების არაჩვეულებრივ ზრდას და როცა არსებობს ხელშეკრულების მონაწილეთა მიერ შეტანილი შემზღუდავი შენიშვნები, ცარიელ ფრაზებად დარჩება ხელშეკრულების ვალდებულებანი. მაგრამ კელოგის ხელშეკრულება, რომელიც ჩვენ- [illegible] თვის, არ არის თვითმიზანი და არ ჩრდილავს ჩვენს თვალში ძირითად ბრძოლას განიარაღებისათვის,—ეს ხელშეკრულება შეიძლება გადაიქცეს და უნდა გადაიქცეს კიდეც გამოსავალ წერტილად იმისათვის, რომ საბჭოთა მთავრობამ შემდგომი ბრძოლა აწარმოოს მილიტარიზმის საწინააღმდეგო ერთად-ერთი ეფექტიური საშუალების განსამტკიცებლად.

ჩვენ კელოგის ხელშეკრულებას უყურებთ არა როგორც მიზანს, არამედ როგორც საშუალებას.

მთელი მსოფლიოს წინაშე ჩვენ დავსვით საკითხი, რომელმაც უნდა აიძულოს კელოგის ხელშეკრულების მონაწილენი ან დათანხმდნენ რაიმე განიარაღების განხორციელებას, ან გამოაშკარავონ თავიანთი ნამდვილი ზრახვები და მიზნები.

ჩვენთვის კელოგის ხელშეკრულება იქნება არა დაბრკოლება განიარაღებისათვის შემდგომ ბრძოლაში, არამედ პირიქით, ეს იქნება ამ ბრძოლის გაძლიერების და გაფართოების საშუალება.

განიარაღებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებთ მშრომელთა ფართო მასებს და განუწყვეტლივ განვიმეორებთ, რომ მხოლოდ განიარაღებას შეუძლია რეალური შინაარსი მისცეს ომის უარყოფას.

„იზვესტია“, 1 სექტემბერი.

ნანკინის მთავრობის დეკლარაცია იაპონიასთან დამოკიდებულების შესახებ

ნანკინი სასურველად სცნობს სამხედრო ბლოკის დადებას იაპონიასთან

განხეთქილება გომინდანში.--მოსალოდნელია სამხედრო შეტაკება ცალკე ჯგუფებს შორის

მდგომარეობა ჩინეთში

განხეთქილება გომინდანში

შანხაი, 31 აგვისტო. პოლიტიკური მდგომარეობა წინანდებურად გამოურკვეველია. ეს ჰბადებს მრავალგვარ ხმებს და საშუალებას აძლევს იაპონიისა და ინგლისის წყაროებს გაავრცელონ ცნობები სერიოზული განხეთქილების შესახებ ნაციონალისტების რიგებში. იაპონიისა და ინგლისის წრეები ამტკიცებენ, რომ ამ განხეთქილებას შეიძლება შეიარაღებული შეტაკებაც მოჰყვეს.

ჩინეთის ადგილობრივ წრეებში უარჰყოფენ ამ ხმებს, მაგრამ არც იმდენად დამარწმუნებელი ფორმით. ჩან-კაი-ში განაგრძობს შანხაიში ყოფნას, თუმცა, ჩინეთის პრესის ცნობით, მას განზრახული ჰქონდა ნანკინში დაბრუნება ამ ხმების მოსასპობად, რადგან ამ ხმებს მთავარ საბაბს წარმოადგენს მისი ხანგრძლივი ყოფნა შანხაიში.

პოლიტიკურ წრეებში დიდ ინტერესს იწვევს ხუ-ხან-მინის მომავალი ჩამოსვლა შანხაიში. ზოგ წრეებში ფიქრობენ, რომ ხუ-ხანმი გამოგზავნილია შუამავლად გუანსიელებსა და ჩან-კაი-შის შორის, და რომ იგი შეაძლებს გომინდანის მთლიანობის აღდგენას. გომინდანის ცეკას უკანასკნელი პლენუმის შედეგების შესახებაც სხვადასხვა ხმა დადის ნანკინში. საერთო აზრით, ხუბეისა და ცზიანსის ჯგუფები უფრო მჭიდრო კავშირს დაიჭერენ გუანსიელებთან, რის შემდეგაც ძალიან შეირყევა ნანკინის მთავრობის ხელისუფლების მდგომარეობა. ფინ-იუი-სიანის პოზიცია ახალ მოსალოდნელი კომბინაციების მიმართ გაურკვეველი რჩება. ამ უკანასკნელ დროს ზის მდგომარეობა. ფინ-იუი-სიანის პოზიცია ირყევა, მაგრამ მისი მოულოდნელი წასვლა ნანკინიდან ჰბადებს ეჭვს და სხვადასხვა ხმებს. (ადს).

იაპონია მხარს უჭერს ჩჟან-ცზუნ-ჩანს

შანხაი, 31 აგვისტო. ადგილობრივი ამერიკელ ჟურნალისტების აზრით, იაპონიას სურს აღადგინოს ჩჟან-ცზუნ-ჩანის წინანდელი პოლიტიკური მნიშვნელობა. იაპონია მხარს უჭერს მას იმ იმედით, რომ შესძლებს მის განმტკიცებას მანჯურიაში ჩჟან-სიუე-ლიანის ნაცვლად (ადს).

ნანკინის მთავრობის დეკლარაცია

ხარბინი, 31 აგვისტო. „ტოხოს“ სააგენტომ გამოაქვეყნა ვან ტა-ხუნის ვრცელი დეკლარაცია. ვან ტა-ხუნი ნანკინის მთავრობის განსაკუთრებული წარმომადგენელია. იგი ამჟამად იაპონიაში იმყოფება. ვან ტა-ხუნმა, სხვათა შორის, სთქვა:

„მომავალში ჩვენთვის სასურველი იქნება შევქმნათ სამხედრო ბლოკი იაპონიასთან, რომ ამ რიგად განხორციელებულ იქნას კავშირი ორ მონათესავე ერს შორის. რაც შეეხება მანჯურიას, ჩვენ არ ვაპირებთ დავარღვიოთ ის უფლებები, რომლებიც მოიპოვა იქ იაპონიამ. ამიტომ სასურველია, იაპონია ერიდებოდეს მანჯურიის შინაურ საქმეებში ჩარევას“ (ადს).

კელოგის ხელშეკრულების ტექსტი

მოსკოვი, 1 სექტემბერი. მოგვყავს კელოგის ხელშეკრულების ტექსტი:

„გერმანიის სახელმწიფოს პრეზიდენტი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, მისი უდიდებულესობა ბელგიის მეფე, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, მისი უდიდებულესობა დიდი ბრიტანეთის, ირლანდიისა და ბრიტანეთის სხვა ტერიტორიების მეფე და ინდოეთის იმპერატორი, მისი უდიდებულესობა იტალიის მეფე, მისი უდიდებულესობა იაპონიის იმპერატორი, პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი და ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ღრმად გრძნობენ მათზე დაკისრებულ წმინდა მოვალეობას, რომ ხელი შეუწყონ კაცობრიობის კეთილდღეობას.

დარწმუნებული არიან, რომ დადგა ჟამი ომის, როგორც ნაციონალური პოლიტიკის იარაღის, აშკარად უარყოფისა იმ მიზნით, რომ შესაძლებელი იყოს ამჟამად ერებს შორის არსებულ მშვიდობიან და მეგობრულ ურთიერთობათა საუკუნოდ შენარჩუნება.

დარწმუნებულნი არიან, რომ მათ ურთიერთობაში ყოველგვარი ცვლილების მოხდენის ცდა შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებით, რომ ეს ცვლილებანი უნდა განხორციელდნენ მიღებული წესის მიხედვით და მშვიდობიანი გზით, რომ ყოველი ქვემორე ხელისმომწერი სახელმწიფო, რომელიც ამიერიდან თავისი ნაციონალური ინტერესების ხელის შესაწყობად მიმართავს ომს, მოკლებული უნდა იყოს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უპირატესობათ,

იმედოვნებენ, რომ მათი მაგალითით აღფრთოვანებული მსოფლიოს ყველა სხვა ერი გაიზიარებს ამ ჰუმანიტარულ მისწრაფებას, შეუერთდება ამ ხელშეკრულებას მისი ძალაში შესვლის მომენტიდან, საშუალებას მისცემს თავის ხალხს, რომ მანაც ისარგებლოს კეთილსაყოფიერი პირობებით და ამგვარად მსოფლიოს ცივილიზაციური ერები შეერთდებიან ომის, როგორც ნაციონალური პოლიტიკის იარაღის, საერთო უარყოფით;

ყველა ამის გამო მათ დაადგინეს —დასდონ ხელშეკრულება და ამ მიზნით დანიშნეს თავიანთი სრულუფლებიანი წარმომადგენელნი, რომელნიც შეთანხმდნენ ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლების შესახებ:

მუხლი 1. მაღალღირსეულნი პირობის დამდები მხარენი საქვეყნოდ აცხადებენ თავიანთი ერების სახელით, რომ ისინი ჰგმობენ ომის გამოყენების მეთოდს საერთაშორისო კონფლიქტების მოსაწესრიგებლად და ურთიერთ დამოკიდებულებაში უარჰყოფენ ომს, როგორც ნაციონალური პოლიტიკის იარაღს.

მუხლი 2. მაღალღირსეულნი პირობის დამდები მხარენი აღიარებენ, რომ მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა განხორციელდეს მათ შორის შესაძლებელი ყველა უთანხმოებისა ან კონფლიქტის მოწესრიგება თუ გადაჭრა, მიუხედავად უთანხმოების ან კონფლიქტის წარმოშობის ხასიათისა.

მუხლი 3. ამ ხელშეკრულების რატიფიკაციას მოახდენენ ხელშეკრულების შესავალ ნაწილში მოხსენებულნი მაღალღირსეულნი პირობის დამდები მხარენი მათი ქვეყნების კონსტიტუციებთან შეთანხმებით; იგი ძალაში შევა და მათ ურთიერთობაში განხორციელებას ჰპოვებს მას შემდეგ, რაც რატიფიკაციის ყველა დოკუმენტი მიღებული იქნება ვაშინგტონში.

ეს ხელშეკრულება, მისი ძალაში შესვლის მომენტიდან, როგორც გათვალისწინებულია წინა პარაგრაფში, ღიად დარჩება იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება იმისათვის, რომ მას შეუერთდნენ მსოფლიოს სხვა სახელმწიფოები. თვითეული სახელმწიფოს დოკუმენტი, რომელშიაც ის ადასტურებს, რომ ემხრობა ხელშეკრულებას, გადაცემულ იქნება ვაშინგტონში და მის მიღებისთანავე მოქმედების ძალას მოიპოვებს მიმხრობილ სახელმწიფოსა და პირობის დამდებ სხვა სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

შეერთებული შტატების მთავრობა ხელშეკრულების შესავალ ნაწილში მოხსენებულ თვითეულ მთავრობას და ყოველ მთავრობას, რომელიც შემდეგ შეუერთდება ამ ხელშეკრულებას, ჩააბარებს ამ ხელშეკრულების და რატიფიკაციის ან მიმხრობის თვითეული დოკუმენტის შემოწმებულ ასლს.

შეერთებული შტატების მთავრობამ ტელეგრაფით უნდა აცნობოს ყველა დასახელებულ მთავრობას რატიფიკაციის ან მიმხრობის თვითეულ დოკუმენტის ვაშინგტონში მიღება“.

ლორდ კუშენდენი კელოგის ხელშეკრულების შესახებ

ჟენევა, 31 აგვისტო. პრესის წარმომადგენელთა მიღების დროს კუშენდენმა განაცხადა, რომ კელოგის ხელშეკრულებას „ექნება კეთილსასურველი, მაგრამ არა დაუყოვნებლივი და სენსაციური შედეგი“. შემდეგ კუშენდენმა სთქვა, რომ „ხელშეკრულებაზე ხელის მომწერნი არ ფიქრობენ, რომ იგი მოსპობს არმიებს და ფლოტს“, მაგრამ დარწმუნებულნი არიან, რომ ის გამოიწვევს შეიარაღების შემცირებას (ადს).

უერთდებიან კელოგის ხელშეკრულებას

ვაშინგტონი, 31 აგვისტო. ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ლიუქსემბურგმა, ჰოლანდიამ, შვეიცარიამ, პანამამ და ურუგვაიმ აცნობეს მას, რომ მათ განზრახვა აქვთ შეუერთდნენ კელოგის ხელშეკრულებას.

„ასოშიეიტედ პრესი“ ავრცელებს ცნობას იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა შეუერთდეს ხელშეკრულებას. მაგრამ ამ გადაწყვეტილებას ჯერ არავინ არ უკეთებს კომენტარიებს.

საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთმა გამოჩენილმა მცოდნემ—ამერიკელმა ბორხარდმა მკაცრად გააკრიტიკა კელოგის ხელშეკრულება. ბორხარდმა განაცხადა, რომ ხელშეკრულება არ შეიცავს ომის უარყოფას, პირიქით, საფრანგეთის და ინგლისის შენიშვნები, რომლებიც კელოგმა მიიღო, კანონიერ სანქციას აძლევს ომებს—„თავდაცვითი“ ომებს, ომებს ლოკარნოს შეთანხმებათა ძალით, ომებს ერთა ლიგის წესდების ძალით, ომებს საფრანგეთსა და სხვა სახელმწიფოებს შორის არსებული ხელშეკრულების ძალით, ომებს ინგლისის სპეციალური ინტერესების დასაცავად და სხვ.

შემდეგ მორხარდი ხაზს უსვამს კულიჯის განცხადებას იმის შესახებ, რომ კელოგის ხელშეკრულება არ შეეხება ამერიკის შეიარაღების პროგრამას. საქმის მცოდნე წრეებში ადასტურებენ ცნობას, რომ კულიჯს განზრახვა აქვს მოსთხოვოს კონგრესს კელოგის ხელშეკრულების განხილვამდე დაამტკიცოს საზღვაო შეიარაღებათა გაფართოებული პროგრამა (ადს).

ერთა ლიგის საბჭოში

ჟენევა, 31 აგვისტო. ბრიანისა და მიულერის ჟენევაში ჩამოსვლის მოლოდინში ერთა ლიგის საბჭო განაგრძობს სხვადასხვა უმნიშვნელო საკითხების განხილვას, ისეთი საკითხების განხილვას, როგორიც არის, მაგალითად, ინგლისის მთავრობის თხოვნით აღძრული საკითხი იმის შესახებ, რომ „ირაქს ეცნობოს კონვენციის ტექსტი პორნოგრაფიული გამოცემებით ვაჭრობის თაობაზე, რათა ირაქს საშუალება მიეცეს შეუერთდეს ამ კონვენციას“. შეიძლება აღვნიშნოთ აგრეთვე ინგლისის წინადადება კომისიის დანიშვნის შესახებ შორეულ აღმოსავლეთში. ამ კომისიამ უნდა გამოიკვლიოს ოპიუმით ვაჭრობა და ოპიუმის ხმარება. საბჭომ დაადგინა, ინგლისის წინადადებები გადასცეს განსახილველად ლიგის პლენუმს (ადს).

ტერაჩინის საქმე

პარიზი, 1 სექტემბერი. ფაშიზმის მსხვერპლთა დამცველმა კომიტეტმა მიმართა მუსოლინის მოთხოვნით სან-სტეფანოს საკატორღო საპყრობილეში მჯდომი კომუნისტი ტერაჩინი გადაყვანილ იქნეს საავადმყოფოში, ამასთან არა სადმე კუნძულზე, არამედ კონტინენტალურ იტალიაში (ტერაჩინის მსჯავრი დასდეს ეგრედ წოდებული იტალიის კომუნისტური პარტიის ცეკას საქმის გარჩევის დროს. იგი სასჯელს იხდის მეტად მძიმე პირობებში კუნძულის საკატორღო საპყრობილეში. ტერაჩინის იქ დარჩენა უეჭველად მის სიკვდილს გამოიწვევს).

ამასთან დაკავშირებით მემარცხენე „კვოტიდიენ“-ი სწერს:

ტერაჩინის საქმე სკანდალს წარმოად-მელიც სწარმოებოდა ყოველგვარ დამამტკიცებელ საბუთებს გარეშე, იმ მსჯავრის შემდეგ, რომელიც სამარცხვინოა სამართლის თვალსაზრისით, ჩვენ ვხედავთ სამარცხვინო რეჟიმს პატიმართა მიმართ. კაცობრიობამ ასეთი აქტები დაუშვებლად უნდა ჩასთვალოს და მოითხოვს, რომ მათ ბოლო მოეღოს. (ადს).

პოლიტპატიმართა სიმშილობა შესწყდა

ვარშავა, 31 აგვისტო. როგორც პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, „პავიაკ“-ის საპატიმროს პოლიტ-პატიმართა სიმშილობა, რომელიც 23 აგვისტოს დაიწყო, დამთავრდა 28 აგვისტოს. სეიმის კომუნისტურმა ფრაქციამ გამოაქვეყნა ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ სიმშილობა დაიწყო საპატიმროს ადმინისტრაციის ცუდი მოპყრობის გამო.

კომფრაქციის ცნობაში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციამ დაუძახა პოლიციას, რომელიც საპატიმროს დარაჯებთან ერთად სცემდა პოლიტიკურ პატიმრებს. ამასთან ერთად 26 პოლიტიკური პატიმარი „პავიაკ“-ის საპატიმროდან გადაიყვანეს „ვრონკი“-ს საპატიმროში, სადაც პირობები გაცილებით უფრო ცუდია, ოფიციალური ცნობის თანახმად, პოლიტპატიმრებმა სიმშილობის დროს აიკლეს კამერა. (ადს).

პატეკი პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ვარშავა, 31 აგვისტო. გაზეთებში დაბეჭდილია ინტერვიუ პატეკთან. პატეკი აცხადებს, რომ მისი ჩასვლა ვარშავაში გამოწვეულია იმით, რომ მან აუცილებლად უნდა გააკეთოს მოხსენება ეხლანდელი მდგომარეობის შესახებ და უნდა განიხილოს მთელი რიგი პროექტები, რომლებიც შეეხება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მომავალ ურთიერთობას. „უკანასკნელ ხანებში,—ამბობს პატეკი,—პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობაში ადგილი აქვს ერთგვარ შეფერხებას, რომელიც გამოწვეულია იმით რომ გადაუწყვეტელია რამდენიმე საკითხი. როცა ეს საკითხები გადაწყდება, ურთიერთობის განვითარება უფრო სწრაფი ტემპით წავა წინ და ცხოვრების პრაქტიკა გაფანტავს შიშისა და უნდობლობის ატმოსფერას. მაგრამ მე ვერ ვხედავ სერიოზულ და ღრმა მიზეზს,—ამბობს შემდეგ პატეკი,—რომელიც ამართლებდეს უნდობლობას. პოლონეთის პოლიტიკა მშვიდობიანობის პოლიტიკაა. პოლონეთს სწამს, რომ მშვიდობიანი გზით განახორციელებს თავის ყველა გეგმებს და მიაღწევს იმას, რისკენაც მიისწრაფვის. ამიტომ არ არსებობს არავითარი მიზეზი, რომელიც ხელს უშლიდეს შეთანხმებას მიღწევას“ (ადს.)

სოც.-დემ. უზრუნველყვეს თავიანთი უმრავლესობა

მსროლელთა კავშირის ყრილობაზე

ბერლინი, 31 აგვისტო. კასელში გაიხსნა გერმანიის მუშათა მსროლელთა კავშირის მე-4 მორიგი ყრილობა. თუმცა დელეგატების უმრავლესობა მემარცხენე რევოლიუციონურ ფრთას ემხრობოდა, მაგრამ კავშირის ცეკამ, რომელიც სოციალ-დემოკრატების ხელშია, ყოველგვარი ზომები მიიღო, რომ უზრუნველეყო რეფორმისტული უმრავლესობა ყრილობაზე. ამ მიზნით ცეკამ უკანონოდ გააუქმა მრავალი დელეგატის მანდატი და დაშლილად გამოაცხადა კავშირის ზოგიერთი ორგანიზაცია, რომლებმაც ყრილობაზე გასაგზავნად მემარცხენე დელეგატები აირჩიეს. მიუხედავად ამისა, ყრილობის პრეზიდიუმის არჩევნების დროს სოციალ-დემოკრატების მიერ წამოყენებული კანდიდატთა სია გავიდა მხოლოდ ერთი ხმის უმრავლესობით.

კავშირის თავმჯდომარემ ფლეგელმა თავის მოხსენებაში განაცხადა, რომ კავშირი „აპოლიტიკური“ უნდა იყოს და მას საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს საბჭოთა კავშირის მსროლელთა ორგანიზაციებთან (ადს).

„ბელორუსიის სკოლის საზ-ბის“ დახურვა

ვარშავა, 31 აგვისტო. ხელისუფლების განკარგულებით ვილნოში დახურეს „ბელორუსიის სკოლის საზოგადოება“, რომელსაც სათავეში ედგა ყოფილი სენატორი ვლასოვი. გამგეობის ბიურო დაბეჭდეს. ხელისუფლებამ განკარგულება გასცა იმ სკოლების დახურვის შესახებ, რომლებსაც საზოგადოება ინახავდა საზოგადოება ინახავდა 4 გიმნაზიას და რამოდენიმე ათეულ სკოლას. (ადს).

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისათვის

დღეს მთელ მსოფლიოში, დაწყებული უდიდესი გიგანტ სამრეწველო ქალაქებიდან და გათავებული პატარ მივარდნილი სოფლებით, მთელი მშრომელი ახალგაზრდობა წითელი დროშით ხელში ზეიმობს თავის უდიდეს დღესასწაულს—ახალგაზრდობის მე-14-ე საერთაშორისო დღეს.

კლასთა წინააღმდეგობის გამწვავებამ წარმოშვა მთელს მსოფლიოში მძლავრი მუშათა მოძრაობა. ამისვე შედეგია მშრომელი ახალგაზრდობის პოლიტიკური მოძრაობაც. შრომის და არსებობის განსაკუთრებით ცუდმა პირობებმა, რომელშიდაც კაპიტალისტური წესწყობილებამ ჩააყენა მშრომელი ახალგაზრდობა და განსაკუთრებით კი მუშა-ახალგაზრდობა, მიიყვანა უკანასკნელი თავის საკუთარი ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობის შეგნებამდე.

ასეთი ნაბიჯი აუცილებელი იყო კიდევ იმიტომ, რომ კაპიტალისტურ წესწყობილებას არ შეუძლია იარსებოს მძარცველ ავაზაკური ომების გარეშე, რაც უმძიმეს ტვირთად აწვება მშრომელთა და განსაკუთრებით მათ ახალგაზრდა ნაწილს.

იმისათვის, რომ ერთმა მუჭა კაპიტალისტებმა ოქროთი გაივსოს თავიანთი ჯიბეები, საჭირო მილიონმა მშრომელმა ახალგაზრდობამ თავის ძვლებით მოფინოს და სისხლით მორწყოს ბრძოლის ველები, ამიტომაც ეკონომიური ინტერესების დაკმაყოფილების მოთხოვნასთან ერთად, ახალგაზრდობის უმთავრეს ლოზუნგად წამოყენებული იყო ბრძოლა იმპერიალისტურ ომების წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-გამყიდველებმა უღალატეს მუშათა კლასს და მხარი დაუჭირეს იმპერიალისტურ ომს, ახალგაზრდობის ორგანიზაციებმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს 1914 წელში დაწყებულ ომს და მოუწოდებდნენ მთელ მშრომელ ახალგაზრდობას გამოსულიყვნენ ომის საწინააღმდეგოთ და უჩვენებდნენ ერთად ერთ პრაქტიკულ გზას ამ მხრივ ყველასთვის ცნობილ ლოზუნგით“: იმპერიალისტური ომი უნდა გადავაქციოთ სამოქალაქო ომათ“. ეს ბრძოლის ლოზუნგი უკვდავი იქნება მანამდე, ხანამ არ დაიმხობა კაპიტალისტური წესწყობილება მთელ მსოფლიოში და მშრომელთა ბედს ხელთ არ აიღებს პროლეტარიატი.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის დამყარების შემდეგ უკვე 14 წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ახალი ცვლილებები მოხდა კაცობრიობის ისტორიაში. ქვეყნის 1 მეექვსედ ნაწილზე უკვე სისრულეში მოყვანილი ის ლოზუნგები, რომლებსაც რკინისებური სიმტკიცით იცავდა რევოლიუციონურ მუშათა კლასი და მისი ახალგაზრდათაობა. საბჭოთა კავშირი დღეს უდიდეს ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს მთელი ქვეყნის მუშათა კლასისათვის და დაჩაგრულ ერებისათვის.

რევოლიუციონური მოძრაობა, როგორც დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებში, ისე შორეულ კოლონიებში მძლავრათ იკიდებს ფეხს. ამოძრავებულია და რევოლიუციის ქარცეცხლში ჩაბმული ასეული მილიონები მშრომელებისა. ამასთანავე ერთად სულ უფრო სასტიკ და დაუზოგველ ზომებს ღებულობს მსოფლიო ბურჟუაზია, რათა ჩაახშოს და სამუდამოდ ჩააქროს რევოლიუციის ცეცხლი.

ამ ერთი წლის განმავლობაში ბურჟუაზიამ არა ერთი ათასეული მებრძოლი შებოჭა რკინის ბორკილებით და აავსო კატორღები და ციხეები. ამ ერთი წლის განმავლობაში წაწ არა ერთი ათასეული მებრძოლი მოაშორა ჩვენს რიგებს, სამუდამოდ მიაბარა შავ მიწას. მხოლოდ მარტო ჩინეთში იყო ისეთი დღეები, როდესაც ყოველდღიურად რამოდენიმე ასეულ კომუნისტს ასალმებდნენ წუთი სოფელს.

ამ დიად ბრძოლებში მოწინავე ხაზი ეჭირა მშრომელ ახალგაზრდობას. არა ერთი ათასეული, რევოლიუციისათვის თავდადებული გმირი შესწირა მან მუშათა საქმეს.

მაგრამ ჯერ ბრძოლა კიდევ არ დამთავრებულა; პირიქით იგი უფრო მწვავე ფორმებს ღებულობს. ჩვენს წინაშე სდგას მთელი რიგი უდიდესი ამოცანები: საჭიროა, რომ ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო გაძლიერებული და გამაგრებული იქნეს, საჭიროა რომ სოციალისტურ მშენებლობაში ახალგაზრდობამ გაათკეცებული მონაწილეობა მიიღოს. საჭიროა რომ თვითეულმა მშრომელმა ახალგაზრდამ მთელი თავისი ენერგიით ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერების განმტკიცებას; ჩვენ ასეთი მუშაობით საუკეთესო და სამედო დახმარებას გაუწევთ მსოფლიო რევოლიუციას.

მეორე მხრივ საჭიროა კიდევ უფრო გავაცხოველოთ კავშირი ჩვენს საზღვარგარეთულ ორგანიზაციებთან; დავეხმაროთ მათ ჩვენი გამოცდილებით და მორალურად გავამაგროთ იგინი.

მე-14-ე საერთაშორისო დღე ტარდება სწორედ იმ დროს, როდესაც ახალი ომების საფრთხე სულ უფრო და უფრო რეალური ხდება. ჩვენ კიდევ უფრო მძლავრად უნდა მოვამზადოთ ჩვენი რიგები ამ შესაძლებლობისათვის.

ამასთან წელს საერთაშორისო დღეს ვატარებთ იმ დროს, როდესაც თავის მუშაობას ატარებს ახალგაზრდათა კომინტერნის მეხუთე კონგრესი.

მსოფლიო მშრომელ ახალგაზრდობის რევოლიუციონური შტაბი კიდევ ერთხელ შეამოწმებს თავის რიგებს და დასახავს გზებს მომავალ გამარჯვებისათვის.

მე-15-ე საერთაშორისო დღისათვის ჩვენი რევოლიუციონური ბალანსი კიდევ უფრო ეფექტიური იქნება ვიდრე დღეს.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას.

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას.

გაუმარჯოს ახალგაზრდობის კომუნისტურ მოძრაობას.

გ. ჯავახიძე.

რუს ემიგრანტების გაძევება

ვარშავა, 31 აგვისტო. ოფიციოზური „ეპოქა“-ს ცნობით, ვილნოდან განდევნიან ხუთ რუს ემიგრანტს როგორც „არა სასურველ“ უცხოელებს. ლატვიის კონსულმა ვილნოში მისცა მათ ლატვიაში შესვლისა და იქ დარჩენის ნებართვა. ვარშავიდანაც ოთხ ემიგრანტს ასახლებენ.

თეთრგვარდიელთა გაზეთის „ზა სვობოდუ“-ს ცნობით, სულ ვარშავიდან განდევნილი იქნება 18 ემიგრანტი, რომელთა სია

წინასწარი გამოძიების შედეგები

ტოკიო, 31 აგვისტო. კიუსიუს სასამართლომ გამოაქვეყნა წინასწარი გამოძიების შედეგები კომუნისტური პარტიის კიუსიუს ორგანიზაციის საქმის შესახებ. პასუხისგებაში მიცემულია 40 კაცი. მათ შორის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე. (ადს).

აფეთქება სამხედრო ბანაკში

ვენა, 31 აგვისტო. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, დადილოვში სამხედრო ბანაკში მოხდა რამდენიმე აფეთქება. დაინგრა სამხედრო ნაწყობი. აფეთქების დროს მოკვდა ორი დაშავდა ერთი ჯარისკაცი. მიზეზი ჯერ არ არის გამორკვეული.

აფეთქება მოხდა 25 და 26 აგვისტოს. მაგრამ ცნობა მათ შესახებ შეაჩერა რუმინეთის ცენზურამ (ადს).

მონარქია ალბანეთში

ბელგრადი, 31 აგვისტო. ბელგრადიდან მიღებული ცნობებით, ალბანეთის ყველა ქალაქში იმართება დემონსტრაციები მონარქიის გამოცხადების სასარგებლოდ. ტირანში (ალბანეთის დედა-ქალაქია) გამართულ კრებაზე გამოვიდა ალბანეთის გარეშე საქმეთა მინისტრი. მან მადლობა გამოუცხადა იტალიას იმ დახმარებისათვის, რომელიც იტალიამ ალბანეთს აღმოუჩინა. კრების დროს იტალიის აეროპლანიდან გადმოყარეს პლაკატები, რომლებიც მოსახლეობას მოუწოდებდნენ-მისალმებოდნენ „მეფე ახმედ ზოგუს“ (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ბელორუსი მოღვაწის მოკვლა

ვარშავა, 31 აგვისტო. ვილნოში მოჰკლეს ბელორუსი მოღვაწე პავლე ბოროვოი. გაზეთების ცნობით, მკვლელობას პოლიტიკური ხასიათი აქვს. პოლიციამ დაიწყო გამოძიება (ადს).

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აკრძალვა

პრაგა, 31 აგვისტო. გაზეთების ცნობით, პრაგის პოლიციამ აკრძალა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის დღესასწაული. (ადს).

მოხსენების აკრძალვა „კრასინის“ ექსპედიციის შესახებ

პრაგა, 31 აგვისტო. პრაგის პოლიციამ აკრძალა მოხსენება „კრასინ“-ის ექსპედიციის შესახებ. მოხსენებას აწყობდა კომპარტია. (ადს).

პროფესორი ხაბორუ მოსკოვში გაემგზავრა

ტოკიო, 31 აგვისტო. როგორც „სიმბუნ რენგოს“ სააგენტო იუწყება, პროფესორი ნ. ბორუ მოსკოვში გაემგზავრა. ნაბორუ მონაწილეობას მიიღებს ტოლსტოის ხსოვნის პატივისცემაში, რომელიც გამართება ტოლსტოის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო. (ადს).

რეზოლიუცია საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ უარყვეს

ნიუ-იორკი, 31 აგვისტო. შრომის ფედერაციის ნიუ-იორკის შტატის ყრილობამ უარჰყო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვდა საბჭოთა კავშირის ცნობას შეერთებული შტატების მიერ. უარჰყო აგრეთვე რეზოლიუცია შეერთებულ შტატებში მუშათა პარტიის ჩამოყალიბების შესახებ (ადს).

ევროპის ინტელიგენცია და თეთრი ტერორი ბულგარეთში

ვენა, 31 აგვისტო. ბულგარეთის პოლიტიკურმა ემიგრანტებმა ევროპის გამოჩენილ მწერლებს და საზოგადო მოღვაწეებს დაუგზავნეს ანკეტა იმის შესახებ, თუ როგორ უყურებს ევროპის ინტელიგენცია თეთრ ტერორს ბულგარეთში. ჯერ ჯერობით პასუხი მიღებულ იქნა მაქსიმ გორკისა, სერაფიმოვიჩისა, რომენ როლანისა; ჰანრი ბარბიუსისა, პანაიტ და სხვა მწერლებისაგან. ყველა ესენი ენერგიულ პროტესტს აცხადებენ ტერორისტული რეჟიმის წინააღმდეგ ბულგარეთში და მოითხოვენ სრულ ამნისტიას. ბულგარეთის მთავრობის პრესა აცხადებს, რომ მწერლების წერილები „წარმოადგენს ბულგარეთის შინაურ საქმეებში ჩარევას“ და რეპრესიებით ემუქრება ბულგარეთის მუშათა გაზეთებს თუ ისინი კვლავ დაბეჭდავენ ამ წერილებს. (ადს).

ფინეთი უერთდება კელოგის ხელშეკრულებას

ჰელსინგფორსი, 31 აგვისტო. ფინეთის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი მზადაა შეუერთდეს კელოგის ხელშეკრულებას. (ადს).

თაღლითობისათვის

ბერლინი, 31 აგვისტო. დააპატიმრეს 1924 წელს გარდაცვალებული ცნობილი მრეწველის ჰიუგო სტინესის უფროსი ვაჟი—ჰუგო სტინესი. სტინესს ბრალდება თაღლითობა გერმანიის სამხედრო სესხების საქმეში. (ადს).

კაბუკის თეატრის გასტროლები დამთავრდა

მოსკოვი, 1 სექტემბერი. კაბუკის იაპონური თეატრის დასმა დაამთავრა გასტროლები ლენინგრადში და დაბრუნდა მოსკოვში. დასის ნაწილი გაემგზავრა ბერლინში, დანარჩენები სამშობლოში (ადს).

თვითმფრინავი „კ—4“ სოხუმში

სოხუმი, 1 სექტემბერი. 31 აგვისტოს დილის 8 საათზე სოხუმის აეროდრომზე დაეშვა ინჟინერ კალინის კონსტრუქციის საბჭოთა აეროპლანი „კ—4“. გზა თბილისიდან სოხუმამდე აპარატმა განვლო 2 საათსა და 45 წუთის განმავლობაში.

ფრენის უდიდეს სიმაღლეს —2.000 მეტრს მფრინავმა მიაღწია სურამის უღელტეხილზე, დანარჩენი გზა კი იფრინა 1.500 მეტრის სიმაღლეზე. ამინდი ხელს უწყობდა გადაფრენას. გზა თბილისიდან სოხუმამდე კარგია სურამის უღელტეხილის გარდა, რომელზედაც გადაფრენა, თუ ღრუბლები დაბლა დაიწია, შეუძლებელია. ასეთ ამინდში მასზე დაშვებაც შეუძლებელი ხდება. აპარატი კარგ მდგომარეობაშია.

მფრინავს შეხვდნენ მთავრობის წევრები დიდძალ ხალხთან ერთად (ადს).

დაჯახება სად. თბილისში

გუშინ, ღამის პირველ საათზე, სადგ. თბილისის მე-13 ლიანდაგზე მოდიოდა ორთქლმავალი № 125. ამავე ლიანდაგზე მეორე მიმართულებით სამანევრო ორთქლმავალს ნავთსაქაჩავში ჩასაყენებლად მიჰქონდა 12 მაზუთით დატვირთული ცისტერნი. ორთქლმავალი № 125 დაეჯახა აღნიშნულ ცისტერნებს, რის გამო ლიანდაგს ახცდა და საგრძნობლად დაზიანდა 4 ცისტერნი. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ცისტერნები გასკდა და მაზუთი დაიღვარა. რამოდენიმე ლიანდაგი დაიფარა მაზუთით. ორთქლმავალი № 125 დაუზიანდა წინა ნაწილი. ლიანდაგი დაზიანდა დახლოებით 40-50 მეტრის მანძილზე.

ხაზი გაწმენდილ იქნა დღეს დილის 4 საათისათვის. სწარმოებს კვლევა-ძიება.

ახალგაზრდათა კომინტერნის მე-5 კონგრესი

მოსკოვი, 1 სექტემბერი. ახალგაზრდათა კომინტერნის კონგრესზე გაგრძელდა კამათი საპროგრამო კომისიაში. ამავე დღეს დელეგატების უმრავლესობა გაემგზავრა სხვადასხვა ქალაქში ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად. ორშაბათს, 3 სექტემბერს, კვლავ გაგრძელდება კამათი საპროგრამო კომისიაში, ხოლო სამშაბათს დაიწყება კამათი ამხ. [illegible] და გორკიჩის მოხსენებათა ირგვლივ (ადს).

ამხ. ლაშევიჩის გარდაცვალება

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ცნობა

მოსკოვი, 1 სექტემბერი. ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ღრმესი მწუხარებით იუწყება პარტიის უძველესი მომუშავის, ოქტომბრის გადატრიალების და სამოქალაქო ომების უაქტიურესი მონაწილის მიხეილ მიხეილის ძის ლაშევიჩის გარდაცვალებას.

ამხ. ლაშევიჩი 1901 წლის დამლევს შევიდა რ. ს.-დ. მ. პარტიის რიგებში, ხოლო უთანხმოების ჩამოვარდნის შემდეგ მე-2 ყრილობაზე ბოლშევიკებს მიემხრო. მას შემდეგ ამხ. ლაშევიჩი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლიუციონურ მუშაობაში. იგი სხვადასხვა დროს იყო ბოლშევიკური პარტიის ოდესის, ნიკოლაევის, ეკატერინბურგის, პეტროგრადის და სხვა კომიტეტების წევრად. ამხ. ლაშევიჩი მრავალჯერ დააპატიმრეს და გადაასახლეს ვოლოგდის გუბერნიაში და ნარიმში. ოქტომბრის დღეებში ამხ. ლაშევიჩი მეთაურობდა კექსგოლმის პოლკის ნაწილებს და მატროსებს, რომლებთაც 25 ოქტომბრის წინა ღამეს ხელში ჩაიგდეს ტელეგრაფი, სახელმწიფო ბანკი, ხაზინა, ფოსტა და პავლოკის იუნკერთა სასწავლებელი. შემდეგ—ამხ. ლაშევიჩი მუშაობდა წითელ არმიაში ყველა ფრონტზე, სადაც ეჭირა პასუხსაგები თანამდებობანი; იყო არმიის უფროსადაც. ბრძოლაში დამსახურებისათვის ამხ. ლაშევიჩი დაჯილდოვებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.



ბოლო დროს ამხ. ლაშევიჩს ეჭირა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგის თანამდებობა. (ადს).

მაქსიმ გორკის ავადმყოფობა

ლენინგრადი, 1 სექტემბერი. მაქსიმ გორკი ავად გახდა. ექიმების აზრით, გორკის მცირედად აეშალა ქრონიკული აპენდიციტი. ექიმებმა სრული სიმშვიდე ურჩიეს. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გერმანელი მეცნიერის გამომგზავრება საბჭ. კავშირში

მოსკოვი, 1 სექტემბერი. გაზეთ „იზვესტია“-ს საკუთარი ბერლინელი კორესპონდენტი კაიტი იტყობინება:

პრუსიის ყოფილი სახალხო განათლების მინისტრი, ცნობილი გერმანელი დიდი მეცნიერი შეიდტ ოტტ, რომელიც ამჟამად არის აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელ საზოგადოების თავმჯდომარე, საკავშირო მეცნიერების აკადემიის მოწვევით გამოემგზავრა ბერლინიდან ლენინგრადში.

ლენინგრადიდან შეიდტ ოტტი ეწვევა მოსკოვს, ხარკოვს და თბილისს. შეიდტს განზრახული აქვს დაწვრილებით შეისწავლოს სახალხო განათლების საქმე საბჭოთა კავშირში.

ერთა ლიგის ჩარევა შეუძლებელია

მოსკოვი, 1 სექტემბერი. გაზეთ „იზვესტია“-ს საკუთარი კორესპონდენტი რიგიდან—ბორისოვი გადმოგვცემს:

როგორც ლიტვის ხელმძღვანელ სფეროების წევრები აცხადებენ, პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება ჯერ კიდევ დასრულებული არაა. ამიტომ ერთა ლიგას არ შეუძლია, რაიმე ნაბიჯების გადადგმა ამ ორ სახელმწიფოთა ურთიერთობის მოსაგვარებლად.

რიონჰესის დაკვეთები ლენინგრადში

მოსკოვი, 1 სექტებერი. გაზეთ „იზვესტია“-ს ლენინგრადელი საკუთარი კორესპოდენტი იტყობინება შემდეგს:

ლენინგრადში ამხანად იმყოფება საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ინჟენერი ბ. ჰიჭინაძე. როგორც ჰიჭინაძემ განაცხადა ლენინგრადის პრესის წარმომადგენლებს, ლენინგრადის სამანქანო ტრესტს საქართველოდან დაკვეთილი აქვს რიონჰესისათვის ორ ტურბ-გენერატორის დამზადება. თვითეული ტურბ-გენარატორი უნდა იყვეს 15.000 ცხენის ძლეოსნობის.

გენერატორების ელექტრონულ ნაწილების დამზადება დავალებული აქვს სახელმწიფო ელექტრონულ ტრესტს.

იმავე ინჟენერ ჰიჭინაძის განცხადების თანახმად, რიონჰესი თითქმის მთლიანად მოწყობილ იქნება საბჭოთა ქარხნებში დამზადებული მანქანებით.

პირველი სტუმრები ლ. ტოლსტოის იუბილეზე

მოსკოვი, 1 სექტემბერი. ლევ ტოლსტოის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო, მოსკოვში უკვე ჩამოდიან პირველი უცხოელი სტუმრები ტოლსტოის იუბილეზე დასასწრებლად.

გუშინ მოსკოვში ჩამოვიდა პირველი სტუმრები იტალიიდან, მათ შორის სლავიანური ლიტერატურის პროფესორი ნეაპოლდან ლაგატტო.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღისათვის

გაუმარჯოს რევოლიუციის ახალგაზრდა გვარდიას!

ყველა კომკავშირელებს, მუშა და გლეხ ახალგაზრდებს!

ამხანაგებო!

ყველა ქვეყნის მშრომელი ახალგაზრდა მუშები და გლეხები წელს მეთოთხმეტეჯერ დღესასწაულობენ თავიანთ საერთაშორისო დღეს.

მთელი მსოფლიოს ხალხთა მშრომელი ახალგაზრდობა ამ დღეს გამოიტანს ბრძოლის დროშებს და მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის საქმისათვის თავისი საერთაშორისო სოლიდარობის დემონსტრაციას მოახდენს.

თოთხმეტი წლის წინად სექტემბრის პირველ კვირა დღეს ახალგაზრდობამ პროტესტი განაცხადა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, ხალხთა სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ. ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე წარმოიშვა გასისხლიანებულ 1915 წელს, როდესაც ზარბაზნების ქუხილი დედამიწას აზანზარებდა და შემზარავი ომი კაცობრიობას ხელს უხუთავდა. ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე პირველი მასიური გამოსვლა იყო ომის წინააღმდეგ.

მას აქეთ მშრომელი რევოლიუციონური ახალგაზრდობა, ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს ყოველ წელიწადს გამოდის ნამდვილი რევოლიუციონური ლოზუნგებით, იგი ააშკარავებს თავის მიღწევებს, ძლიერებას და აყენებს მთელ მოთხოვნილებებს.

კაპიტალისტურ ქვეყნებში, კოლონიებში, მსოფლიოს ყოველ ნაწილში ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის საბრძოლველ ლოზუნგებს ბანს ძლევს რევოლიუციონური ახალგაზრდობა.

წლით-წლობით, ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის დროშებს ქვეშ თავს უყრის მშრომელი ახალგაზრდობის უფრო და უფრო მეტი მასები, რადგან იციან, რომ მათი ნამდვილი ბელადი არის მხოლოდ ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელიც თავდადებით იბრძვის მათი ინტერესებისათვის.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე წელს იმ დროს უწევს, როცა მიმდინარეობს ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის მე-5 კონგრესი.

მე-5 კონგრესი ბრძოლისათვის მზადების, რევოლიუციონურ გამოცდილებათა, აღრიცხვის და შეკავშირებული მოძრაობის, ყველა მონაპოვართა ლენინური განაზოგადოების ნიშნით ჩატარდება.

დახავსებულ კაპიტალისტურ მსოფლიოს დღითი-დღე ახალი და ახალი იერიშები მოაქვს მუშათა კლასის წინააღმდეგ. მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, დღითი დღე იზრდება ყველა ქვეყნის მშრომელთა სიმპატია მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს—საბჭოთა კავშირის მიმართ.

ახალგაზრდათა მე-14 საერთაშორისო დღე ტარდება იმ მომენტში, როცა იზრდება ომის საფრთხე. ომის საფრთხის მოახლოება ავალებს მშრომელთა და პირველ რიგში ახალგაზრდობას უფრო ენერგიულად და მტკიცედ მოჰკიდონ ხელი ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გამაგრების საქმეს.

ომის საფრთხის ზრდა მოითხოვს მშრომელი ახალგაზრდობის რიგების ფოლადისებურ განმტკიცებას. ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის ლოზუნგი „მთელი მშრომელი ახალგაზრდობა უნდა დადგეს ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციისათვის ბრძოლის სადარაჯოზე"—უნდა გატარდეს ცხოვრებაში. მუშა ახალგაზრდობამ, რომელიც ჯერ კიდევ არ იმყოფება ლენინური კომკავშირის რიგებში, ახალგაზრდათა მე-14 საერთაშორისო დღეს უნდა შეიტანოს თავისი როლი ლენინური კომკავშირის რიგების გაფართოებისა და განმტკიცების საქმეში. „მუშა ახალგაზრდობის ასი პროცენტი—კომკავშირში"—ასეთია ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის ძირითადი ლოზუნგი.

ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლასთან და მუშათა ახალგაზრდობის კავშირში ასი პროცენტით ჩაბმასთან ერთად კომკავშირელები მშენებლობის ფრონტზე პირველ რიგებში უნდა იყვნენ. დღეს ახალგაზრდათა მე-14 საერთაშორისო დღე გახდეს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის სოციალისტურ მშენებლობაში ფართოდ ჩაბმის დღედ. მშრომელი ახალგაზრდობა სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული მონაწილე უნდა შეიქნეს.

ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ეკონომიური ძლიერების აღდგენის, შრომის ნაყოფიერების აწევის, სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის და სოფლის ახალ სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის საქმეში კომკავშირელები პირველ რიგში უნდა იდგნენ.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღემ უნდა გააძლიეროს ინტერნაციონალური მუშაობა. მხურვალე დახმარებით გავამხნევოთ ჩინეთის გმირი კომკავშირელები, რომლებსაც ტანჯვა-წამებით დაუნდობლად ულეტავენ იმპერიალისტები—ჩინელი გენერლები და გამცემლები; გავამხნევოთ იტალიის კომკავშირელები, რომლებსაც ფაშისტური მთავრობა კატორღაში ახალებს მრავალი წლობით; გავამხნევოთ პოლონეთის კომკავშირელები, რომლებიც უდიდეს მსხვერპლს იღებენ; დავეხმაროთ საზღვარ-გარეთ ყველა კომკავშირელებს, რომლებიც მედგრად, თავგანწირულად იბრძვიან.

ახალგაზრდობის ბოლშევიკურად აღზრდა შეუძლებელია სისტემატიური ინტერნაციონალური აღზრდის გარეშე. ყოველი კომკავშირელი, ყოველი ახალგაზრდა მუშა, ყოველი ახალგაზრდა მშრომელი უნდა აღიზარდოს რევოლიუციონური ინტერნაციონალიზმის ნიადაგზე და არც ერთი წუთით არ უნდა დაივიწყოს, რომ ის არის მსოფლიო რევოლიუციის ჯარისკაცი. ინტერნაციონალური კავშირი კომკავშირის საზღვარ-გარეთის ორგანიზაციებთან, მათთვის დახმარების აღმოჩენა ბრძოლაში და უცხო ენების შესწავლა—კავშირის უმნიშვნელოვანესი ამოცანებია.

ახალგაზრდა მუშებო! გლეხებო, წითელ არმიელებო და მოსწავლეებო! 2 სექტემბერს კომკავშირთან ერთად მოახდინეთ თქვენი საერთაშორისო სოლიდარობის დემონსტრაცია, შემჭიდროვებული რიგებით განაცხადეთ პროტესტი ომის საფრთხის წინააღმდეგ, აქტიური მონაწილეობა მიიღეთ შრომის ნაყოფიერების აწევაში, შეავსეთ ლენინური კომკავშირის ფოლადისებური რიგები.

ყველა კომკავშირელმა, ყოველმა ახალგაზრდა მუშამ არც ერთი წუთით არ უნდა დაივიწყოს, თავისი მოვალეობანი საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის მიმართ. შენ მტკიცედ უნდა გახსოვდეს, რომ დედამიწის ზურგზე არის ერთად-ერთი დროშა, რომლის ქვეშაც უნდა ვიბრძოლოთ და მოვკვდეთ, ეს არის ლენინის, კომინტერნის დროშა, საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის დროშა და ამ დროშისაკენ მოუწოდებს მხნედ და მტკიცედ ლენინური კომკავშირი საქართველოს მუშურ-გლეხურ მშრომელ ახალგაზრდობას.

ამხანაგებო—ახალგაზრდა მუშებო, შედით ლენინური კომკავშირის ფოლადისებურ რიგებში, პარტიასთან და ლენინურ კომკავშირთან ერთად იბრძოლეთ მშრომელთა საერთო საქმისათვის.

საქართველოს მთელი მშრომელი ახალგაზრდობა ორ სექტემბერს კომკავშირთან ერთად უნდა გამოვიდეს დემონსტრაციაზე.

გაუმარჯოს ახალგაზრდათა მე-14 საერთაშორისო დღეს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის შტაბს კომინტერნს!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ (ბოლშევიკურ) პარტიას!

გაუმარჯოს ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს საკავშირო ლენინურ კომკავშირს!

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას!

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს პროფესიონალური კავშირების საბჭო.

საქართველოს ახალგ. ლენ. კომ. კავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტები

ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობა უცხოეთში

ახალგაზრდობის მე-XIV საერთაშორისო დღისათვის მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა შესამჩნევად განმტკიცებული და პოლიტიკურად გაზრდილია.

დღევანდელ პერიოდს ახასიათებს, უწინარეს ყოვლისა, მუშათა მასების გამემარცხენება და მათში რევოლიუციონური განწყობილების შექმნა.

სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთივე პროცესი დამახასიათებელია ახალგაზრდათა საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობისათვისაც. უფრო მეტიც, მრავალი ფაქტი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ექსპლოატაციის მძიმე უღლის ქვეშ მყოფი ახალგაზრდობა გაცილებით უფრო სწრაფად რევოლიუციონერდება, მისი გამემარცხენება უფრო სწრაფი ტემპით სწარმოებს.

კაპიტალისტურმა რაციონალიზაციამ გაადიდა ახალგაზრდობის ხვედრითი წონა წარმოებაში. გაუმჯობესებული მანქანების შემოღებით შესაძლებელი გახდა არაკვალიფიკაციური შრომის გამოყენება, პირველ რიგში—ახალგაზრდებისა და ქალების შრომის, რადგანაც ის ყველაზე უფრო იაფი ჯდება.

კაპიტალისტური რაციონალიზაცია, რომელიც, უმთავრესად, ექსპლოატაციის გაძლიერებაზე არის დამყარებული, ორმაგ სიმძიმეს აწევს მუშათა ახალგაზრდობას.

მუშა ახალგაზრდობის გამემარცხენებისა და გარევოლიუციონერების უდავო დამამტკიცებელ საბუთს შემდეგი სამი ფაქტი წარმოადგენს:

პირველი: ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში მრავალ კაპიტალისტურ ქვეყანაში ადგილი ჰქონდა ახალგაზრდათა გაფიცვებს. მარტო გერმანიაში ხუთმეტზე მეტი გაფიცვა მოეწყო. ზოგ ადგილას გაფიცვა სამი კვირა გრძელდებოდა. გაფიცვები უმეტეს შემთხვევაში რევოლიუციონური და ნათლად გამოხატული პოლიტიკური ხასიათისანი იყვნენ.

მეორე დამამტკიცებელი საბუთი—ეს არის ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალის მძიმე კრიზისი. მესამე კი—ოპოზიციონურ განწყობილებათა ზრდა ახალგაზრდობის ბურჟუაზიულ ორგანიზაციებში.

ახალგაზრდობის პროლეტარული მოძრაობა ხელსაყრელია კომკავშირის ორგანიზაციულ განვითარებისათვის ბევრ კაპიტალისტურ სახელმწიფოში. მაგრამ, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის წინაშე, მის ცალკე სექციებისა და ორგანიზაციების წინაშე მრავალი სიძნელე და დაბრკოლება სდგას.

მთავარი სიძნელე—კომკავშირის დევნა კაპიტალისტურ ქვეყნებში, რაც კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით არის გამოწვეული.

ამასთანავე, ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები კომუნისტური, მასთან ერთად, ახალგაზრდათა კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ აწარმოებენ შეტევას გაშლილი ფრონტით დაწყებული პოლიციით, ფაშისტური ორგანიზაციებით და გათავებული რელიგიით, სოციალისტური ორგანიზაციებით და პროფკავშირებით. პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნის ახალგაზრდობას ყოველთვის არა აქვს ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა ჩვენ საზღვარგარეთელ ამხანაგებს. აი შემთხვევით აღებული რამდენიმე ფაქტი:

იტალიის ქალ. ბიელაში ამას წინად გაასამართლეს 10 ახალგაზრდა მუშა, რომელთაც ბრალად ედებოდათ ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წევრობა და ლეგალური კრებების ორგანიზაცია: ერთ მათგანს მიუსაჯეს დაპატიმრება 23 წლით და 8 თვით, მეორეს—16 წლით, მესამეს—11 წლით; ორს—შვიდ-შვიდი წლით, სამს—ოთხ-ოთხი წლით და ერთსაც—2 წლით.

ფაშისტურ იტალიაში ამ უკანასკნელი ათი თვის განმავლობაში დააპატიმრეს 800 კომკავშირელი.

ლატვიის კომკავშირის ორგანიზაციის 40 პროცენტი ციხეში იმყოფება.

ბულგარეთში კომკავშირელებს ულმობელად უსწორდებიან; საპატიმროებში გამომწყვდეულია რამდენიმე ათასი კომკავშირელი მრავალი კომკავშირელი სიცოცხლესაც გამოასალმეს. რეაქციის შეტევა გრძელდება.

სამხრეთ გერმანიაში კომკავშირი ნახევრად ლეგალურია.

სხვადასხვა ბურჟუაზიული ქვეყნების მოხელეთა დეპარტამენტებში სოციალ-დემოკრატების თანხმობით იხილავენ (ზოგან უკვე მიიღეს) კანონებს, რომლებიც მუშა ახალგაზრდობის პოლიტიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ არის მიმართული.

გერმანიის კომკავშირში ითვლება 22.000 წევრი. იგი ახალგაზრდათა კომინტერნის ერთ-ერთი საუკეთესო და ძლიერი სექციაა. მიუხედავად ყოველგვარი დევნისა, გერმანიის კომკავშირი დაუღალავ მუშაობას ეწევა ლენინური, ბოლშევიკური დროშის ქვეშ.

მსხვილ საწარმოებში უმეტეს წილად არსებობს მძლავრი საფაბრიკო-საქარხნო უჯრედები, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში [illegible] კომუნისტური ბირთვი. რაც უზრუნველყოფს მუშაობის ნაყოფიერებას. გერმანიის კომკავშირი დიდ მუშაობას ეწევა მუშა ახალგაზრდობის ეკონომიური დაცვისათვის, იგი საამისოდ ამოქმედებს პროფკავშირებს საგანგებოდ შექმნილი ახალგაზრდათა სექციებისა და კომისიების საშუალებით.

ინგლისის კომკავშირი რიცხვობრივად დიდი არ არის, მაგრამ პოლიტიკურად ძლიერია. ჩინეთის ამბების დროს, როცა ინგლისის იმპერიალიზმი თავის ჯარებს ჩინეთში გზავნიდა, ინგლისის კომკავშირმა კომპარტიის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწია. რომლის დროსაც ლოზუნგად ჰქონდა: „ხელები შორს ჩინეთისაგან". ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაწყვეტის დროს კომკავშირი კიდევ უფრო მეტის ენერგიით გამოვიდა ომის საფრთხის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად. შემაღაროების გაფიცვის დროს ინგლისის კომკავშირი კლასობრივი ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე იდგა.

უკანასკნელ კონგრესზე ც. კ.-ის წარმომადგენელი თავის მოხსენებაში ამბობდა: „დაუღალავი მუშაობის შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისის ყველა უმნიშვნელოვანეს ქვანახშირის რაიონებში კავშირმა მკვიდრად გაიდგა ფესვები, რამაც მისი წევრების რიცხვი 800 პროცენტით გაადიდა; ეხლა კავშირის წევრთა 75 პროცენტს ახალგაზრდა მემაღაროები შეადგენსო".

საფრანგეთის კომკავშირი ფართო მუშაობას ეწევა მუშა ახალგაზრდობის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, იგი თავის მოთხოვნილებებს უპირდაპირებს აქტიურ შემოტევაზე გადმოსულ კაპიტალს.

საფრანგეთის კომკავშირის პოლიტიკურ მნიშვნელობას და გავლენას, მის ანტიმილიტარისტულ მუშაობას ფრიად მკაფიოდ გვიდასტურებს შემდეგი ფაქტი. ანტიმილიტარისტული დეზორგანიზატორული მუშაობა განსაკუთრებით სწრაფად სწარმოებდა ფლოტში. ამა წლის 20 სექტემბერს საფრანგეთის ერთ-ერთი დიდი კრეისერი „პრიმოგე" ბრესტიდან ჩინეთში უნდა წასულიყო; გემის ეკიპაჟი—500 კაცი—უკვე იმდენად იმყოფებოდა ახალგაზრდა ფრანგი კომუნისტების გავლენის ქვეშ, რომ კრეისერის წასვლის პირობად მოითხოვა 8 საათის სამუშაო დღის შემოღება წინანდელი 12 საათის ნაცვლად. ამავე დროს ეკიპაჟის ახალგაზრდობამ ბრესტის ახალგაზრდობის კომუნისტურ ორგანიზაციას გაუგზავნა დეკლარაცია, რომელშიაც აცხადებდა: „ჩვენ ერთხელაც არ დავცლით ზარბაზანს ჩინეთის რევოლიუციის წინააღმდეგ, პირიქით, ყოველგვარ საშუალებას ვიხმართ, რომ იგი გადავარჩინოთო". კრეისერის წასვლის წინ კომკავშირის—მიერ მოწყობილი ახალგაზრდა მეზღვაურების მასიური მიტინგი უძლიერეს რევოლიუციონურ დემონსტრაციად გადაიქცა. როდესაც „პრიმოგე" უკვე რამდენიმე დღის გასული იყო ზღვაში, კომკავშირელებისაგან შემდგარმა მეზღვაურ ახალგაზრდობის ნაწილმა განაახლა რევოლიუციონური აგიტაცია, ავრცელებდა ხელნაწერ პროკლამაციებს და აკრავდა პლაკატებს, რომლებშიაც მოითხოვდა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას გემზე, აგრეთვე კრეისერის დაუყოვნებლივ დაბრუნებას სამშობლო ნავთსადგურში. როდესაც გემმა შეიარა ნახშირისათვის ერთ-ერთ ნავთსადგურში და მეთაურთა შემადგენლობას სურდა აეძულებინა მეზღვაურები, რომ დაეტვირთათ ნახშირი, მათ, როგორც ერთმა კაცმა, უარი განაცხადეს; ამ მასიური გამოსვლის წინააღმდეგ ოფიცრებმა ვერაფერი გააწყვეს. სასამართლომ გადასწყვიტა—არ გაეგზავნა ჩინეთში ასეთი საიმედო „კრეისერი", როგორც „პრიმოგეა". მაგრამ ეს შორეულ აღმოსავლეთში მაინც გამოსტუმრა. საიდანაც შემდეგ ეკიპაჟმა ყველა ქვეყნის მშრომელებს დაუგზავნა თავისი პირველი მოწოდება: „თქვენ შეგიძლიათ ჩვენი იმედი გქონდეთო".

ახალგაზრდათა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის დღის წესრიგში სდგას უდიდესი საკითხი—ბრძოლა მასისათვის.

კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება ამწვავებს ბრძოლას კადრებისათვის, ახალგაზრდობისათვის. პროლეტარული კადრებისათვის იბრძვის ორი ბანაკი—კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული. ერთ წუთსაც არ უნდა მოვიტყუოთ თავი. (ამავე დროს არც პესიმიზმისათვის გვაქვს საბუთი): მტერი ჯერ კიდევ ძლიერია. ყველა ქვეყნის კომკავშირელთა ორგანიზაციები შეუსვენებლად უნდა იბრძოდნენ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი გავლენის მოპოვებას ახალგაზრდობის მასებზე.

ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი გზა არის: ენერგიული მუშაობა ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალის გასახრწნელად და კომუნისტური გავლენის გაძლიერება ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალის ოპოზიციაზე.

სექციების მეორე ამოცანაა—გააცხოველონ მუშაობა კავშირის შიგნით და აგრეთვე მასიური მუშაობა „ახალი მეთოდების" საფუძველზე, ამავე დროს მათ მტკიცედ უნდა ახსოვდეთ მარტო კულტურული მუშაობით გატაცების საფრთხე.

ბოლოს, მესამე ამოცანაა—ორგანიზაციული მუშაობა. ამჟამად ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის სექციების საორგანიზაციო მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. ამ ფრონტზე პირველ საკითხად სდგას: კომკავშირის არსებული საქარხნო უჯრედების გაცხოველება და ახლების შექმნა, აგრეთვე სექციების ხელმძღვანელი ორგანოების განმტკიცება ქვემოდან ზემოთ.

კომუნისტური ინტერნაციონალის მტკიცე ხელმძღვანელობით მსოფლიო კომკავშირი თავისი მრავალ ფეროვანი რაზმებით მიიმართებიან დასახული მიზნისაკენ; ეს მიზანია: მსოფლიო რევოლიუცია, სოციალიზმი.

მ. რ—შვილი.



საგუშაგოზე

ჩვენი მტრების ბანაკში

თავისი მებრძოლი ძალების დათვალიერების დღეს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობისათვის ინტერესს მოკლებული არ არის, თვალი გადაავლოს მტრების ბანაკს, გაიგოს ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალის მდგომარეობა, გაიცნოს მისი მუშაობა, გამოარკვიოს რა მიმართულებით იზრდება იგი. მისთვის საინტერესოა აგრეთვე გაიგოს ბურჟუაზიული ახალგაზრდობის მოძრაობის მდგომარეობა და მუშაობა.

უკვე რამოდენიმე და მრავალ ადგილას იყო ლაპარაკი იმ ღრმა **კრიზისის შესახებ, რომელსაც განიცდის დღეს ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალი** და რომელმაც სრულიად გაანადგურა ახალგაზრდობის ზოგიერთი სოციალისტური ორგანიზაცია. ინგლისში, მაგალითად ფაქტია ახალგაზრდობის სოციალისტური მოძრაობის სრული დაშლა. ინგლისის მიყვებიან სოციალისტური ახალგაზრდობის სხვა ორგანიზაციებიც, სოც. ახალგაზრ. გერმანიის კავშირში 1923—24 წლ. ირიცხებოდა 110 ათასი წევრი, 1928 წელს კი—სულ 45—50 ათასი წევრი. ბელგიის სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირი 24 ათასიდან 13 ათასამდე „გაიზარდა". ახალგაზრდობის სოციალისტურ მთელ ინტერნაციონალში 1924 წელს სულ ირიცხებოდა 250 ათასი წევრი, ამჟამად კი 128 ათასამდე წევრი ირიცხება. ეს ციფრები ცხადია, ვერ არის სასიკეთო ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალისათვის, ახალგაზრდობა სტოვებს სოციალისტური ინტერნაციონალის რიგებს. რა აიძულებს მას საამისოდ? რაში მდგომარეობს ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალის კრიზისის მიზეზები?

კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა ახალგაზრდობას მძიმედ აწევს უსაშინლესი ექსპლოატაციის უღელი, რომელიც თანდათანობით უფრო აუტანელი ხდება. ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის და თვით სოციალისტური ინტერნაციონალის თვალში მუშათა ახალგაზრდობის ეკონომიური ინტერესის დაცვა, რასაკვირველია, ისეთი საქმეა, რომელსაც კავშირი არა აქვს მათ უშუალო მუშაობასთან, მათ არ სცალიათ ამისათვის ისინი გართულნი არიან ცეკვით, ლექსებით და „აღზრდის" სხვა მეთოდებით. აი განსაკუთრებით საინტერესო და მაჩვენებელი მაგალითი. ავიღოთ გერმანიის ახალგაზრდობის ერთი და იმავე რიცხვის ორი გაზეთი გერმანიის კომკავშირელთა ორგანო „იუნგე გარდე" და „მუშათა ახალგაზრდობა". პირველ მათგანში სწერენ ბრძოლის შესახებ, იმ საკითხების შესახებ რომელნიც აღელვებენ მუშათა ახალგაზრდობას, მეორეში კი პირველ ფურცელზე დაბეჭდილია უმინაარსო ლექსები და სხვა ამგვარი აბდა-უბდა. ეს მაგალითი საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალი მოწყვეტილია მუშათა ახალგაზრდობის მასებისაგან, რომ მას არ აინტერესებს ის არსებითი საკითხები, რომელნიც აღელვებენ მუშათა ახალგაზრდობას. ეხლა უფრო გასაგები ხდება ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალის კატასტროფიული კრიზისის მიზეზები.

იმავე ტემპით, რომლითაც სწარმოებს ახალგაზრდათა მასების და ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალის წევრთა გარევოლიუციონერება და გამემარცხენება, თითქმის უფრო ინტენსიურადაც, სწარმოებს **ახალგაზრდობის საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ბელადების შეუჩერებელი გადახრა მარჯვნივ.**

ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალის ბელადები დღეს უფრო მკაცრად ილაშქრებენ კომუნისტებთან მთლიანი ფრონტის შექმნის წინააღმდეგ; ეს იმ დროს, როდესაც ცოტათი ადრე ისინი თანახმა იყვნენ დისკუსია მაინც გაემართად და ემსჯელად ამ საკითხის გარშემო. დღეს მთლიანი ფრონტი მარცხნივ დარჩა, რადგანაც ამ ცოტა ხანში ბელადებმა მარჯვნივ გადახრა მოასწრეს.

მეორე დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს ის სასტიკი ბრძოლა, რომელსაც აწარმოებენ მემარჯვენე ბელადები მემარცხენე ოპოზიციების წინააღმდეგ. მემარცხენეებს რიცხავენ ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალის რიგებიდან და ხურავენ მათ გაზეთებს. საჭიროა ცოტა ფართოდ შევეხოთ ახალგაზრდობის სოციალისტურ ინტერნაციონალის ოპოზიციონურ მოძრაობას, ვინაიდან **ოპოზიციონური მოძრაობის ძლიერი განვითარება ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალის კრიზისის საუკეთესო მაჩვენებელია.**

ოპოზიციონური მოძრაობის ევოლიუცია სქემატიურად შეგვიძლია გამოვხატოთ შემდეგნაირად — ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალი — ოპოზიცია—ახალგაზრდობის კომინტერნი. ამ საკითხის განხილვის დროს არ შეიძლება მხედველობიდან გავუშვათ მემარცხენე სოციალ-დემოკრატების (რომელთაც ოტო ბაუერი მეთაურობს) როლი. ისინი ცდილობენ თავის გარშემო შემოიკრიბონ უკმაყოფილო ოპოზიციონური ელემენტები, რითაც აფერხებენ ახალგაზრდათა მასების გამემარცხენებას.

დავუბრუნდეთ ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალის ბელადთა გამემარჯვენების საკითხს. ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალის ზოგიერთ სექციებს კიდევ უფრო გარკვევით ემჩნევა პოლიტიკურ ორგანიზაციიდან კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებად გადაქცევის ტენდენცია. ამ ინტერნაციონალის ავსტრიულ სექციის ორგანოს „პრაქტიკა"-ს 1928 წ. იანვრის ნომერში შემდეგ ღირსშესანიშნავ სიტყვებს ვკითხულობთ:

„პირველ რიგში საჭიროა ყურადღება მიექცეს მოგზაურობას, დღესასწაულებს, სიმღერას და დეკლამაციას, სპორტიულ მუშაობას, კეთილშობილურ გასართობებს.

ეს ციტატა მეტად მჭერმეტყველურად ადასტურებს ზემოგამოთქმულ დებულებას.

ახალგაზრდობის მასები რევოლიუციონერდებიან, იხრებიან მარცხნივ, ხან ერთ, ხან მეორე ქვეყანაში [illegible] ახალგაზრდათა გაფიცვები, რევოლიუციონურ ახალგაზრდობას სდევნიან, მათ საუკეთესო წარმომადგენლებს ასამართლებენ, საპატიმროებში აწამებენ, სიკვდილით სჯიან, სოციალისტური ინტერნაციონალის ბელადები კი ამ დროს ახალგაზრდობას მარჯვნივ მოუწოდებენ, მის ყურადღებას აპყრობენ ცეკვაზე, ლექსებზე და სხვა კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაზე.

რაც უფრო მეტად იხრებიან მარჯვნივ ახ. სოციალისტური ინტერნაციონალის ბელადები, მით უფრო შორს მიდიან მარცხნივ ახალგაზრდობის მასები.

ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალის კრიზისის მაჩვენებელ მომენტს წარმოადგენს აგრეთვე მისი ცენტრალური ორგანოს დახურვა.

ახალგაზრდობის კომინტერნის მთლიანი ფრონტის ტაქტიკა—ეს ის ძალაა, რომელიც ყოველ დღე, სისტემატიურად სცემს ახალგაზრდობის სოციალისტურ ინტერნაციონალს არც თუ ისე მტკიცედ გამაგრებულ პოზიციებს.

* *

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობას არა აქვს ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რამდენად ძლიერია ამჟამად ბურჟუაზიული ახალგაზრდობის მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ჩვენი ამხანაგების უდიდესი ნაწილი იმ აზრისაა, რომ ახალგაზრდობის ბურჟუაზიული მოძრაობის კადრები უმთავრესად ბურჟუაზიული ახალგაზრდობისაგან შესდგებიან. ვნახოთ რამდენად სწორია ეს შეხედულება.

მსოფლიოს ყველა დიდ ქვეყანაში ახალგაზრდობის იმდენი ორგანიზაცია მოიპოვება, რომ ამ წერილში შესაძლებელია, შევჩერდეთ მხოლოდ ყველაზე უფრო მძლავრ და მეტი მნიშვნელობის მქონე ორგანიზაციებზე. უფრო მოხერხებული იქნება თუ უმთავრეს ორგანიზაციებს სასულიერო-ქრისტიანულ და სამოქალაქო ორგანიზაციებად დავყოფთ.

დავიწყოთ სამოქალაქო ორგანიზაციებიდან. გერმანიაში ძლიერია „ახალგაზრდათა ფოლადის მუზარადი"-ს ორგანიზაცია, რომელშიაც 100.000—150.000 წევრი ირიცხება. აქედან პროლეტარული ელემენტი 58—60 პროცენტს შეადგენს. ამ ორგანიზაციის მთავარი მიზანია გერმანიის ახალგაზრდობის მილიტარიზაცია. „ახ. ფოლადის მუზარადს" ხელმძღვანელობს სამხედრო ხელისუფლება, ეს უკანასკნელივე უწევს მას საჭირო ნივთიერ დახმარებას. ახალგაზრდათა ეს ორგანიზაცია არსებობს მოზრდილთა „ფოლადის მუზარადის" ორგანიზაციის გვერდით. ამ ორგანიზაციებს ხელი მუშების სისხლში აქვთ გასვრილი, მათ იყენებენ რევოლიუციონური გამოსვლების წინააღმდეგ და სხვ. მაგრამ სოციალური შემადგენლობის სიჭრელე ორგანიზაციის შიგნით ქმნის შუღლს, გარეგნული მოჩვენებითი ერთიანობა მხოლოდ მტკიცე დისციპლინის მეოხებით არის შენარჩუნებული. „ახალგაზრდათა ფოლადის მუზარადის"-თვის დამახასიათებელია შემდეგი მეთოდი:

„ყველა ვაჟკაცებს!... დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ვაჟკაცი, რომელსაც დიდი ხანია არ მიუღია მონაწილეობა „ახალგაზრდათა მუზარადის" გამოსვლებში, გამოცხადდება მომავალ საშაბათო ტანვარჯიშობაზე. ვინც არ გაამართლებს მოლოდინს და არ გამოცხადდება დანიშნულ დღეს, ის უეჭველად 8 მარტს უნდა გამოცხადდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში დასჯილი იქნება".

ვერნერ ლორენცი, „ახ. მუზარადის" ხელმძღვანელი ჰამბურგში.

გასაგებია, რომ ასეთი მეთოდებით მეტად ძნელია ახალგაზრდობის შენარჩუნება ორგანიზაციებში. არსებობს აგრეთვე ახალგაზრდობის მრავალი წვრილი ორგანიზაცია. მაგალითად, „ბისმარკის კავშირი" და სხვ.

ინგლისში ძლიერ არის განვითარებული ბოი-სკაუტების ორგანიზაცია, რომელიც მილიტარისტულ-ბურჟუაზიულ ორგანიზაციების ხასიათს ატარებს. ბოი-სკაუტები გაერთიანებულნი არიან საერთაშორისო მასშტაბით—მათ რიგებში 3 მილიონამდე წევრი ირიცხება. ინგლისის ბოი-სკაუტების და გერლ-სკაუტების (ქალთა ორგანიზაცია) ორგანიზაციებს 930.000 წევრი ჰყავთ. სკაუტების ორგანიზაციების მუშაობა ძალიან მოხერხებულად არის დაყენებული. ეწყობა ყოველგვარი შეჯიბრება, თამაშობანი, სპორტი და სხვ. სპეციალურად მუშა ახალგაზრდობისათვის, რომლის რაოდენობა სკაუტთა ორგანიზაციებში 45 პროც. აღწევს. სკაუტის კანონებში არის ასეთი მუხლი: „სკაუტი მეფის, სამშობლოს, ტრადიციების, მშობლების და თავისი დამქირავებლის ერთგულია და უნდა დაიცვას ისინი ყველა იმათგან, ვინც სიტყვით ან საქმით წავა მათ წინააღმდეგ". სკაუტის ორგანიზაციებს ყოველი საჭირო შემთხვევისათვის მზად ჰყავთ შტრეიკბრეხერები. სახელმწიფო ყოველგვარი ზომით ეხმარება სკაუტებს—აძლევს მათ სუბსიდიებს, შეღავათიან სამგზავრო ბილეთებს ექსკურსიების დროს და სხვ.

საფრანგეთში ბურჟუაზიული ახალგაზრდობის ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა „პაციფისტურ რესპუბლიკანური ახალგაზრდობის" კავშირი. კავშირი მხარს უჭერს ერთა ლიგას და ევროპის შეერთებული შტატების შექმნის იდეას. კავშირში 72.000-მდე წევრი ირიცხება. სენის და მარნის რაიონებში ამ ორგანიზაციის წევრთა უდიდესი უმრავლესობა ბურჟუაზიული ახალგაზრდობაა, ხოლო პროლეტარულ რაიონებში მნიშვნელოვან პროცენტს შეადგენს მუშა ახალგაზრდობაც. როცა ვლაპარაკობთ საფრანგეთის ბურჟუაზიულ ახალგაზრდათა მოძრაობაზე, შეუძლებელია გვერდი აუხვიოთ ფაშიზმთან ყველაზე უფრო ახლო მდგომ ორგანიზაციას—„პატრიოტული ახალგაზრდობას", რომელსაც 100.000 წევრი ჰყავს. ამ ორგანიზაციის მიზანია რეაქციონური დიქტატურის აღდგენა.

გარდა ამისა, ახალგაზრდობა სხვა ქვეყნებშიაც არის დარაზმული მილიტარიზმის, ნაციონალიზმის, კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, ფაშიზმის დროშის ქვეშ. ბურჟუაზია იმავე პრინციპების თანახმად აწარმოებს მისი გავლენის ქვეშ მყოფი სასპორტო ორგანიზაციების აღზრდას. სწორედ ამ ორგანიზაციების შესახებ ამბობდა ამხ. ბუხარინი თავის მოხსენებაში (კომინტერნის აღმასკომის ანგარიში მე-VI კონგრესზე), რომ ისინი წარმოადგენენ პოლიტიკურ ფერად შეღებილ, მოხერხებულად დაგებულ ქსელს, რომელშიაც იბმება მუშა-ახალგაზრდობა: „ბურჟუაზია ბრძოლას აწარმოებს გააფთრებულ ენერგიით და მოხერხებულად, უფრო მოხერხებულად ვიდრე ჩვენ". ამხ. ბუხარინის ამ დასკვნის სიღრმესა და სიმართლეს მხოლოდ მაშინ გავიგებთ, თუ გავეცნობით ახალგაზრდობის სასულიერო - ქრისტიანული ორგანიზაციის მდგომარეობასა და მოქმედებას.

ახალგაზრდათა კათოლიკური კავშირის წევრთა რიცხვი ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში 19,5 მილიონს უდრის. გავეცნოთ ყველაზე უფრო ძლიერი ორგანიზაციების მუშაობას და მდგომარეობას. გერმანიაში ახალგაზრდათა კათოლიკურ მოძრაობას სამ საუკუნეზე მეტი ისტორია აქვს. 1925 წელში ამ ორგანიზაციებში 5 მილიონი წევრი ირიცხებოდა. ეს ორგანიზაციები სხვადასხვაგვარ სახელწოდებას ატარებენ: „კათოლიკური ახალგაზრდობის საზოგადოებათა კავშირი", „მხნე ნაკადული", „ახალგაზრდა ნაკადული", „ახალი გერმანია" და სხვ. ეს ორგანიზაციები თავისი პროგრამით სხვა ბურჟუაზიულ ორგანიზაციებს ემსგავსება. პირველ რიგში, ცხადია, ისინი აწარმოებენ თავიანთ წევრების აღზრდას „ღვთის მოყვარეობის" პრინციპების მიხედვით. უდიდესი მატერიალური ბაზა მათ საშუალებას აძლევს გააფართოვონ თავისი მუშაობა. ეწყობა კოლექტიური ექსკურსიები, გართობანი, კინო, თეატრალური წარმოდგენები, კონცერტები და სხვ. ეკონომიური დაინტერესება, წევრთა უფასოდ გაგზავნა ორგანიზაციის ან ეკლესიის დასასვენებელ სახლებში, უფასო ექსკურსიების მოწყობა და სხ.—აი, რით იზიდავენ ახალგაზრდობას. კათოლიკური ახალგაზრდათა მოძრაობას გერმანიაში აქვს 750 სხვადასხვა ჟურნალი და გაზეთი, რომელთა საერთო ტირაჟი 700.000—800.000 ეკზემპლიარს უდრის.

ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდათა ქრისტიანულ კავშირს 1925 წ. ჰყავდა 968.229 წევრი. ეს ორგანიზაცია უმთავრესად შესდგება წვრილ-ბურჟუაზიული ახალგაზრდობისაგან, მაგრამ ამ ორგანიზაციაში არიან ახალგაზრდა მუშებიც, რომელთა რიცხვი 175.767 შეადგენს. დამახასიათებელია, რომ კავშირში 50 წლის „ახალგაზრდებიც" ირიცხებიან, ხოლო 25 წლის ასაკს გადაცილებულნი 42,7 პროც. აღემატება. კავშირის გამგეობამ თავის მოხსენებაში აღიარა, რომ ახალგაზრდათა ქრისტიანული კავშირის ნახევარი მილიონი წევრი აქტიურ მონაწილეობას არ იღებს ორგანიზაციის მუშაობაში, ისინი ორგანიზაციის წევრებად არიან მხოლოდ იმიტომ, რომ ისარგებლონ საბანაო აუზებით, საბილიარდო ოთახებით, სასპორტო დარბაზებით ან გამოიყენონ სხვა შესაძლებლობანი, რომლებიც ახალგაზრდათა ქრისტიანულ კავშირს აქვს.

ინგლისში ჯერ კიდევ 1850 წლიდან არსებობს ახალგაზრდა ყმაწვილთა ქრისტიანული კავშირი. ამ ორგანიზაციის მიზანიც იგივეა, რაც სხვა ამგვარი ორგანიზაციების სხვა ქვეყნებში—კლასთა თანამშრომლობა, ქრისტიანობის გავრცელება, ერთგული მოქალაქეების აღზრდა. ახალგაზრდობის მიზიდვის მეთოდებიც არ განსხვავდება სხვა ორგანიზაციების მეთოდებიდან—ექსკურსიები, კინოები და სხ. დამახასიათებელია, რომ კავშირს დიდი გავლენა აქვს ინგლისის ახალგაზრდა პროლეტარებს შორის.

ბურჟუაზიულ ახალგაზრდათა მოძრაობას დიდი ისტორია აქვს, მას ხელს უწყობს სახელმწიფო, მას აქვს დიდი ფინანსიური შესაძლებლობანი. მაგრამ მის ორგანიზაციებში მაინც აქვს ადგილი **ოპოზიციონური სულისკვეთების ზრდას,** რაიც გამოიხატება მუშა ახალგაზრდობის გამემარცხენებაში, გარევოლიუციონერებაში. ამ ოპოზიციონური სულისკვეთების მატარებელი პირველ რიგში მუშა ახალგაზრდობაა. ინგლისში, მემაღაროეთა გაფიცვის დროს ახალგაზრდა მემაღაროები, ახალგაზრდა ყმაწვილთა ქრისტიანული კავშირის წევრები, გამოვიდნენ ამ კავშირიდან, როგორც კი შეიგნეს მისი ნამდვილი გამცემლური როლი კლასობრივ ბრძოლაში. აი, დამახასიათებელი მაგალითი მუშა ახალგაზრდობის გარევოლიუციონერებისა. ბურჟუაზიული ახალგაზრდათა მოძრაობა—მსოფლიო კომკავშირის ძლიერი მოწინააღმდეგეა. მაგრამ რაც უფრო განვითარდება კლასობრივი ბრძოლა, მით უფრო მალე ჩამოშორდება მუშა ახალგაზრდები კლასობრივი მტრის ორგანიზაციებს.

ამის საწინდარია ახალგაზრდა მასების რევოლიუციონური იდეებით გამსჭვალვა, მისი გამემარცხენება.

ასეთია ჩვენი მტერი საერთაშორისო მასშტაბით. თვალები არ უნდა დავხუჭოთ—მტერი ძლიერი და გამოცდილია. მაგრამ ძლიერი და მძლავრია მსოფლიო კომკავშირი თავისი მასიური ორგანიზაციებით, როგორიცაა: „იუნგფრონტი" გერმანიაში და მსგავსი ორგანიზაციები სხვა ქვეყნებში, ახალგაზრდათა სექციები პროფკავშირებში, წითელი სასპორტო ინტერნაციონალი. ამას დაუმატეთ კოლონიები, ნახევარ კოლონიები და ჩვენი მუშაობა იქ, დაუმატეთ ჩინეთის სახელოვანი კომკავშირი.

მტერი ძლიერი არის, მაგრამ მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის ძალებიც დაუშრეტელია.

ახალგაზრდათა მე-14 საერთაშორისო დღეს რევოლიუციონური ახალგაზრდობა მოახდენს იმის დემონსტრაციას, რომ ის კომუნიზმის დროშას ერთგულად იცავს.

მიხ. ჩაუსკი.

პარტიის მეორე ყრილობის 25 წ. თავის გამო

სოციალიზმი, როგორც მეცნიერება

(სტიქიური თუ შეგნებული მუშათა მოძრაობა)

1903 წელს მეორე ყრილობაზე მენშევიკებმა იერიში მიიტანეს ლენინის წინააღმდეგ ორგანიზაციულ საკითხის გარდა თეორეტიულ საკითხშიაც. ლენინის წინააღმდეგ გაილაშქრა მაშინ მენშევიკმა მარტინოვმა. მან მიზანში ამოიღო ლენინის წიგნი: „რა ვაკეთოთ" და დაიწყო იმის მტკიცება, რომ ლენინი თეორიაში არ არის მატერიალისტი, მარქსისტიო. პლეხანოვს კი, რომელიც მეორე ყრილობაზე ბოლშევიზმის მხარეზე იყო, სასაცილოდ არ ყოფნიდა ეს გარემოება. ერთმა ცენზორმა სთქვაო—ოხუნჯობდა ყრილობაზე პლეხანოვი—მომეცით „მამაო ჩვენო" და ისეთ ნაირად მოვიყვან იქედან ციტატებს, რომ მის ავტორს ჩამოხრჩობის ღირსად გახდიანო. მარტინოვიც ამ ცნობილ ცენზორს მოგვაგონებსო, ამბობდა პლეხანოვი. ამ თეორეტიულ საკითხს, ორგანიზაციულ საკითხთან ერთად, პირველ ხანებში დიდი ადგილი ეჭირა მენშევიკებთან კამათის დროს.

ამიერ - კავკასიაში ამ საკითხის ირგვლივ დავამ დიდი ადგილი დაიკავა.

მარტინოვმა მენშევიზმი დასტოვა, კომპარტიაში შემოვიდა, კარგა ხანია ინანიებს ცოდვებს, მარა ძველი მარტინოვის მოწაფეები უფრო ერთგული გამოდგენ, ვიდრე მასწავლებელი და კიდევ განაგრძობენ მარტინოვის შეცდომებს და საცოდავათ ღეჭენ ძველ და შმორიან აზრებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ნ. ჟორდანიას ბროშიურა „ბოლშევიზმი" საზღვარ გარეთ გამოსული, თუ არ ვცდები, 1923 წელს. ნ. ჟორდანიამ სიტყვა - სიტყვით გაიმეორა მარტინოვის ძველი საბუთები. მარტინოვმა კარგა ხანია უარჰყო თავის შმორიანი აზრები, მაგრამ მისი მოწაფე (ძველი მარტინოვის მოწაფე!) ნ. ჟორდანია კიდევ იმეორებს მარტინოვის ძველ დახავსებულ აზრებს.

რისთვის მიდიოდენ მარტინოვი და მენშევიკები იერიშით ლენინის წინააღმდეგ მეორე ყრილობაზე.

ლენინმა სთქვა თავის წიგნში („რა ვაკეთოთ"), რომ სოციალიზმი, როგორც მეცნიერება, შემუშავებულია მეცნიერების მიერ. სოციალიზმი, როგორც მეცნიერება, შეტანილია გარედან მუშათა მოძრაობაში. სოციალიზმი, როგორც თეორია, მეცნიერება, არ აღმოცენებულა თავის თავად მუშათა მოძრაობიდან. ცხადია, კაპიტალისტური წყობილების განსაზღვრულ პერიოდში გაჩნდა პირობები მეცნიერულ სოციალიზმის შემუშავებისათვის, მარა სოციალიზმი სისტემაში მოიყვანა და მეცნიერულ მოძღვრებად აქცია მეცნიერმა კ. მარქსმა.

ეს აზრი არ მოეწონა მენშევიკებს და არა მარქსისტულად, იდეალისტურად მონათლეს ის.

მოვიყვანოთ და გავარჩიოთ მკითხველებს „საშინელი" აზრები ლენინის წიგნიდან: „სოციალ - დემოკრატიული შეგნება",[1] მუშებს არ შეეძლოთ ქონოდათ. ეს შეგნება უნდა შეტანილიყო გარედან. ყველა ქვეყნის ისტორია ამტკიცებს, რომ მუშათა კლასს თავის ძალღონით შეუძლია მხოლოდ ტრედიუნიონისტური შეგნების შემუშავება ე. ი. რწმენა კავშირებში გაერთიანების საჭიროებისა, ხაზეინების წინააღმდეგ ბრძოლისა, ცდა იმისი, რომ მთავრობამ გამოსცეს ეს თუ ის კანონები მუშების სასარგებლოთ. სოციალიზმის მოძღვრება აღმოცენდა იმ ფილოსოფიურ, ისტორიულ, ეკონომიურ თეორიებიდან, რომელიც შემუშავებული იყო მდიდართა კლასების წრიდან გამოსული განათლებულ წარმომადგენლების, — ინტელიგენციის მიერ. თანამედროვე მეცნიერული სოციალიზმის დამფუძნებელნი მარქსი და ენგელსი ეკუთვნოდენ თავიანთი სოციალური მდგომარეობით ბურჟუაზიულ ინტელიგენციას" („რა ვაკეთოთ").

აი ამ აზრის წინააღმდეგ გაილაშქრეს მენშევიკებმა მეორე ყრილობაზე. აქ მოეჩვენა მათ ლენინის იდეალიზმი თეორიაში.

მარქსის დებულება: საზოგადოებრივი მდგომარეობა ჰქმნის საზოგადოებრივ შეგნებასო, მენშევიკებმა ასე გაიგეს: სოციალიზმი, როგორც მეცნიერება, პირდაპირ აღმოცენდა მუშათა კლასის მდგომარეობიდან. სოციალიზმი, როგორც მეცნიერება, კ. მარქსს კი არ შეუმუშავებია, — ის თავის თავად აღმოცენებულა მუშათა მოძრაობიდან.

ლენინი ამბობს, — სწერს ნ. ჟორდანია, — სოციალისტური შეგნება (მეცნიერული სოციალისტური მ. ფ.) მუშებს არ შეეძლოთ ქონოდათ. ის უნდა შეტანილიყო გარედან. („ბოლშევიზმი" გვ. 5 ნ. ჟორდანია). ეს აზრი ნ. ჟორდანიას სასაცილოდ არ ყოფნის. მისი აზრით მუშათა მოძრაობა თავის - თავად, „თვით", იქცევა სოციალისტურ მოძღვრებად. მუშათა მოძრაობა „თვით" „სტიქიურად" იქცევა მეცნიერულ სოციალიზმის მოძღვრებათ.

აბა უსმინოთ ნ. ჟორდანიას:

თვით მუშათა მოძრაობა, განსაზღვრულ განვითარების საფეხურზე, აუცილებლად, „სტიქიურად" იქცევა სოციალისტურ მოძღვრებად [2] („ბოლშევიზმი" გვ. 5 ნ. ჟორდანია).

ასე ამ ნაირათ ნ. ჟორდანიას აზრით, „თვით მუშათა მოძრაობა აუცილებლათ, „სტიქიურად" იქცევა მეცნიერულ სოციალიზმის მოძღვრებათ. მარქსის და ენგელსის როლი აქ არაფერი შუაშია.

სოციალიზმი, როგორც მეცნიერება —ნ. ჟორდანიას აზრით, — პირდაპირ, „თვით", „სტიქიურათ" აღმოცენებულა მუშათა მოძრაობიდან.

და ამიტომ მენშევიკებს საშინელ იდეალისტურ აზრებათ მიაჩნდათ ლენინის სიტყვები: „სოციალიზმის მოძღვრება აღმოცენდა იმ ფილოსოფიურ, ისტორიულ ეკონომიურ თეორიებიდან, რომელიც შემუშავებული იყო მდიდართა კლასების წრიდან გამოსულ განათლებულ წარმომადგენლების, — ინტელიგენციის მიერ".

ეს მუშათა კლასის დამცირებათ მიაჩნდათ. განა შეიძლება უარის ყოფა იმ ისტორიულ ფაქტის, რომ სოციალიზმი მეცნიერებათ აქცია მარქსმა და ენგელსმა და არა მუშათა კლასმა. „კომუნისტური მანიფესტი" დასწერეს მარქსმა და ენგელსმა და არა მუშებმა. ეს მუშების დამცირება კი არ არის, ეს არის ისტორიულ ფაქტის აღიარება.

მარქსმა და ენგელსმა პროლეტარულ თვალსაზრისით შეისწავლეს იმდროინდელი კაპიტალისტური ურთიერთობა, მუშათა მოძრაობა და აღჭურვილებმა მეცნიერული ცოდნით, სოციალიზმი აქციეს მეცნიერებათ.

ცნობილია, რომ კ. კაუცკი ერთ დროს ნამდვილი ორტოდოქსალური მარქსისტი იყო. მისი ნაწერებით ვსწავლობდით ჩვენ მარქსიზმს. ერთ დროს მან დაგვიწერა რევოლიუციონური, მარქსისტული ბროშიურა („გზა ძალაუფლებისაკენ" 1910 წ.). მის ნაწერებს ჩვენ გულდასმით ვკითხულობდით, მის სიტყვებს უჯერებდით. აი ეს კაუცკი თავის მარქსისტობის დროს სავსებით „იდეალისტურ" ნიადაგზე, ლენინურ ნიადაგზე იდგა ამ საკითხში.

არჩევს რა ავსტრიის სოციალ - დემოკრატიულ მუშათა პარტიის პროგრამის პროექტს „Neue Zeit" 1901—1902 წ. წ. კაუცკი სწერს: „თანამედროვე სოციალისტური შეგნება შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ ღრმა მეცნიერულ ცოდნის ნიადაგზე". ასე ამნაირად: მეცნიერული სოციალიზმი შეიძლება აღმოცენდეს არა მუშათა მოძრაობიდან პირდაპირ, თავის-თავად, როგორც ამას მენშევიკები ამბობენ, არამედ „ღრმა მეცნიერულ ცოდნის ნიადაგზე".

თუ მენშევიკებს დაუჯერებთ, — ეს წმინდა წყლის იდეალიზმია.

მარა ეს არაფერია. გავყვეთ ქვევით კიდევ კაუცკის—შეიძლება კიდევ გვითხრას მან რაიმე საყურადღებო.

„**მეცნიერების მატარებელი არის არა პროლეტარიატი, არამედ — ბურჟუაზიული ინტელიგენცია** [3]... ამ ფენების ზოგიერთ წევრების თავში აღმოცენდა თანამედროვე სოციალიზმი და გადაეცა შეგნებულ მოწინავე პროლეტარიატს, რომლებსაც შემდეგ შეაქვთ ის (მეცნიერული სოციალიზმი. მ. ფ.) პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში. ასე ამნაირად სოციალისტური შეგნება არის გარედან შეტანილი (Von Aussen Hineingetragenes) პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში და არა იქიდან სტიქიურად აღმოცენებული".

ბევრი კომენტარიები ზედმეტია. მართალია, მეცნიერული სოციალიზმი რომ სტიქიურად აღმოცენდებოდეს მუშათა მოძრაობიდან მაშინ კ. მარქსს ტყვილა ეტეხია თავი და დაეწერია თავისი შესანიშნავი წიგნი „კაპიტალი". არც მუშათა პარტიის არსებობა იქნებოდა საჭირო. მუშათა პარტიის (დღის კომუნისტური პარტიის) მოვალეობაა მეცნიერული სოციალიზმის (კომუნისტური იდეების) შეტანა მუშათა მასებში. მაშინ კომუნისტური პარტიის და კომინტერნის არსებობა ზედმეტი იქნებოდა.

ასე ამნაირად მუშა, როგორც ასეთი, ასეთ მეცნიერულ სოციალიზმს ვერ შეიმუშავებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცალკე პირები, მუშათა კლასიდან გამოსულები. მონაწილეობას არ იღებდენ მეცნიერულ სოციალიზმის შემუშავებაში. მარა ისინი იღებენ მონაწილეობას არა როგორც მუშები, არამედ — როგორც სოციალიზმის თეორეტიკოსები, რომლებმაც შესძლეს მეცნიერება შეეთვისებიათ, თავიანთი ეპოქის მეცნიერების სიმაღლეზე დამდგარიყვნენ.

ავგუსტ ბებელი ჩვენ ვერ დაგვიწერდა თავის შესანიშნავ მეცნიერულ წიგნს „დედაკაცი და სოციალიზმი", რომ ის დაზგასთან დარჩენილიყო, 12 საათი ემუშავა დღეში, რომ მას ჩაქუჩი და წარმოება არ მიეტოვებინა, მუშათა კლასის მუშაობისა და ცხოვრების ღუხჭირი პირობები არ დაეტოვებია და მეცნიერების შესწავლის საშუალება არ ჰქონოდა. იგივე ითქმის ყველა იმ მუშებზე, რომლებმაც ბებელის როლი შეასრულეს, თუ ასრულებენ მუშათა მოძრაობაში.

ფრიდრიხ ენგელსიც ამ საკითხშიც ლენინივით „იდეალისტურ" ნიადაგზე იდგა, „რომ გერმანული ფილოსოფია არ ყოფილიყო, განსაკუთრებით ჰეგელის ფილოსოფია, — არასოდეს არ შეიქმნებოდა გერმანული მეცნიერული სოციალიზმი, — ერთად ერთი მეცნიერული სოციალიზმი.." („გლეხების ომი გერმანიაში" ფ. ენგელსი).

ამნაირად, ენგელსის აზრით, მეცნიერული სოციალიზმი არ იქნებოდა, რომ გერმანიის ფილოსოფია, ჰეგელის ფილოსოფია, არ ყოფილიყო. მეცნიერული სოციალიზმი გერმანიის ფილოსოფიის გაგრძელებაა [4].

კიდევ სწერს ენგელსი იმავე წიგნში: „მას შემდეგ, რაც სოციალიზმი მეცნიერებად გახდა, საჭიროა მას მოეპყრათ როგორც მეცნიერებას, ე. ი., საჭიროა მისი შესწავლა".

გ. ვ. პლეხანოვის სიტყვაც მოვიყვანოთ და ვნახოთ, თუ როგორ იცავდა ის ლენინს მარტინოვის იერიშებისაგან.

„ამხ. მარტინოვს მოჰყავს ენგელსის სიტყვები: „თანამედროვე სოციალიზმი არის თეორეტიული გამოხატულება (выражение) თანამედროვე მუშათა მოძრაობისა". ამხ. ლენინიც ეთანხმება ენგელსს, ის მას რომ არ ეთანხმებოდეს, მაშინ ლენინი — მართლაც, ჩამოსახრჩობი იქნებოდა, მარა ენგელსის სიტყვები —ზოგადი დებულებაა. საკითხი იმაშია თუ ვინ უშვება პირველათ ფორმულიროვკას ამ თეორეტიულ გამოხატულებას. ლენინი სწერდა არა ფილოსოფიურ ტრაქტატს, არამედ პოლემიკურ სტატიას ეკონომისტების წინააღმდეგ, რომლებიც ლაპარაკობდენ: ჩვენ უნდა უცადოთ თუ სად მივა თვითონ მუშათა კლასი „რევოლიუციონური ბაცილის" დაუხმარებლად. უკანასკნელს კი (რევოლიუციონურ ბაცილას მ. ფ.) აკრძალული ჰქონდა რამე ეთქვა მუშათა კლასისთვის, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ის არის „რევოლიუციონური ბაცილა", ე. ი. მას აქვს თეორეტიული შეგნება. მარა თუ თქვენ „ბაცილას" განდევნით, მაშინ დარჩება მხოლოდ შეუგნებელი მასა, რომელშიაც **შეგნება გარედან უნდა იქნას შეტანილი** [5] თქვენ რომ სამართლიანი ყოფილიყავით და დაკვირვებით წაგეკითხათ ლენინის მთელი წიგნი, თქვენ დაინახავდით, რომ ლენინი სწორედ ამას ლაპარაკობს [6].

თქმა იმისა, რომ მუშა, როგორც ასეთი, იმუშავებს მეცნიერულ სოციალიზმს — არის იაფფასიანი დემაგოგია. კაპიტალისტურ ქვეყანაში მუშას არ შეუძლია, ვიდრე ის მუშათ რჩება, ე. ი. ვიდრე ის კაპიტალისტურ ექსპლოატაციის საგნად არის, — მეცნიერებას სათავეში ჩაუდგეს. მეცნიერების სათავეში ჩასადგომად საჭიროა დაზგის მიტოვება და სისტემატიური ცოდნის მიღება.

ეს ჭეშმარიტება აღნიშნა ლენინმა თავის ბროშიურაში („რა ვაკეთოთ") და ამიტომ მენშევიკებმა მოინდომეს მისი „ჯვარზე ცმა".

მეცნიერული სოციალიზმის შემუშავების საკითხი მარქს - ენგელსის მიერ და მისი შეტანა გარედან პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში. მჭიდროდ დაკავშირებულია საკითხთან: იყოს მუშათა მოძრაობა სტიქიური თუ შეგნებული?

„სტიქიური მოძრაობა მუშათა კლასისა ბურჟუაზიულ იდეოლოგიას ემორჩილება" („რა ვაკეთოთ").

ჩვენი ვალია ეს სტიქიური მოძრაობა, —ვამბობთ ბოლშევიკები, — გარდავქმნათ შეგნებულ მოძრაობათ. ამიტომ საჭიროა მეცნიერულ სოციალიზმის იდეების გავრცელება მუშათა მასაში—მოკლედ, მეცნიერულ სოციალიზმის გარედან შეტანა პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში.

მენშევიკების აზრით სოციალისტური (მეცნიერული) იდეოლოგია პირდაპირ, თავის თავად აღმოცენდა მუშათა მოძრაობიდან და მისი შეტანა გარედან ზედმეტი ბარგია, აქედან მენშევიკების პასივობა სტიქიურ მუშათა მოძრაობის წინაშე და ჩვენი ბრძოლა ამ პასივობის წინააღმდეგ.

ბურჟუაზიულ იდეოლოგიას — ლაპარაკობდენ მენშევიკები, — არ შეიძლია მუშათა მოძრაობას ხელი შეუშალოს, ნამდვილ რევოლიუციონურ მარქსისტულ გზას აახვევინოს.

„თვით მუშათა მოძრაობა, განსაზღვრულ განვითარების საფეხურზე, აუცილებლად, „სტიქიურათ" იქცევა სოციალისტურ მოძღვრებათ. **არავითარ გარეგნულ ძალას, არავითარ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას არ შეუძლია იმის ხელის შეშლა ან გზიდან გადახვევა**" [7] („ბოლშევიზმი" გვ. 5. 6).

ამ საკითხის გარშემო დიდი დავა იყო.

ჩვენ ვამბობდით: ბურჟუაზიული იდეოლოგია უფრო ხნიერია, უფრო გამოცდილია, უფრო გავრცელებულია და ადვილად იმორჩილებს ნორჩ სოციალისტურ იდეოლოგიას. ჩვენი ვალია გავდევნოთ მუშათა მოძრაობიდან ყოველნაირი ბურჟუაზიული იდეოლოგია და მუშათა მოძრაობა დავაყენოთ რევოლიუციონურ მარქსისტულ ლიანდაგზე.

„ხშირად ლაპარაკობენ: მუშათა კლასი სტიქიურად ილტვის სოციალიზმისაკენ. ეს სავსებით მართალია იმ აზრით, რომ სოციალისტური თეორია უფრო ღრმად, უფრო სწორად ხსნის მუშათა კლასის გაჭირვების მიზეზებს, ამიტომ მუშები სოციალისტურ თეორიას ასე ადვილად ითვისებენ თუ ეს თეორია პასივობას არ იჩენს სტიქიურ მოძრაობის წინაშე, თუ თეორია თვითონ იმორჩილებს სტიქიურ მოძრაობას. მუშათა კლასი სტიქიურად ილტვის სოციალიზმისაკენ, მარა მეტად გავრცელებული ბურჟუაზიული იდეოლოგია სტიქიურად მუშას თავს ეხვევა". („რა ვაკეთოთ").

ამ დავას დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა ქონდა: რევოლიუციონური მარქსიზმი თუ ოპორტიუნიზმი (მენშევიზმი); მუშათა შეგნებული მოძრაობა მარქსისტული ჩირაღდნით ხელში, თუ მენშევიკების მიკიბულ მოკიბული გზა (სტიქიური მუშათა მოძრაობის წინაშე თავის მოხრა)?

მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს ორივე ეს მიმართულება გამოიცადა. მსოფლიო მენშევიზმმა (მეორე ინტერნაციონალმა) ამ გადამწყვეტ მომენტის დროს ბურჟუაზიულ ბანაკში ამოყო თავი, ომის უღელში შეაბა საერთაშორისო პროლეტარიატი და ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით" შესცვალა ლოზუნგით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, ჟლიტეთ ერთმანეთი".

მხოლოდ ბოლშევიზმი ჩაუდგა სათავეში რევოლიუციონურ პროლეტარიატს და მოუწოდა იმპერიალისტური ომი გადაექცია სამოქალაქო ომად.

ამნაირად, ბოლშევიზმი მსოფლიო მოვლენად გადაიქცა.

დღეს ჩვენ ომის საფრთხის წინაშე ვდგევართ. დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ მომავალ ომის დროს მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელები მიულერი, შეიდემანი, მაკდონალდი, გონკური, ჟუო ვანდერველდე და სხვები პირნათლად შეასრულებენ თავიანთ ბურჟუაზიულ მოვალეობას: საერთაშორისო პროლეტარიატს კვლავ შეაბამენ იმპერიალისტურ ომის უღელში.

მარქსისტულ - ლენინური თეორიის პასივობა სტიქიურ მუშათა მოძრაობის წინაშე თუ სტიქიური მუშათა მოძრაობის დამორჩილება მარქსისტულ ლენინურ თეორიისადმი — აი ასე იდგა საკითხი 1903 წ. მთელ რუსეთში, რუსეთის მუშათა მოძრაობაში მარქსიზმმა, ლენინიზმმა სძლია. დაამარცხა სტიქიურ მუშათა მოძრაობის თაყვანისმცემელი — მენშევიზმი.

მარქსისტულ - ლენინურ თეორიის პასივობა სტიქიურ მუშათა მოძრაობის წინაშე, თუ სტიქიური მუშათა მოძრაობის დამორჩილება მარქსისტულ ლენინურ თეორიისადმი. მეორე ინტერნაციონალი თუ კომინტერნი აი ასე დგას დღეს საკითხი მსოფლიო მასშტაბით.

მარქსიზმის, ლენინიზმის გამარჯვება საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში აუცილებელი პირობაა მსოფლიო რევოლიუციის გასამარჯვებლად.

მელიტონ ფილია (ავგუსტა)

---

[1] სოციალ-დემოკრატიული შეგნება სინონიმი იყო მაშინ მარქსისტულ, მეცნიერულ სოციალისტურ შეგნებისა. მ. ფ.

[2] ხაზგასმული ყველგან ჩვენია. მ. ფ.

[3] ხაზგასმული კ. კაუცკისაა. მ. ფ.

[4] ლენინი სწერდა (1913 წ.) მარქსის მოძღვრების მეცნიერულ სოციალიზმის წარმოშობაზე შემდეგს:
„მისი (მარქსის) მოძღვრება წარმოიშვა როგორც ფილოსოფიისა, პოლიტიკურ ეკონომიისა და სოციალიზმის უდიდეს მოძღვრებათა პირდაპირი და უშუალო გაგრძელება". (კურსივი ლენინისაა)...
„იგი (მარქსის მოძღვრება) კანონიერი მემკვიდრეა ყველა იმ კარგის, რაც შექმნა კაცობრიობამ მე-19 საუკუნეში გერმანულ ფილოსოფიის, ინგლისურ პოლიტიკურ ეკონომიის და ფრანგულ სოციალიზმის სახით".
ლენინი („მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი". ტომი XII, ნაწილი 2 გვ. 55).

[5] ხაზგასმული ჩვენია. მ. ფ.

[6] გ. ვ. პლეხანოვი. მეორე ყრილობის ოქმები გვ. 123.

[7] ხაზგასმული ყველგან ჩვენია. მ. ფ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

თვითკრიტიკის ცეცხლით ქუთაისის მაზრაში

თვითკრიტიკის გატარებამ ქუთაისში და ქუთაისის მაზრაშიაც გამოამჟღავნა მრავალი დეფექტი.

„წვრილმანი" არანორმალობანი

მაგალითად: ბარიტის ქარხნის აღმშენებლობაში ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციის თვითნებობას მუშა-მოსამსახურეების მიღება-დათხოვნის საკითხში. მოისუსტებდა კავშირის მუშაობა, არ ექცეოდა ყურადღება მუშების ყოფა-ცხოვრებას. იყო შემთხვევა, როცა ზოგიერთი მუშა მუშაობდა 12-13 საათი; საწარმოო თათბირების მუშაობა არ სჩანდა. ასეთი დეფექტების აღმოსაფხვრელად მიღებულ იქნა ზომები; შეცვლილ იქნა ადგილკომის თავმჯდომარე, ეწყობა სისტემატიურათ საწარმოო თათბირები, თათბირებზე გარჩეული საკითხები ტარდება ცხოვრებაში, რის შემდეგ ბარიტის ქარხნის მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს.

გამსახლში გამოირკვა, რომ იქ ჰქონდა ადგილი პროფკავშირთა წევრების საწევრო ანარიცხების მითვისებას და გაფლანგვას, იყო აგრეთვე უთანხმოება ადმინისტრაციის და ადგილკომის შორის, ზოგიერთ უჯრედის წევრებს შორის — კინკლაობა და სხვა. ამის გამო გადახალისებულ იქნა გამსახლის თანამშრომლების შემადგენლობა, ადგილკომის თავმჯდომარე, რომელმაც გაფლანგა საწევრო ანარიცხები, პასუხისგებაში იქნა მიცემული.

მილიციაში გამოირკვა, რომ იქ იყვნენ დარჩენილნი არასასურველი ელემენტები. ჩატარდა მილიციის გაწმენდა და მოხსნილ იქნა 14 თანამშრომელი.

57 დღე თვეში. ნათესავიზაცია ბუხჰალტერიაში

ტყიბულის მაღაროებში აღმოჩნდა, რომ ადგილი ჰქონდა უსისტემობას ნახშირის გამომუშავებაში. იქ, სადაც საჭირო იყო 46 კაცი—მუშაობდა 74 კაცი (კაპიტალურ გვირაბებში). ამავე დროს შემოღებული იყო პრემიალური სისტემა, რამაც შეიტანა მუშებში ერთგვარი დეზორგანიზაცია. მაგ. იყო შემთხვევები, როცა ერთ მუშას ყოველთვიურად გამოყავდა 57 დღე ნამუშევარი 24 სამუშაო დღეში, რაიც სინამდვილეს არ შეეფერებოდა.

უფროსი მუშა, 7 კაცის საშუალებით ყრიდა მხოლოდ 20-25 „ვაგონეტკა" მიწას. როდესაც ეს დაუდევრობა გამოაშკარავდა და უფროსი მუშა მოიხსნა, ახალმა უფროსმა მუშამ იმავე მუშა ხელის საშუალებით ჩაყარა 65 „ვაგონეტკა" მიწა.

გამოირკვა აგრეთვე, რომ ბუხჰალტერიაში მუშაობდა 19 კაცი, უმთავრესად პროტექციით მიღებული ნათესავები, უმრავლესი საქმის არა მცოდნე. რის მიზეზით ბუხჰალტერია იმყოფებოდა ქაოტიურ მდგომარეობაში. გაჯანსაღებულ იქნა ბუხჰალტერიის შემადგენლობა და ნაცვლად 19 კაცისა დღეს იქ მუშაობს 9 კაცი, საქმეც უფრო სწორად და წარმატებით მიმდინარეობს.

საერთოდ ასეთი დეფექტები სხვა წარმოება - დაწესებულებებშიაც აღმოჩნდა.

სახელი ღარიბის, სახრავი კულაკის

თვითკრიტიკამ, სოფლადაც გამოაშკარავა მთელი რიგი დეფექტები.

ზოგიერთ თემალმასკომების თავმჯდომარეებათ მოხვედრილნი იყვნენ არასასურველი ელემენტები. ისინი არ აქცევდნენ სათანადო ყურადღებას გლეხობის მოთხოვნილებას, იმყოფებოდნენ შეძლებულების გავლენის ქვეშ, არ ქონდათ შესწავლილი თემის მცხოვრებლების ფენები, არ არჩევდნენ ერთი მეორისაგან შეძლებულს, ღარიბს, საშუალოს, რის გამოც მაზრაში შეცვლილ იქნა 8 თემალმასკომის თავმჯდომარე.

სვირის თემში გამოირკვა, რომ კოლმეურნეობაში შეპარული იყვნენ კულაკები და ვაჭრები.

ამაღლების თემში — სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას 1925 წ. გაუცია გრძელვადიანი სესხი უმეტეს ნაწილად შეძლებულებზე და მოსამსახურეებზე. 1927-28 წ. კი ამავე საკრ. ამხანაგობას შეუფარდებია მათზე ამნისტია, როგორც სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულებზე და ამ გვარად სესხი ჩამოუწერია, მიუხედავათ იმისა, რომ ერთი მათ რიცხვში სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებული არ ყოფილა. მიღებულია ზომები, რათა უკანონოთ ჩამოწერილი სესხი გადახდეს ამ გლეხებს და აღებული ფული გადაირიცხოს საკრედ. ამხანაგობის ღარიბ გლეხთა ფონდში.

თავშემონახული „კნიაზები"

ღარიბ გლეხთა ჯგუფების ინიციატივით სოფლად აღმოჩენილ იქნა თითქმის ყველა თემში ყოფილი მემამულეები, რომლებსაც დღემდე კიდევ შერჩენიათ ნორმაზე მეტი მიწები და ამუშავებენ ამ მიწებს დაქირავებულ მუშა ხელის საშუალებით. მაგ. ყოფილ „კნიაზს" მემამულე წულუკიძეს, რომელიც მსახურობდა რიონჰესში და საკმაოდ დიდ ხელფასს ღებულობდა, აღმოაჩნდა პატრიკეთის თემში ნორმაზე მეტი 30 ქცევა მიწა, მას ყავდა მოჯამაგირე, მიწა გაცემული ქონდა გლეხებზე და ეწეოდა ექსპლოატაციას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წულუკიძეს რამდენიმე წელიწადი სას.-სამეურნეო გადასახადიც კი არ გადაუხდია.

სოფ. ზეინდრის ემსის თავმჯდომარეთ აღმოჩნდა ყოფილი მემამულე ერისთავი, ის მიწას ამუშავებდა ექსპლოატაციის საშუალებით, მასაც ყავდა მოჯამაგირე. ერისთავმა ააშენა საკუთარი დიდი სახლი, რომელიც დაუჯდა 5 ათას მანეთზე მეტი. მიუხედავათ იმისა, რომ ეს ყოფილი თავადი ეწეოდა სასტიკ და აშკარა ექსპლოატაციას, ის მაინც ახერხებდა ყოველ წელიწადს ემსის თავმჯდომარეთ გაძრომას. გამოირკვა, რომ ერისთავს ამ თემის ყველა კუთხეში ყავდა მონათლულე 30 ბავშე მეტი, რის გამო არჩევნების დროს ის ახერხებდა ხმების უმრავლესობის შეკრებას თავის სასარგებლოდ ამ ბოლო დროს კი მას აღმოაჩნდა გაფლანგული 1500 მ. კოოპერაციის ფული, რაზედაც მიცემულია პასუხისგებაში.

ქვიტირის თემში აღმოჩნდა ყოფილი მემამულე „კნიაზი" პიპინია მიქელაძე არა მშრომელი ელემენტი. ის ცხოვრობდა ქუთაისში, სოფლად კი ქონდა მამული გაცემული გლეხებზე. მოსავლის მისაღებად მიდიოდა წელიწადში ერთხელ და მოქონდა ნახევარი მოსავლისა.

ბაღდათის თემში სოფ. დიმში მცხოვრებ მაღლაკელიძეს, რომელიც ღვინის ვაჭარია სოხუმში, აღმოაჩნდა 40 ქცევა ნორმაზე ზედმეტი მიწა.

ასეთი შემთხვევები მრავალ თემებში აღმოჩნდა.

ამრიგათ, თვითკრიტიკის საშუალებით, ღარიბ-გლეხთა ჯგუფების და ადგილობრივ პარტორგანიზაციების ინიციატივით აღმოჩენილ იქნა, ჯერჯერობით მხოლოთ 6 თემში, ნორმაზე ზედმეტი 1,420 ქცევა მიწა, რომელიც გადაეცა კოლმეურნეობებს დასამუშავებლათ.

ძველი ცოდვები მზის სინათლეზე

ამას გარდა, სოფლად თანდათან მჟღავნდება წარსულ წლებში მომხდარი მიწის ყიდვა-გაყიდვის შემთხვევები.

აღსანიშნავია ის გარემოება, თუ როგორ ოსტატობას მიმართავდნენ მიწის ყიდვა-გაყიდვის დროს. ირკვევა, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვას უმთავრესად ახდენდნენ მიწის იჯარით ან გირაოთ გაცემის სახით. მაგ. ბაღდადის თემში 1926 წ. ყოფილ პოლკოვნიკს ბაქრაძეს „იჯარით" გაუცია მიწა და აუღია 1.200 მანეთი. ყოფილ გენერალ ჩხეიძესაც სოფ. დიმში „იჯარით" გაუცია 10 დესეტინა მიწა და ერთი შენობა, რაშიაც აუღია 5.200 მანეთი. 1925 წ. ეწრის თემში მცხოვრებ ივანე ვერულაშვილსაც „გირაოს" სახით გაუცია მიწა და აუღია 500 მანეთი. ამ გირაოს ხელწერილს ადასტურებს თემალმასკომის თავმჯდომარე.

თვითკრიტიკა უნდა გავაღრმავოთ

ქუთაისის პარტიული ორგანიზაცია, როგორც ქალაქად, ისე სოფლად თვითკრიტიკის გაძლიერების მიზნით ენერგიულ მუშაობას აწარმოებს და მტკიცედ ატარებს კლასიურ ხაზს. პარტორგანიზაცია ცდილობს ყოველნაირად თვითკრიტიკაში ჩააბას მასის, რაც შეიძლება მეტი რაოდენობა. გაძლიერდა მუშების მონაწილეობა საწარმოო თათბირებში. მაგ. საქსოვ ქარხანაში საწარმოო თათბირებზე დასწრება უდრის 85—90 %-ს. უფრო მტკიცედ ტარდება მუშების დაწინაურება, მეტი ყურადღება ექცევა წარმოების საკითხებს (რაციონალიზაცია, შრომის ნაყოფიერების აწევა და სხვა).

სოფლის უჯრედები მეტ ყურადღებას აქცევენ ღარიბთა შეკავშირების და მათთვის მატერიალურ და სამეურნეო დახმარების საქმეს.

ასეთია პირველი შედეგები, რომელიც მისცა ქუთაისს და მის მაზრას თვითკრიტიკის ენერგიულად გატარებამ.

ს. მესხი.

არ დაუშვებთ ტყავტრესტის გატყავებას

ტყავტრესტის საქმიანობაზე ამ ბოლო დროს ბევრი დაიწერა გაზეთებში. იყო წერილები მოსკოვის პრესაშიაც. იყო მრავალი შენიშვნები და მითითებები, მაგრამ ტყავტრესტის გამგეობა ყურსაც არ იბერტყავს: „სწერონ, და სწერონ ქაღალდი"-ო, ასეთია ტრესტის მესვეურების აზრი ამის შესახებ. გასაკვირი არაფერია. გამგეობა ძალიან მაგრად გრძნობს თავს. ვის შეუძლია მათ ხელი ახლოს, როცა ტრესტის ბატონ-პატრონი თვითონ არიან.

ტყავეულობით ვაჭრობის ხელმძღვანელს ტრესტმა გამოუცვალა სახელი, დაარქვა მას ტრესტის ვაჭრობის დირექტორი და მოუმატა თვეში 50 მანეთი. ეს მაშინ, როცა ეს თანამდებობა სრულიად ზედმეტია.

ეხლა ტრესტის მესვეურთ მოსწყინდათ თბილისში სეირნობა და მოსკოვისაკენ დასეირნობენ. ივლისის პირველ რიცხვებში წავიდა რუსეთში 12 კაცი, ვითომ წარმოების მექანიზაციის გასაცნობად. დაისვა საკითხი, რომ თუ წასვლა მაინც და მაინც აუცილებელია, ნაწილი წასულიყო როსტოვში და გასცნობოდა იქ სპეციალურად ტყავის დამზადებას, ხოლო მეორე კი წასულიყო მოსკოვ-ლენინგრადში და გასცნობოდა ფეხსაცმელების დამზადებას. ეს წინადადება უარყვეს, რადგან „ამხანაგებს" ეწყინებოდა ერთმანეთის დაშორება. უმჯობესი არაა როსტოვის ნახვა და მოსკოვ - ლენინგრადისაც. და წავიდნენ? ზოგ ქალაქში ერთი ორი დღე დაჰყვეს და ზოგან კი რამდენიმე საათი. აქედან ცხადია, რომ გაგზავნილები ვერაფერს გაეცნობოდნენ. მათი წასვლა უფრო ექსკურსიას ჰგავდა და ისიც ცუდად მოწყობილ ექსკურსიას.

გზაში უჩხუბრად არ გადარჩენილან. ერთმანეთისათვის არ დაუკლიათ „ავლაბრული გინება" და შეურაცყოფა. მერე ვინ წავიდა წარმოების გასაცნობად რუსეთში? ფაბკომ-ქარხკომი, დირექტორი და „სპეცები". ტრესტმა ამ საქმეზე დახარჯა საკმაოდ დიდი ფული.

სხვებს არ ჩამორჩა მმართველის მოადგილე. ისიც გაემგზავრა მუხის ქერქისათვის რუსეთში. ჩამოვიდა თუ არა მოადგილე, წავიდა მმართველი, ალბად რაიმე „დიდი" დავალებით. ჩამოვა მმართველი—წავა ტრესტის ვაჭრობის დირექტორი და ასე. ალბად ერთ კაცს ყველაფერს ვერ ავალებენ.

ვინ არის ტრესტში პასუხისმგებელი? ვინ უნდა აგოს პასუხი იმ აუარებელ ზარალისათვის, რომელსაც იძლევა ტრესტის ზოგიერთი განყოფილება? თვე ისე არ გაივლის, რომ 500 ცალი ტყავი არ გაფუჭდეს. იყო ვინმე ამაზე დასჯილი თუ არა? არა. საქმე მიიჩქმალა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია საჩქაროდ ახდის ფარდას საქმის გულშემატკივართა ტყავში გახვეულ ტყავტრესტის გამტყავებლებს.

მანელუმ.

ბოროტმოქმედნი ბოროტმოქმედთა გამასწორებელნი

ლაპარაკია ქუთაისის გამასწორებელ სახლზე. გასასწორებელი აქ ბევრი რამ არის. გასწორებას საჭიროებენ პატიმარნი და კიდევ უფრო მათი აგმასწორებელ-მომვლელნი, სახლის მთელი ადმინისტრაცია, დაწყებული უფროსიდან და გათავებული გამასწორებელი სახლის მეეტლით.

როგორც ანდაზაშია ნათქვამი, თევზი აქაც თავიდან აყროლდა. ბოროტმოქმედებას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა თვითონ გამსახლის უფროსმა ბესარიონ კეთილაძემ. მას მიჰყვა მისი თანაშემწე ჭირში და ლხინში, იმედაძე, თანაშემწეს საამშენებლო ნაწილის გამგე გახოკიძე, საამშენებლო ნაწილის გამგეს ბუხჰალტერი ბაღათურია, ბუხჰალტერს მოლარე ბოსოვერია, მოლარეს დუქნის გამგეები ძიძუაშვილი, ურუშაძე, ყაველაშვილი, დუქნის გამგეებს გამსახლის კანცელარიის გამგე მიქაბერიძე, კანცელარიის გამგეს გამსახლის ბაღ-ბოსტნის გამგე ჯინჭველაშვილი და ასე დაუსრულებლივ.

ერთი სიტყვით, მოხდა ისე, როგორც ერთ რუსულ მოთხრობაშია ნათქვამი: «Дедка за редку, Бабка за дедку, внучка за бабку»... გაიხრწნა გამასწორებელი სახლის მთელი აპარატი. სადაც არ უნდა დაგედოთ თითი, ყველგან ბოროტმოქმედების, მოშხამულ ანტისაზოგადოებრივობის ჩირქი გადმოდიოდა.

დიდი ფიქრი არაა საჭირო იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა ზარალი მიაყენა ამ შანტაჟისტების კამპანიამ ქუთაისის გამასწორებელ სახლს. ჯერჯერობით ირკვევა, რომ ფულათ გაფლანგულია 15 ათასი მანეთი. ამას გარდა გამასწორებელ სახლს სხვადასხვა დაწესებულების ვალად დაედო 20.000 მანეთი. ეს რაც შეეხება ნაღდ ფულს. მაგრამ ქუთაისელი კომბინატორები არც ნატურით აღებაზე ამბობდენ უარს. უგზო-უკვლოდ დაიკარგა გამასწორებელ სახლის ორი ვაგონი თივა, 2.000 ფუთი პურის ფქვილი, ოთხი ღორი და ერთი ხარი. გარდა ამისა, არავინ იცის, სად მიდიოდა ის შემოსავალი, რომელსაც იძლეოდა გამსახლის ეტლი, რომელიც ქირაზე მუშაობდა.

როგორც ხედავთ, გამასწორებელი სახლის პირობაზე ძმა-ბიჭებს კაი გვარიანათ გაუკრავთ კბილი სახალხო ქონებისათვის. ბოროტმოქმედნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი, ბევრ მათგანს დიდათ არც კი შეუხვდება თავის შეწუხება, იქვე გამასწორებელ სახლში „მოისვენებს" ალბად. ეს ყველაფერი კარგი. მაგრამ, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, ისე ეხლაც იბადება საკითხი, რომელსაც უთუოდ გავცეთ პასუხი.

როგორ მოხდა, რომ მთელ დაწესებულებაში გაიხრწნა და გაშანტაჟისტდა დაწესებულების აპარატი, როგორ მოხდა, რომ ბოროტმოქმედებმა ხელში ჩაიგდეს ისეთი დაწესებულებათა ხელმძღვანელობა, რომლის დანიშნულებაც არის სწორედ ბოროტმოქმედთა გამასწორება და ყოველ დღე ახალ-ახალ სისაძაგლეს სჩადიოდნენ. როგორ მოხდა, რომ ყოველივე ამას ადგილი ჰქონდა ქუთაისში, თვალსაჩინო ადმინისტრატიულ-კულტურულ ცენტრში და ვერავინ შენიშნა ის? ვერც პარტიულ, ვერც პროფესიონალურმა ორგანიზაციამ, ვერც ადგილობრივ ადმინისტრატიულ ორგანოებმა ვერ აღმოაჩინა ბოროტმოქმედების იარა თავის დროზე, ვერ მოჰკვეთა ის ძირშივე, სანამ მთელი დაწესებულება გაიხრწნებოდა და დაეცემოდა?

ეს საკითხი საინტერესოა არა მარტო იმ მხრივ, რომ ჩვენ მივიღოთ პასუხი ქუთაისის გამასწორებელ სახლში აღმოჩენილ უმსგავსობათა შესახებ. ეს საკითხი კიდევ უფრო საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ჩვენ ვიცოდეთ, რა გარანტია არსებობს, რომ ასეთი იარა ჩვენი აპარატის სხეულზე სხვაგან კიდევ არ არის ამ რაიონში, რა გარანტიაა, რომ ის იქნება შემჩნეული და ძირფესვიანად აღმოფხვრილი.

თვითონ ქუთაისში და ქუთაისის მაზრაში უკანასკნელ ხანებში დიდი მუშაობა სწარმოებს თვითკრიტიკის გასაღრმავებლად, მასის აქტიურად ამოძრავებისათვის ჩვენი დეფექტებისა და ნაკლოვანებებთან დაუნდობელი ბრძოლის მიზნით. ამ მუშაობამ უკვე მოგვცა საგრძნობი დადებითი შედეგები. საჭიროა მისი კიდევ უფრო გაშლა-გაფართოვება, რომ აღარ განმეორდეს გამასწორებელი სახლში მომხდარი უმსგავსოების მაგვარი მეორე უმსგავსოება.

რანი.

ვისთვის გამოაქვს ოზურგეთის სასამართლოს დადგენილებები?

(ოზურგეთი)

საუბარი სწარმოებს სახალხო მოსამართლე და მაზრის მილიციის უფროსის შორის.

— გამარჯობა კაი შენი!

— ვალერიანს სიცოცხლე! რა იყო კაცო, რაღაც დღეს არაჩვეულებრივად ლაპარაკებოდი ტელეფონით.

— ისე ვარ ლავრენტი, რომ სისხლი კისერზე მადგია. კაცო, ლავრენტი, ეს „მსუბუქი კავალერია" რაღა ჩემ საუბედუროთ მოიგონეს. ერთი, რომ შემოიხედონ კომკავშირლებმა სასამართლოში, მეტი არ უნდა, ყველაფერს აღმოაჩენენ.

— მაგალითად რას.

— რას და... დიომიდე და დათიკო გოლიაძეებს, კალანდაძეს და ფსეიშვილს, ქალის მოტაცებისთვის მისჯილი აქვთ თითო წლით პატიმრობა, რაც ა. წ. 27 აპრილს დაამტკიცა უზ. სასამართლომ; კულაკ ბარნაბ დარჩიას გლეხებზე თოფით თავდასხმისათვის მიესაჯა 15 დღით იძულებითი მუშაობა, რაც ა. წ. 18 თებერვალს დაამტკიცა უზ. სასამართლომ; ანტი-საბჭოთა ელემენტს — ნესტორ წიტაიშვილს კომკავშირელ თხილაიშვილის ცემისათვის მიესაჯა ერთი თვით იძ. მუშაობა გამსახლში მოთავსებით — დამტკიცებულია უზ. სასამართ. მიერ ა.წ. 27 აპრ. სიმონ კობიძეს ვიღაც ქვრივის ღორების შესახებ, მისჯილი ჰქონდა ერთი თვე პატიმრობა; მასწავლებელ ხ. ბარამიძეს ხულიგნობისათვის მიესაჯა ერთი თვით იძულებითი მუშაობა; მაგრამ არც ერთ ზემოხსენებულ პირს აღნიშნული სასჯელი არ მოუხდია და არც აწუხებს არავინ.

ოზურგეთის თემში, სიმაიშვილისეულ მიწიდან, სასამართლოს დადგენილებით, უნდა ასახლებულიყვნენ: სიხარულიძე, ღლონტი, კვირღელიძე და სხვები: შიგ ქალაქში ანდღულაძისეულ მიწიდან უნდა ასახლებულიყო ვასილ ვაშლამიძე; ცერცვაძისეულ მიწიდან უნდა ასახლებულიყო ის. თოდრია, მაგრამ სასამართლოს დადგენილება არც ერთ ამ საქმეების შესახებ არ არის სისრულეში მოყვანილი.

არც ერთი განაჩენი, მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ არ სრულდება. და მასთან სახაზინო ტყის გამჩეხები, რომლებსაც მისჯილი აქვთ სხვა და სხვა გვარი სახის სასჯელი, არ არიან დასჯილნი.

— გაჩერდი, გაჩერდი თუ კაცი ხარ სანამ არ შამომივიდეს გულზე! შენ, კაი კაცო, ეს დადგენილება ქაღალდზე აღსანიშნავად გამოგქონდა თუ სისრულეში მოსაყვანად? იყო მილიციის უფროსის პასუხი.

— შენც ერთი რა! ისე ლაპარაკობ, თითქოს არც კი იცოდე საქმის მდგომარეობა. არ გახსოვს, რამდენხელ მოგწერე ოფიციალურად სასამართლოს დადგენილების სისრულეში მოყვანის შესახებ? მოწერილობა მოწერილობათ დარჩა და ბრალდება ბრალდებათ.

— მოდი ეხლა ამას ელაპარაკე! შენ არ იყავი, როცა სასამართლოს განაჩენი სისრულეში მომყავდა, მოწერილობას, მოწერილობაზე მადევნებდი, განაჩენის სისრულეში მოყვანა შეაჩერე განსაკუთრებულ განკარგულებამდეო? აღელვებით უპასუხა მილიციის უფროსმა.

— ნუ მიყვირი, თუ ძმახარ, და ნურც ცხარდები. ვნახოთ ვისი ბრალი იქნება ამდენი განაჩენის უყურადღებოდ დატოვება.

— სინდისიც კაი საქონელია, ჩემო ვალერიან! მშვიდობით, მშვიდობით. ძმაო და...

ვალირიანი და ლავრენტი გულცივად დაშორდნენ ერთი მეორეს. ხოლო თავისთვის კი ორივე ასე ამბობდა: „ვნახოთ რას იზამს „მსუბუქი კავალერია". თუ გაზეთში გამოაქვეყნებს ეს ხომ სიკვდილია ჩვენთვის"-ო

სმალი.

ერიდებიან „მდაბიო ხალხს"

(წაღვერის პანსიონატი)

ბევრ ჩვენ დაწესებულების მუშაკებს ჯერ კიდევ ძაგრად აქვთ გაბჯდარი ტვინში ძველი წარჩინებული, ეხლა უკვე ყოფილი ხალხის პატივისცემა. მუშები და გლეხები მათთვის „მდაბიო ხალხია".

ამ მხრივ საინტერესო არის წელს წაღვერის პანსიონატი. ჩემს იქ ყოფნის დროს დამსვენებლები იყოფოდნენ ორ კატეგორიად: ერთნი ისეთები, რომელთაც იციან პატივის ფასი და მეორენი—მუშები, კომუნისტ-კომკავშირელნი, დაბალი წრის ხალხი, რომელთაც პატივისცემის—კარგი მოპყრობის ფასი არ იციან. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ შემდეგ ფაქტს.

ბორჯომის შუშის ქარხნის მუშები და მათთან ერთად მეც მოგვათავსეს დაბლა, დაუგველ, ჭუჭყიან და ბაღლინჯოთ სავსე ოთახში, სადაც ნიადაგ დგას ძველი, დამპალი ნივთების სუნი. ექვსი დღის განმავლობაში ჩვენი ოთახი არ დაუგვიათ. იმ დროს, როდესაც ზემო სართულში დღეში სამჯერ გვიდნენ და ასუფთავებდნენ ბინებს.

სასადილო ოთახში დღის 12 საათზე „ხაზეიკა" ჩვენ არ გვიშვებდა, იმ დროს, როდესაც რჩეულების ნარდის, ჭადრაკის და დომინოს თამაშით იქაურობა აკლებული იყო, ჩვენს მაგიდას, რომელსაც შვიდი მუშა ეჯდა ყოველ მხრიდან, მოღუშული უცქეროდნენ, განსაკუთრებით თავი ისახელა ამ მხრივ ექიმმა, „ხაზეიკამ" და ეგრედ წოდებულ სათნოების დამ. ჩვენდამი მოპყრობა ისეთი იყო, როგორც ძველად მდიდრის ქალებში დაუპატიჟებელ მათხოვრებს ექცეოდნენ. ჩვენ ხმა ამოვიღეთ და მივმართეთ სამნეო ნაწილის გამგე მაისურაძეს, რათა ჩვენი სადგომი დაესუფთავებიათ.

მაისურაძემ ნახა ჩვენი ოთახი და შენიშვნა მისცა პანსიონატის თანამშრომლებს, რომელნიც ჩვენს ბინას არ გვიდნენ. ამის შემდეგ უფრო ცუდათ დაგვიწყეს ცქერა. ჩვენს შორის იყო თურქული გაზეთის „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს თანამშრომელი, რომელსაც სრულიად უმიზეზოდ სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენა „ხაზეიკამ".

იმ დროს, როდესაც ათასი პარტიული და უპარტიო პატიოსანი მშრომელი უმუშევარია წლობით,ჩვენ „ხაზეიკათ" გვყავს ყოფილი ოფიცრის ცოლი, ექიმად და პანსიონატის გამგეთ ყოფილი თავადი მელიქიშვილი. სათნოების დაც ამავე ყაიდისაა.

საჭიროა მელიქიშვილების გაფრთხილება, რომ მათ გაიგონ რა ქვეყანაში არიან და რომელ ხელისუფლების თანამშრომლებათ ითვლებიან. საჭიროა მაგრათ ნიშადური ვაყლაპვინოთ მათ, რომ შეისმინონ მათი მოვალეობა.

შ. მამუკაშვილი.

ვინღა უნდა დაიცვას კანონი!

(ბაღდადი, ქუთაისის მაზრა)

ბევრი ლაპარაკია მიწების ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მაგრამ ბევრგან ის ჯერ კიდევ ვერ აღმოიფხვრა. ან და როგორ აღმოიფხვრება, როდესაც ზოგჯერ თემის სათავეში მყოფი „მესვეურები" ხელს უწყობენ ამ ბოროტმოქმედებას? მაგალითად, სოფ. როკითში ცხოვრობენ ჭიჭიკო და ვალიკო (ვარლამ) ხორავები, რომლებსაც, დიმი-როკითის სარწყავი არხის გაყვანის გამო გაუჭრეს ადგილი, ხორავებს წყალის გაყვანისათვის უნდა გადაეხადათ 140 მანეთი, მაგრამ ეს ფული არ ქონდათ, მათ მაგივრათ 140 მანეთი გადაიხადა თემალმასკომის თავმჯდომარემ ვალ. კოხოძემ, რის მაგიერადაც აიღო დიდველში მდებარე ხორავების მიწა. სამი წლის შემდეგ ხორავებმა მიუტანეს ფული კოხოძეს და თხოვეს ვალის მიღება და მიწის დაბრუნება, კოხოძემ უპასუხა, „ხომ იცით რამდენ სარგებელს მოიტანდა ის ფული, მიწას ველარ დაგიბრუნებთო".

მიწა ჩვენს თემში გაყიდული აქვს აგრეთვე თავმჯდომარის ბიძაშვილს —ვარლამ კოხოძეს ვინმე გოგსაძეზე.

მრავალია, ასეთი მაგალითები აქ, მაგრამ ბოროტებას შეგნებულად აფარებენ ხელს.

არა ნაკლები ღვაწლი „მიუძღვის" ამ მხრივ ბაღდადის რაიმილიციის უფროსს გ. ცქიტიშვილს. მოვიყვანოთ მაგალითები: სოფ. ფერსათში მცხოვრებმა პორფილე ჭელიძემ იყიდა თედორე სოსიას ძე ჭელიძისაგან 2 ქცევა ვენახი. დათიკო ნიკოლოზის ძე ჭელიძემ იყიდა ერთნახევარი ქცევა სამამულე ადგილი ობლების ქონება, შალიკო ჩივაძისაგან. გამრიგებელი კი იყო წითელ ხევში მცხოვრები შემჩენკო და ფერსათელი ნოე სვანიძე. სიმონ სამსონიძემ მიყიდა ბესარიონ ენდელაძეს ერთნახევარი ქცევა ადგილი, მოწმეებია ვასილ სამსონიძე და სოსო ფაშკუიძე.

ყველაფერი ეს კარგად იცის ბაღდადის რაიმილუფროსმა გიორგი ცქიტიშვილმა, მაგრამ ვერ ამხელს, ეშინია გამცემენო, ვინაიდან თვითონაც აქვს გაყიდული 2 ქცევა ვენახი, მიყიდა ვლადიმერ თედორესძე ჭელიძეს, დოკუმენტებით 1924 წელში. გამრიგებელი იყო ბესარიონ ჭელიძე.

ამაზე იტყვიან, ქურდი ქურდზე ზის და ქურდითვე მიერეკებაო. ასეთ მდგომარეობაში ვინ უნდა დაიცვას საბჭოთა კანონი ბაღდათის თემში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც თუ ისე ადვილი საქმეა.

სოფლელი.

ავტომობილებს და ველოსიპედებს პატრონი არ ჰყავთ

(წერილი სენაკიდან)

დღეს ჩვენში ნაკლებად თუ არის ისეთი მაზრა ან დიდი რაიონი, რომელსაც არ ყავს ავტომობილი, მოტოციკლეტი ან სხვა სახის მანქანა.

სენაკის სამაზრო აღმასკომი ამ მხრივ სხვას არ ჩამორჩება. მას ყავს ორი მსუბუქი ავტომობილი, 3-4 ველოსიპედი და სხვა. კარგია, რა თქმა უნდა, ეს გადასაზიდი საშუალება, მაგრამ ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს მასაში, როცა ამ სახელმწიფო ქონებას ხშირად პირად საქმეზე იყენებენ, სათანადოდ არ უვლიან და არ ინახავენ.

სენაკის სამალმასკომიც ამ მხრივ არაა უცოდველი: ხშირად დაჰქრიან აღმასკომის ავტომობილები — სხვადასხვა მიმართულებით კერძო დანიშნულებისამებრ. ფაქტია, რომ აღმასკომის ავტო ჩასრიალდა მარნის თემში—ისიც „აღდგომა დღეს", „სახელმწიფო პირებით" ნათესავებთან.

ასეთი გაუფრთხილებლობით ცვდება მანქანა და იხარჯება სახელმწიფო ფულით შეძენილი ბენზინი. რამდენიმეჯერ მანქანა სერიოზულად დაზიანდა, რემონტზე აღმასკომის ბიუჯეტიდან დაიხარჯა არა ერთი ასეული მანეთი.

უკანასკნელად, როცა აღმასკომს ორი ავტომობილი ყავს (მეორე ავტომობილი ივლისიდანაა), მათი გამოყენება პირად საქმეზე მეტად გაცხარდა. ზოგიერთები მდ. ტეხურში ტანის საბანადაც კი აღმასკომის ავტომობილით დადიან.

ავტომობილის გარდა, როგორც მოვიხსენიეთ, სამალმასკომს ველოსიპედებიც ყავს. თითეული მათგანი: 150 210 მანეთადაა შეძენილი. ზოგი ინსტრუქტორებს ყავს, ზოგიც განყ. გამგეს. ერთი მათგანი ყავდა მარტვილის თემალმასკომის ყოფ. თავმჯდომარე მას შერჩა სამალმასკომის ინსტრუქტორად ყოფნის დროიდან; როცა ის თემალმასკომის თ-რედ გადაიყვანეს, თან წაიღო მარტვილში ველოსიპედიც.

შემდეგ, როცა შამათავა თავის „მოღვაწეობისათვის" მარტვილიდან მოხსნეს, წასვლის წინ სამალმასკომის ველოსიპედი თავის მეგობარ — ფინმუშაკეს გოგინავას (დაპატიმრებულია მარტვილის საქმის გამო) აჩუქა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა და მარტვილში აღმოჩენილ ბოროტმოქმედებათა შემდეგ ველოსიპედი დაუბრუნდა სამალმასკომს,მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ ველოსიპედს „ბედი არ უწერია". დღეს ის სტატ. განყ. განკარგულებაშია, სადაც 99 პროც. კერძო საქმეებზე დააჯირითებენ.

ამ „წვრილმანებზე" გაზეთში წერა ზედმეტიც იქნებოდა, რომ ასეთი შემთხვევები შემცირებისა ნაცვლად არ ვითარდებოდეს.

ამას უნდა მიექცეს საჭირო ყურადღება.

სახელმწიფო ქონებისადმი მომჭირნეობა აქაც მტკიცედ უნდა დავიცვათ.

მეთვალყური.

„შემოხარჯული" 1.500 მანეთი

(წერილი სენაკიდან)

სენაკის სამალმასკომი საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებიდან ყოველთვიურად ღებულობდა განსაზღვრულ თანხას ინვალიდებისათვის დახმარების გასაწევად. აღმასკომი ამ თანხას ხელწერილის ქვეშ აძლევდა საფინანსო განყოფილებას, უკანასკნელი კი ანაწილებდა მას დანიშნულებისამებრ—თავის დროზე.

მოხდა ისე, რომ ინვალიდებისათვის ფულის დარიგება დიდათ დაგვიანდა. დატრიალდნენ ადგილობრივ. სამალმასკომის საქმეთა მწარმოებელმა ბაგრატ არჩაიამ, რომელსაც მინდობილობით სისტემატიურად გამოჰქონდა ხსენებული თანხა ფოსტიდან, თავი ამოჰყო პოლიტბიუროს საკანში. აღმოჩნდა, რომ გაფლანგულია 1.500 მანეთამდე. არჩაიამ განაცხადა: „კი არ გამიფლანგავს, შემომეხარჯა"-ო. ეხლა მაინც ყველასათვის გასაგებია თუ რა თანხებით უმასპინძლდებოდა მცირე ხელფასიანი არჩაია ძმა-ბიჭებს, როცა ის თითქმის ყოველდღე, სასადილო-რესტორანებში სისტემატიურ ლოთობას ეწეოდა.

საკითხავია: სად იყო აღმასკომი, ის ხალხი, რომელიც არჩაიას თანხების მიღებაზე სისტემატიურად აძლევდა მინდობილობას, ხოლო ფოსტიდან გამოტანილ ფულს არ სთხოვდა? ნუ თუ ესეც „გულმავიწყობის" ბრალია? ნუ თუ მათ არ ქონდათ წუთები მაინც იმისათვის, რომ ამ „წვრილმან" საქმისთვისაც—მიექციათ ყურადღება და შეემოწმებიათ: არჩაიამ მინდობილობის თანახმად მიიღო და ჩააბარა თუ არა თანხები დანიშნულებისამებრ.

ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ბევრგან ჩვენს საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებში ჯერ კიდევ არის ზოგიერთი უპასუხისმგებლო და არა გულწრფელი მუშაკები. ეს ფაქტი ნათელჰყოფს თუ რამდენად გვჭირდება დღეს ჩვენ, მუშაობის ყველა დარგში მტკიცე კონტროლი და თვითშემოწმება.

საქმის მცოდნე.

„ანკესის მსროლელი" ბუხჰალტერი

(ოზურგეთი)

ოზურგეთის აბრეშუმის ძაფსახვევ ქარხანაში ბუხჰალტრად მუშაობს ვინმე დათიკო პაიჭაძე. მან თითქმის ხელთ იგდო ქარხანაში ყოველგვარი უფლებები. ბუხჰალტერი არის ლამაზებისა და ნათესავების მოყვარული კაცი. გურიაში ამ უკანასკნელ ხანებში მუშებისათვის დასარიგებლად მოიტანეს სიმინდი. საიდგანაც გამოჩნდა პაიჭაძე. მან ითავა სიმინდის განაწილება და „გაანაწილა" კიდეც. მუშების ნახევარი რაოდენობა უსიამოვნოთ დარჩა. სიმინდი არ შეხვდა ისეთებსაც კი, რომლებიც უკიდურეს მდგომარეობას განიცდიდენ. სამაგიეროთ პაიჭაძემ ოც-ოცი ფუთი სიმინდი გამოუწერა და მისცა ისეთებს, რომლებიც არ საჭიროებდნენ 2 და 3 ფუთსაც კი.

პაიჭაძის თავხედობა უფრო შორს მიდის. მოვიყვანოთ მრავალიდან ერთი უკანასკნელი მაგალითი: ოზურგეთის მაზრის პროფკავშირი ქარხანაში სამუშაოზე გზავნის უმუშევარ ღარიბ ქალს ელ. დ-ვს, რომელიც ეცხადება პატ. პაიჭაძეს მივლინების ქაღალდებით ხელში. პაიჭაძე დიდ ხანს ყურადღებას არ აქცევს მას და ბოლოს დასჭექს: „გაეთრიეთ აქედან, რამდენი შენისთანა მოეთრევა, ყველასთან ლაპარაკით სად მცალია"-ო. დაშინებული, ქალი გარბის.

მუშები ვერ ინელებენ პაიჭაძეს. ისინი ხშირად უჩივიან მას ქარხნის ადმინისტრაციასთან, მაგრამ არავინ აწყენინებს „დათიკოს". ყველას ახსოვს მისი პურ-ღვინო და ქეიფი — ენაწყლიანი „რეჩებით"..

ამ უკანასკნელ ხანებში პაიჭაძემ რატომღაც მთელი ბუხჰალტერია აურია. აღსანიშნავია საუბარი, რომელიც ჰქონდა მას 1-ლ აგვისტოს ქარხნის თანამშრომელ ვალიკო ღლონტთან, აი, რას ამბობს თავგასული ბუხჰალტერი: „ბიჭო, ვალიკო, სჯობს რომ მე არ მომხსნან სამსახურიდან, თორემ მე თუ წავედი, ბუხჰალტერიის ღმერთიც რომ მოიყვანონ, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს ჩემს ნამუშევარს. ბალანს ჩემს მეტი ვერავინ შეადგენს. ისეთი ძაფიანი ანკესი გადავაგდე, რომ ვერავინ შესძლებს ჩემს მეტი მის ამოხსნას".

ამის შემდეგ, ვფიქრობ, ზედმეტია სხვა ფაქტების მოყვანა ბუხჰალტერ პაიჭაძის დასახასიათებლად.

ნუ თუ არავინ გამოჩნდა ისეთი, რომ თვით პაიჭაძეს გადაუგდოს ანკესი და ჩამოშოროს ეს ხორცმეტი აბრეშუმის ძაფსახვევ ქარხანას?

კომკავშირელი.

ქეიფი აგარაკზე

(ზეკარი)

კვირა დღე იყო, როცა ზეკარის თემის მაღალ სფეროებს ქეიფის ქეიფი დაებადათ. გაიმართა ბზობა, სად და როგორ გადაეხადათ ნადიმი. ზეკრის ბუნება და არე-მარე იმდენად მდიდარია საქეიფო ადგილებით, რომ საკითხს დიდი დისკუსია არ გამოუწვევია. ოღონდ ფული და სურვილი იყვეს და აქ, საითკენაც კი გაიშვერ ხელს, ყველგან ერთიმეორეზე უკეთესი სანავარდო ადგილები აღმოჩნდება. კამპანიამ მაინც არ ისურვა დროის ტარება ბუნების წიაღში და ზეკარის თვალწარმტაცი სილამაზეს ადგილობრივ აბანოს სასადილოს გამჭვარტლული კედლები არჩია.

მოქეიფენი გაემართნენ სასადილოსაკენ: წინ ერკემალივით მიდიოდა აღმასკომის თავმჯდომარე ჯაფარიძე, რომელსაც ღიღინით და მასლაათით უკან მიუძღოდა ექიმი ხარაბაძე, აღმასკომის ფინაგენტი ნემსაძე და ადგილობრივი აფთიაქის პროვიზორი...

სასადილოს გაძგე ჯარასავით დატრიალდა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, მთელი თემის წარჩინებულნი ეწვია მას და „ბრძანებითა თვისითა გაახარეს გული მისი!" დაიწყო ყარაჩოღული სმა და ქეიფი. ყველა ერთიმეორეს ეჯიბრებოდა მოლხენაში. დაილია ამ ქვეყნად არსებულ და არარსებულთა სადღეგრძელოები. ბოლოს, ყველაფერი რომ გამოილია, საქმე მიდგა პოლიტიკურ ტოსტებზე გაახსენდათ მამა-პაპა, ძველი პურმარილი, გულში შოვინისტურმა გრძნობებმა გაუღიტინათ. ექიმმა ხარაბაძემ პატრიოტული ტოსტი თავისებურათ დაასაბუთა.

ქართველ კაცს ღვინის სმაში ვერავინ შეედრება. სთქვა მან. თათარი, რომ დათვრება, დაიძინებს, რუსი იცინის, ქართველი კიდეც იცინის და თან ლამაზ ქალს დაეძებსო. სიტყვას საქმეც უნდა მოყოლოდა. საჭირო იყო ექიმ ხარაბაძის მიერ მიცემულ დახასიათების პრაქტიკულად განხორციელება. ქართველებიც ესენი იყვნენ, ღვინოსაც მაგრად გრძნობდნენ თავში, საჭირო იყო ლამაზი ქალები. ეს მესამეც ადვილად მოიძებნა. იქვე, აბანოს მახლობლად ცხოვრობდნენ მოაგარაკე ქალები.

უკვე ბნელოდა, მთელ აგარაკს ეძინა, მაგრამ მოქეიფე კამპანია ამას არ დაგიდევს. აიშალნენ ძმა-ბიჭები და პირდაპირ გაემართნენ ერთ-ერთ სახლისკენ, სადაც ქალები ეგულებოდათ.

მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. თავდამსხმელებს ქალები რაინდულად დაუხვდნენ. ერთ-ერთი დაუპატიჟებელი სტუმარი, ნემსაძე ისე დაზილეს, რომ ჭამის მადა კარგა ხნით დაუკარგეს.

ასეთ საქმეს სჩადიან ზეკარის მესვეურნი, დაწყებული ადმინისტრაციიდან და გათავებული მკურნალ-ექიმებით.

სამკურნალოდ, საზოგადოთ [illegible] ამ აგარაკზე. მაგრამ მათი განკურნება რა სალაპარაკოა, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება და ეგრედწოდებული „მოწინავე" პირები ქეიფისა და შოვინიზმის განუკურნებელი სენით არიან დაავადებული.

დიდი სამკურნალო საქმეებია ზეკარის აგარაკზე, მაგრამ ვექვობთ, რომ ამ საქმეებს თავი მოუაროს ექიმ ხარაბაძის მზგავს მკურნალებმა. აქ სულ სხვა ხელია საჭირო, სულ სხვა მკურნალი და გამჯანსაღებელი.

პანგა.

ვინ „აშენებს" სოციალიზმს!

შეიძლება თუ არა ბაღდათის თემში სოფ. დიმში მცხოვრებ სანდრო და მის შვილს პოკი აბულაძეს ეწოდოს კულაკი.

ძველ დროს ამ ხალხს ქონდა 200 დესეტინამდე მიწა, მათვე ყავდა რამოდენიმე ათეული ღარიბი გლეხი დამონავებული. 1921 წლის შემდეგ მოახერხეს შეენარჩუნებიათ ნორმაზე ზევით მიწები. მაგრამ ქუთაისის სადგილ-მამულო განყოფილებამ, ამ დღეებში გამოგზავნა „ვიღაც შეჩვენებული", მიწის მზომელი და აბულაძეებს დაურღვიეს მყუდროება. აღმოჩნდა რამოდენიმე ქცევა ჩამოსართმევი მიწები. აბა საიდან დასჭირდათ ამ „დოვლათებს" სამი მოჯამაგირე? როგორ ფიქრობთ, თურმე აბულაძეს შეკოდა მოჯამაგირეები და „ლუკმა პურისთვის" აიყვანა ისინი.

ამას გარდა, არ იქნება ცოდვა გავიხსენოთ, რომ პოკი აბულაძე 24 წლის გამოსვლებს მეთაურობდა თავის რაიონში. (ალბათ, 200 დესეტინა მიწის გამგვრელება მოინდომა). არ მოტყუვდეს ვინმე და არ იფიქროს, რომ დღეს ბ-ნი პოკი დასჯილი იყოს, პირიქით, პოკის ჩვენს რესპუბლიკაში ღირსეული ადგილი უჭირავს. „კოოპერაცია გზაა სოციალიზმისაკენ"-ო. თუ კი ასეა, რატომ პოკისაც არ მივანდოთ ამ გზის კეთება? კოოპერაციას საქართველოში ყავს ხელმძღვანელი ორგანო „ცეკავშირი". პოკის, როგორც „დიდ კაცს" ვინ კადრებს სადმე პროვინციებში მუშაობას?

თბილისში კი, ცეკავშირში, პოკის დაკავებული აქვს მოზრდილი მაგიდა, ღებულობს მოზრდილ ჯამაგირს, და აწარმოებს მუშაობას „სოციალიზმის დასამყარებლად".

ასეთი ხალხის იმედით შორს კი წავა ჩვენი კოოპერაცია!

როკელი.

„გავლენიანი" კაცის შემწეობით

(ზუგდიდი)

1927—28 წ. კოოპერატივის გამგეობის არჩევნების დროს ზუგდიდის კოოპერატივის გამგეობაში გაყვანილ იქნა ერთი „გავლენიანი" კაცის მოთხოვნით ამავე „გავლენიანი" კაცის სიძე გერმანე ჯაკონია.

ჯაკონია მეორე დღესვე წამოსკუპდა გამგეობის სავარძელზე.

ჯაკონიამ მეორე დღესვე იგრძნო უკმაყოფილება წევრებს შორის თავის მიმართ, და, რომ განმტკიცებულიყო ახალ ადგილზე, დაიწყო თავის გარშემო „სანდო პირების" დარაზმვა. სამსახურიდან მოხსნა ერთ-ერთი თანამშრომელი და მის ადგილზე მიიღო თავის ცოლის ნათესავი. შეეცადა მოეხსნა მაგალითად, ცაიშის კახეთის ნოქარი, მაგრამ ადგილობრივი ორგანიზაცია თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა და ჯაკონიას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

უკანონოდ მოხსნილ თანამშრომელთა დაკმაყოფილებით კოოპერატივმა იზარალა სამას მანეთამდე.

ამას წინათ ხსენებული ჯაკონია საქართველოს საკონტროლო კომისიამ გამორიცხა პარტიიდან ერთი „საეჭვო" საქმის ჩადენისათვის. ადგილობრივ ორგანიზაციას უნდა მოეხსნა იგი ამის შემდეგ საპასუხისმგებლო ადგილიდანაც, როგორც არა კომუნისტური ელემენტი, მაგრამ მას ისევ მფარველობს სიძე.

დღეს ჯაკონია განაგრძობს ზუგდიდსა და თბილისს შუა მოგზაურობას კოოპერატივის ხარჯზე, რომ იქ საკონტროლო კომისიაში უშველოს თავის საქმეს.

დაუდევრობა ჯაკონიას მხრივ გრძელდება, კოოპერატივის თანხები იხარჯება მის პირადი საქმეზე, ამას კი სარევიზიო კომისიაც ყურადღებას არ აქცევს.

საჭიროა ასეთ მდგომარეობას სამაზრო კომიტეტმა და ცეკავშირმა მიაქციონ დროზე ყურადღება.

ფალი.

ვის ხელშია „ჟოკეი კლუბი"

ერთ კვირა დღეს შემთხვევით შევედი „ჟოკეი კლუბში". საერთოდ სასიამოვნოა და თვალწარმტაცი ეს კლუბი თავისი ბაღით და მოწყობილობით მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით კლუბში მოსიარულე ხალხზე და კლუბის ადმინისტრაციაზე.

კლუბს განაგებს „დამსახურებული და პატიოსანი" თავადიშვილი საშა ჩხეიძე, რომელიც იყო პრისტავად ხონში 1910-11 და 12 წლებში.

მენშევიკების დროს მსახურობდა ჟორდანიას პირად ადიუტანტათ, საიდანაც დათხოვნილ იქნა სახაზინო ფულების მითვისებისათვის.

ჩხეიძეს მის გარშემო თავისი ყაიდის და მოდგმის ხალხი შემოუკრებია. „ჟოკეი-კლუბში" ბევრად მოგვაგონებს ამ მხრივ ძველ, თავად-აზნაურთა კლუბს.

თქვენ აქ ნახავთ: ფალავებს, დადიანებს, მიქელაძეებს და სხვა ასეთ „წარჩინებულ" პირთ.

მშვენივრად აქვთ როლები განაწილებული ამ ყმაწვილებს კლუბში. პარაზიტების საუნჯეთ არის გადაქცეული ეს დაწესებულება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შრომის ბირჟაზე მოიპოვება ხალხი, რომელიც შესძლებს „ჟოკეი-კლუბში" მოკალათებულ თავად-აზნაურობის შეცვლას. საინტერესოა, ასე ფიქრობს თუ არა ის ორგანო, რომელმაც „ჟოკეი-კლუბი" საწველ ფურად ჩაუგდო ხელში ყოფილ ხალხს.

ნარი.

გეთიას ოინები

(ქ. ხაშური)

ხაშურის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულების გამგეთ ითვლება პეტრე გეთია.

გეთია დიდი თვითნება კაცია. ხშირად, როცა თანამშრომლებში სდგას ატრყამს ხოლმე ჩასუქებულ მუცელზედ ხელს და იტყვის: „ჩემთან ცოტა ფრთხილად იყავით, თორემ ხომ იცით. მე ისეთი კაცი ვარ, რომ პატარა რამეს ვერ ავიტან"...

ვაი მისი ბრალი, ვინც გეთიას წინააღმდეგ ხმას ამოიღებს. ბევრი კარგიც რომ უთხრა და საქმისათვის გამოსადეგი, ის მაინც იტყვის: „რა თქვენი საქმეა, ჩემი ნება ასეა, მე ასე მინდა, ასეც მოვიქცევი"-ო. შიშით ხმას ვერავინ იღებს გეთიას მთელ რიგ უკანონო მოქმედების წინააღმდეგ.

მაგალითისათვის დავასახელებთ რამდენიმე ფაქტს გეთიას „მოღვაწეობიდან".

1927 წლ. ოქტომბერში ოდესიდან ხაშურში მოვიდა ფასიანი წერილი ვინმე ქიმერიძის სახელზე. წერილის მიმღები გამგემ აწვალა-აწყუილა 1928 წლამდე და არავინ იცის მიღებული აქვს თუ არა პატრონს ეს წერილი.

ხაშურის რკინის გზის მასწავლებლებს ორჯერ ორ-ორი კვირით დაუგვიანა ჯამაგირები, რომელიც ეგზავნებოდა ხოლმე ცენტრიდან.

მაისის პირველ რიცხვებში ახალციხიდან გამოგზავნილი იყო ფული ვინმე ხაჩიძის სახელზე. გამგემ ეს ფული გასცა ერთი თვის და 8 დღის დაგვიანებით. რა მოსაზრებით ვერ გავიგეთ ალბათ იმ მოსაზრებით, რომ დროებით მაინც ხელი მოენაცვლებია სხვისი ფულით.

ზემოთ აღნიშნულს ისიც უნდა დაუმატოთ, რომ პატივცემული გეთია ძალიან ცუდათ ეპყრობა მოსულ მოქალაქეებს.

საჭიროა პასუხი მოეთხოვოს პეტრე გეთიას ასეთი მოქმედებისათვის.

თანამშრომელი.

ქუთაისის მაზრის გლეხთა ექსკურსია

(წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისის სამაზრო საშეფო საბჭომ, გასული წლის დეკემბერში დაავალა საშეფო ბიუროებს გადაედოთ თავიანთი შემოსავლიდან 15 პროცენტი გლეხთა ექსკურსიის მოსაწყობად მიმდინარე ზაფხულში, სასოფლო მეურნეობის მუშაობის შეჩერების დროს.

ასეთ დროთ შერჩეულ იქნა შუა აგვისტო, როდესაც გლეხი დროებით შესვენებულია. საბჭომ აცნობა საშეფო ბიუროებს გადმოეგზავნათ ექსკურსიაში მონაწილეობის მისაღებად თემიდან ორ-ორი გლეხი 17 აგვისტოს დილით.

გლეხთა ექსკურსიის მონაწილენი

მართლაც, მაზრის ყველა თემიდან, გარდა ტყიბულისა და ხონის რაიონებისა, გამოცხადდენ: როდინოულის თემიდან:—ვასილ საზარაძე; ზედა-სიმონეთიდან— ვლადიმერ ცქიფურიშვილი; ფარცხანაყანევის თემიდან — ნესტორ ნიქაბაძე; წითელხევის თემიდან— თადეოზ გუმბერიძე და სერაპიონ ენდელაძე; რიონის თემიდან—ვანო ზოგვერაძე; პატრაქეთის თემიდან—შალვა დიდავა; მწყლაკის თემიდან — დიმიტრი ყორყოტელიანი; ოფურჩხეთის თემიდან—დიანოზ ჯიშკარიანი; ობჩის თემიდან— ნესტორ ხაჩაპურიძე; ბაშის თემიდან—ივანე ძერაძე; ქოგნარის თემიდან—ტარასი ბუცხრიკიძე; გამოჩინებულის თემიდან—იოსებ დიდია; ქვიტირის თემიდან—დავით ხახალეიშვილი; ბაღდათის თემიდან—თედორე ჯულუხაძე და სევერიანე ზიბზიბაძე; სვირის თემიდან—ბაგრატ რობაქიძე; ბაშის თემიდან—კოსტა ნაცვლიშვილი; ქვედა-სიმონეთიდან — ვარლამ ვერულაშვილი და ვერა ბუბაშვილი; მუხიანის თემიდან პოლიკარპე თუთბერიძე.

გამგზავრების წინ შემუშავებულ იქნა შემდეგი მარშრუტი: 17 და 18 აგვისტოს ექსკურსანტები უნდა დასწრებოდნენ 5 წლიან სამეურნეო გეგმის განხილვას სამაზრო თათბირზე, 18 აგვისტოს საღამოს საექსკურსიოთ წასვლა შემდეგ ადგილებზე: სოფ. სამთავისში—ქართლში კომუნის დასათვალიერებლად, წინანდალის საბჭოს მამულის დათვალიერება (კახეთში), თბილისის ღირსშესანიშნავ სამეურნეო დარგებისა და ზაჰესის ნახვა.

ექსკურსიის ხელმძღვანელად საბჭოს მიერ გამოყოფილ იქნა ამხ. ალ. სტურუა.

18 აგვისტოს, საღამოს თათბირის დამთავრების შემდეგ ჩვენ გავემგზავრეთ აღმოსავლეთით მატარებლიდან და იქიდან ფეხით გავუდექით გზას სოფ. სამთავისში, რომელიც დაშორებულია სადგურიდან 10 კილომეტრით. დილის 12 საათზე მივედით სამთავისში. ჩვენს თვალწინ გადიშალა მარჯვნივ კაპიტალური შენობები კომუნარებისა, ეზოში სამეურნეო იარაღები: ორთქლის მანქანა, ორი ტრაქტორი, სანიავებელი და სხვა. აქვე სანიავებელთან უზარმაზარი პურის ძნების ზვინი.

ჩვენ ავედით კლუბის აივანზე და იქ ექსკურსანტებმა მოისვენეს. მე გავემგზავრე კომუნის ხელმძღვანელის მოსანახავად და კიდეც ვიპოვე სამუშაოზე, რომელმაც გამიცხადა, რომ ის სრულიად დააკმაყოფილებს ჩვენს ცნობის მოყვარეობას. მალე მოვიდა მეპატრონის დედაკაცი, რომელმაც გაგვიძღვა იარაღების და შენობების დასათვალიერებლად. გულდასმით დავათვალიერეთ კომუნარების ბინები, ბაღები, ახალი მამულები, სკები და სხვა. შემდეგ შევგროვდით კლუბში და დაიწყო მოხსენება თვით კომუნაზე, მისი ისტორიულ ჩანასახიდან დღემდე; განგვიმარტა თანდათანობით კომუნის ეკონომიური განვითარება, მისი ოჯახური წესები, დამოკიდებულება წევრთა შორის, მამაკაცების დედაკაცებთან, მოზარდ ახალგაზრდობასთან, არაკომუნის წევრებთან, ზნე ჩვეულებებთან და სხვა მრავალთან; მაგ. კომუნარების სმა-ჭამა, ჩაცმა-დახურვა, სტუმართ-მიღება, ქალის გათხოვება და მოყვანა და სხვა.

ექსკურსანტები ძლიერ კმაყოფილი დარჩნენ ახსნა-განმარტებით და ნახულით. დაბრუნებისას გლეხები საუბრობდნენ იმის შესახებ, თუ როგორ ჩაეყარათ პირველად საძირკველი კომუნისათვის და სად როგორ შესდგომოდნენ საქმეს. დავბრუნდით სადგურ კასპში, აქ დიდხანს არ დავყოვნებულვართ და მალე ბორჯომის მატარებლით გავემგზავრეთ თბილისისაკენ. ზაჰესი ღამით არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენს: მრავალი სანთლების ჩირაღდანში ის თითქოს მდინარის ზედაპირის ვერცხლის ფერ კაშკაშში ქნებით დასცურავს, კიდეც მედიდურობს თავისი იამაყით, რომ ის თბილისს სინათლის ზღვის მორევში ჰბანს.

ღამის 11 საათზე უკვე თბილისში ვიყავით და ნახევარი საათის შემდეგ გავუდექით კახეთისაკენ. არავის გვეძინა. ვინაიდან ბევრნი ვიყავით და დასაჯდომ ადგილსაც ვერ ვპოულობდით. დილას გლეხ-ექსკურსანტების ყურადღება მატარებლიდან მიიპყრო კახეთის მდიდარმა ბუნებამ, ყველა აალაპარაკა ნაყოფიერმა ნიადაგმა და მასზე გადაშლილმა მცენარეთა მრავალჯიშიანობამ.

დილით 10 საათზე ჩავედით სადგ. წინანდალში, აქედან ფეხით გავეშურეთ საბჭოთა მამულში, რომელიც დაშორებულია სადგურიდან ორი კილომეტრით. შევედით სოფ. წინანდალში, რომელიც წარმოადგენს უფრო დაბას, ვიდრე სოფელს. დასასვენებელი დღე იყო, ორშაბათი. ადგილობრივი აღმასკომის თავმჯდომარე გართული იყო გზების შეკეთების საქმეში. ჩვენ გავეცანით მას, მან გაგვაცნო მამულის ადმინისტრაცია და კიდეც წავიდა თავის საქმეზე. აქ ჯერ დაწვრილებით დავათვალიერეთ მრავალსართულიანი სარდაფები თავისი მოწყობილობით, თვითეულ მანქანის და სარდაფის დათვალიერებას წინ უძღოდა ახსნა-განმარტება. მრავალი კითხვები მისცეს გლეხ-ექსკურსანტებმა, განსაკუთრებით სვირ-ბაღდათლებმა, რაზედაც ღებულობდნენ დამაკმაყოფილებელ პასუხს.

აქვე დავათვალიერეთ ვენახები და ახლად აღმოჩენილ „მარმარილოს ხოჭო", რომლის მატლი ძლიერ ანადგურებს ვაზს. ეს „მარმარილოს ხოჭო" იმერეთში: განსაკუთრებით ქვემო იმერეთში ბლომად მოიპოვება, მაგრამ არავის ეგონა, რომ ბოსტნეულის გარდა, ვენახსაც ანადგურებდა.

ვისადილეთ კოოპერაციის სასადილოში და იმ საღამოსვე გავემგზავრეთ თბილისისაკენ, სადაც ჩამოვედით მეორე დღეს დილით.

ამ დღეს, სამშაბათს გვინდოდა რევოლუციის და სასოფლო-სამეურნეო მუზეუმების დათვალიერება, მაგრამ დაკეტილი აღმოჩნდა, რაზედაც ძლიერ შეწუხდა ჩვენთან ერთად ამხ. ნოე ქურიძე, რომელიც იქვე ვინახულეთ. აქვე გადვიღეთ ყველა გლეხ-ექსკურსანტებმა სურათი.

ნაშუადღევს თბილისიდან ბორჯომის მატარებლით გავეშურეთ ზაჰესში. აქ დირექტორმა მოგვცა დათვალიერების ნებართვა. ხელმძღვანელად მოგვცეს ადგილობრივი მუშა, რომელიც თავის საქმესაც აკეთებდა და ახსნა-განმარტებასაც გვაძლევდა.

ჩამოვედით მცხეთაში, საიდანაც იმ ღამისვე გავეშურეთ ქუთაისისაკენ სრულიად დაღლილი და დაქანცული, მაგრამ გალაღებული ახალი ცნობებით და ნახულით.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენში სამთავისის კომუნამ და მისმა ორგანიზაციულმა სტრუქტურამ.

კახეთის ბუნების სიუხვემაც ექსკურსანტებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ქუთაისის სამაზრო საშეფო საბჭომ ფრიად სასარგებლო ნაბიჯი გადასდგა ამ ექსკურსიის მოწყობით. საჭიროა ასეთი ექსკურსიების შესაძლებლობის მიხედვით ხშირად მოწყობა.

BATIA.

„ფლორიდინი"—„გუმრინი"

(საუბარი სამთამადნო ტრესტის მმართველ ამხ. ჭილიძესთან)

ხვალ, 3 სექტემბერს, სოფ. გუმბრში იწყება „ფლორიდინის" თიხის დამუშავება, — ორი თვის შემდეგ ქუთაისში მუშაობას დაიწყებს ფლორიდინის საცდელი ქარხანა, რომელიც თვეში დაამზადებს 100 ტონა თიხას,—1928—29 წელში იქვე აგებული იქნება დიდი ქარხანა.—გუმბრის ფლორიდინი არაფრით არ ჩამოუვარდება ამერიკულ ფლორიდინს. — „სტანდარტ ოილ"-ის ლაბორატორიის დასკვნა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო-მადნო ტრესტის მმართველმა ამხ. ჭილიძემ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

— ორშაბათს, 3 სექტემბერს, სოფელ გუმბრში (რომელიც მდებარეობს ქუთაისიდან 7 ვერსის მანძილზე წყალტუბოს მიმართულებით) დაიწყება „ფლორიდინის" თიხის დამუშავება. აღნიშნულ თიხას „ფლორიდინი" ეწოდება იმიტომ, რომ იგი უმთავრესად მოდის ფლორიდიდან. იგი იხმარება როგორც ნავთის პროდუქტების, ისე მცენარეულობის და მინერალური ზეთების გასაწმენდათ. სპეციალისტების აზრით აღნიშნულ თიხას ძალიან დიდი პერსპექტივები აქვს, ვინაიდან იგი შეიძლება გამოყენებული იქნას არა მარტო ნავთისა და ზეთის, არამედ მთელ რიგ სხვა წარმოებებშიაც, როგორიცაა მეღვინეობა, ფარმაცია, კოსმეტიკა და სხვ.

ფლორიდინის ძირითად მწარმოებლად დღემდე ითვლება ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატები რომელმაც ფლორიდინის წარმოება 1918 წლიდან 1925 წლამდე 38.500 ტონიდან ასწია 186.000 ტონამდე. ინგლისი ფლორიდინს ამზადებს გაცილებით ნაკლები რაოდენობით. 1926 წლიდან ბაზარზე გამოვიდა გერმანია, რომელმაც ფლორიდინის დამზადება აიყვანა 40.000 ტონამდე.

ადგილობრივად დამზადებულ ფლორიდინის თიხის მთავარ მომხმარებლად პირველ ხანებში იქნებიან ნავთის დამამზადებელი ორგანიზაციები, როგორც მაგალითად, „სტანდარტ ოილი და კო", რომელიც წლიურად ხარჯავს 400.000 ფუთამდე ფლორიდინს „აზნავთი" და „გროზნეს ნავთი", რომლებიც ორჯერ მეტ ფლორიდინს საჭიროებენ, ვიდრე „სტანდარტ ოილი".

შეკრებილი ცნობების მიხედვით ფლორიდინის მოთხოვნილება საბჭოთა კავშირში წლიურად განისაზღვრება 1.200.000 ფუთიდან—1.500.000 ფუთამდე. უნდა ვიფიქროთ, რომ ფაქტიური მოთხოვნილება ფლორიდინზე გაცილებით უფრო მეტია, მაგრამ ჩვენი მომხმარებელი ორგანიზაციები ერიდებიან ვალიუტის დიდ ხარჯებს და შეძლებისდაგვარად ზღუდავენ თავის მოთხოვნილებებს.

შემოზიდული ფლორიდინი პროფ. თვალჭრელიძის დასკვნით (პროფ. თვალჭრელიძე გაგზავნილი იყო ბათომში ამ საკითხის გამოსარკვევად) ფრანკო გემი ბათომში ჯდება 122 მანეთამდე ერთი ფუთი.

ადგილობრივ დამზადებული ფლორიდინი ჩვენი მეტად ფრთხილი გამოანგარიშებით დაჯდება გაცილებით ნაკლები.

ადგილობრივი გუმბრის „ფლორიდინი" შემოწმებული იქნა, როგორც „სტანდარტ ოილის", აგრეთვე სრულიად საკავშირო ნავთსინდიკატის ლაბორატორიაში. ამ ლაბორატორიების დასკვნის მიხედვით ჩვენი თიხა არამც თუ არ ჩამოუვარდება ამერიკულ თიხას, არამედ მისი ზოგიერთი ნიმუშები სჯობნიან კიდეც ფლორიდიდან შემოზიდულ თიხას.

ჩვენი მეურნეობის განვითარების ხუთ წლიანი პერსპექტიული გეგმით განზრახულია ფლორიდინის დიდი ქარხნის აგება ქუთაისში. ეს ქარხანა აგებული უნდა იქნეს 1928—29 წელში.

პირველ ხანებში ქარხანა წლიურად დაამზადებს 500.000 ფუთს თიხას; იგი აგებული იქნება იმ ვარაუდით, რომ საჭიროების მიხედვით შესაძლო გახდეს ქარხნის გაფართოება და მისი პროდუქციის აყვანა 1,000.000 ფუთამდე.

ამჟამად სამთო-მადნო ტრესტი ქუთაისში აშენებს „ფლორიდინი"—„გუმბრინის" პატარა საცდელ-ქარხანას, რომელიც თვიურად დაამზადებს 100 ტონა თიხას. აღნიშნული ქარხნის მოწყობილობა უკვე შეძენილია. ადგილი ქარხნის ასაშენებლად არჩეულია და ამჟამად სწარმოებს ფარდულების აგება. ეს ქარხანა უნდა ამუშავდეს ორი თვის განმავლობაში.

თიხის დამზადება იწყება 3 სექტემბერს გუმბრში იმ მიზნით, რომ ქარხნის აგებამდე მოესწროს თიხის გაშრობა.

თიხის დამზადების სამუშაოებში ჩაბმული იქნება 30—40 მუშა და ადგილობრივი მეურნე-გლეხები, რომლებიც თიხას გუმბრიდან გადმოზიდავენ ქუთაისში.

რასაკვირველია, ამ პატარა ქარხნის პროდუქცია ვერ დააკმაყოფილებს ჩვენი ბაზრის მოთხოვნილებას, მაგრამ მისი დაჩქარებით აგება გამოწვეულია მით, რომ ჩვენ გვინდა გამოვცადოთ გუმბრის თიხა და ამასთანავე საჭიროთ მიგვაჩნია გავაცნოთ მომხმარებლებს მისი თვისებები.

გუმბრის რაიონში ჩატარებულ გამოკვლევებით აშკარა გახდა, რომ აღნიშნულ რაიონში მოიპოვება ამ თიხის დიდი რაოდენობა. ამჟამად გამოკვლეულია რაიონი, რომელიც დაახლოვებით მოგვცემს 200.000.000 ფუთზე მეტ თიხას, გარდა ამისა მიღებული გვაქვს ცნობები, რომ ეს თიხა დიდი რაოდენობით მოიპოვება ოზურგეთის მაზრაში.

ყველა ამის გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიდი ქარხნის აგების შემდეგ არამც თუ დავაკმაყოფილებთ შინაურ ბაზრის მოთხოვნილებას, არამედ ჩვენ „გუმბრინს" გავიტანთ უცხოეთის ბაზარზედაც.

ჩვენი საცდელი ქარხნის პროდუქციის რეალიზაცია უზრუნველყოფილია მთლიანად, ვინაიდან ერთი დიდი ფირმათაგანი, რომელიც ამჟამად ხარჯავს რამოდენიმე ასი-ათას ფუთ შემოზიდულ თიხას, წინადადებას გვაძლევს ჩვენი ქარხნის მთელი პროდუქცია მივაწოდოთ მას.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ახალგაზრდა მრეწველობა თანდათანობით ფართოვდება და ქუთაისის ტერიტორიაზე თანდათანობით იზრდება ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობა.

საკავშირო „ნავთსინდიკატის" ლაბორატორიის დასკვნა

ამით გაცნობებთ, რომ ჩვენი ლაბორატორიის მიერ მრავალჯერ იქნა ჩატარებული ცდა იმის გამოსარკვევად თუ როგორ სწმენდენ ნავთს გუმბრის (ქუთაისის მაზრა) და ამერიკული ატაპულგუს ფლორიდის თიხა, აღმოჩნდა, რომ გუმბრის თიხის აბსორბციონური თვისებები არ ჩამოუვარდება და ზოგიერთ ნიმუშებში სჯობნის კიდეც ფლორიდინის ატაპულგუს თიხას, რომელსაც „სტანდარტ ოილ"-ი ხმარობს ნავთის გასაწმენდათ.

ნავთსინდიკატის ბათომის ვან გამგე: ხარატუჯიკოვი.

ლაბორატორიის გამგე ისაკოვიჩი.

„სტანდარტ ოილი"-ს წერილი სამთამადნო ტრესტს

ბათომი, 17 აგვისტო, 1928 წ.

ამით გაცნობებთ, რომ გუმბრის თიხასა და ატაპულგუს თიხაზე ჩვენი ლაბორატორიის მიერ წარმოებულ ცდების მიხედვით გუმბრის თიხას აღმოაჩნდა ისეთივე თვისება როგორც ატაპულგუს თიხას.

ზემოხსენებული ცდები ჩატარებული იქნა ორივე თიხისათვის თანაბარ პირობებში.

სრულის პატივისცემით „სტანდარტ ოილი და კომპანია, ნიუ-იორკში" (ხელის მოწერა).

264 ახალი წითელი მეთაური

გუშინ 1 სექტემბერს მოხდა ქვეითი ჯარის სკოლის კურს დამთავრებულთა ოფიციალური გამოშვება.

დილის 10 საათისთვის სამხედრო სკოლის მოედანზე გამწკრივდა სამხედრო სკოლის კურს დამთავრებული 264 კურსანტი.

სრულ ათ საათზე მოედანზე გამოჩნდენ ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავრობის წევრები, და პარტიულ, პროფესიონალურ, კომკავშირის და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომლებსაც წინ მოუძღოდა ამხ. შ. ელიავა, ალა მალი-ოღლი, ლ. ღოღობერიძე, ალაფუზო, ჯავახიშვილი, ვ. ვაშაკიძე ლ. აბაშიძე და სხ.

სტუმრების მოსვლის შემდეგ გამოქვეყნებული (წაკითხული) იქნა ახლათ კურს დამთავრებულთა სახელი და გვარი. შემდეგ ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. ელიავა მიესალმა ახლათ კურს დამთავრებულებს. ამხ. ელიავამ თავის სიტყვაში აღნიშნა წითელი არმიის მიღწევები და მისი დამსახურება საბჭოთა კავშირის წინაშე. ამხ. შ. ელიავამ ახლათ კურს დამთავრებულებს უსურვა ნაყოფიერი მუშაობა სახელოვან წითელი არმიის რიგებში.

მისალმების შემდეგ გაიმართა ალლუმი. კურს დამთავრებულებმა მთავრობის წევრების წინ გაიარეს ცერემონიალური მარშით.

საბჭოთა ნაწილობრივი არჩევნები

საქართველოს მთიან ადგილებში საბჭოთა ნაწილობრივ არჩევნების ჩატარების შესახებ საქართველოს ცაკმა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, კახეთის და თბილისის სამაზრო აღმასკომებს დაუგზავნა შემდეგი შინაარსის ცირკულიარული მიმართვა: სრ. საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით რესპუბლიკის მთიან ადგილებში, სახელდობრ მთათუშეთში (კახეთის მაზრა), სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის მთიან ადგილებში და თბილისის მაზრის რომშის, ბარისახოს, ხაცალიგის, არხოტის, უკანაფშავის და კობის თემებში საბჭოების არჩევნები ნაცვლად 1928—29 წ. დეკემბერ-აპრილის პერიოდისა, უნდა ჩატარდეს მიმდინარე წელში, იმ ანგარიშით, რომ იგი სავსებით დამთავრდეს ოქტომბრის 15 სათვის.

აღნიშნულ ადგილებში არჩევნები უნდა ჩატარებული იქნეს დიდის ყურადღებით, და საბჭოების გამოცოცხლების შემდგომი განვითარების ნიშნის ქვეშ.

საჭიროა ახალ საბჭოებში მშრომელთა მასის აქტივობის და საბჭოებისათვის პროლეტარულ ხელმძღვანელობის გაწევის გაძლიერება, ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობის კავშირის უფრო განმტკიცება, საბჭოებში მოჯამაგირეების და ქალების მეტი რიცხვის ჩაბმა და კულაკური ნაწილის სრული გარიყვა საბჭოებიდან.

ცირკულიარი აგრეთვე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საარჩევნო კამპანიის დროს ფართოდ იქნეს გაშუქებული ქვეყნის თავდაცვის, სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების, და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხები.

მიღებული უნდა იქნეს ენერგიული ზომები, რათა თავიდან აცილებული იქნეს გასულ საარჩევნო კამპანიის დროს დაშვებული შეცდომები.

ვინაიდან საბჭოთა ნაწილობრივი არჩევნები უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის 15 ოქტომბრისათვის, ზევით დასახელებულ სამაზრო აღმასკომებს ევალებათ დაუყოვნებლივ შეუდგნენ სათანადო კომისიების მოწყობას, საარჩევნო ხმის უფლების მქონეთა და არამქონეთა სიების შედგენას და თემების საარჩევნო უბნებად განაწილებას.

იმ თემებში, სადაც უნდა ჩატარდეს ნაწილობრივი არჩევნები, არსდება საარჩევნო კომისიები, სამაზრო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელობის როლი კი ეკისრება სათანადო მაზრაღმასკომებს.

სამხრეთ-ოსეთში ნაწილობრივ არჩევნებს ხელმძღვანელობას გაუწევს საოლქო საარჩევნო კომისია.

საბჭოების არჩევნების დროს აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს ნაციონალურ უმცირესობათა შორის საარჩევნო კამპანიის ჩატარების საკითხს. ამ მიზნით, იქ სადაც არის ნაციონალური უმცირესობა იმდენი რაოდენობით, რამდენიც საკმარისი იქნება თუნდაც ერთი დეპუტატის ასარჩევად, დაარსებული უნდა იქნეს ცალკე საარჩევნო უბანი და არჩევნები ჩატარდეს მშობლიურ ენაზე.

არჩევნების წარმატებით ჩატარების მიზნით, საჭიროა სამაზრო აღმასკომების მიერ მოწვეული იქნეს საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა თათბირი, რომელზედაც უნდა განემარტოს მათ საარჩევნო ინსტრუქცია და წესები.

გარდა ამისა მოწვეული უნდა იქნეს მოჯამაგირეების, ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხების აქტივის, პროფკავშირების, ქალთა დელეგატების და [illegible] წინასწარი კრებები და მათი მჭიდრო შეკავშირებით უნდა მოხდეს კულაკური ფენის სრული იზოლაცია.

ამავე კრებებზე განხილული უნდა იქნეს საარჩევნო ინსტრუქცია, წამოყენებული უნდა იქნეს საბჭოებში ასარჩევ დეპუტატების კანდიდატურები, შემუშავებული უნდა იქნეს ნაკაზები თემის რეალურ შესაძლებლობათა ფარგლებში. სათემო საბჭოებს ევალებათ საანგარიშო მოხსენებები გააკეთონ ყველა საარჩევნო პუნქტზე და ამ საქმეში ჩააბან ყველა დეპუტატი, აგრეთვე მაზრაღმასკომებმა საანგარიშო მოხსენებები უნდა გააკეთონ თემსაბჭოების გაფართოებულ სხდომაზე აღმასრულებელი აქტივის თანდასწრებით. საანგარიშო მოხსენებების გარშემო გამართულ კამათს უნდა ექნეს ფართო და თავისუფალი ხასიათი.

ხელახლად გადასინჯული და შესწორებული შავი სიები უნდა გაიკრას თვალსაჩინო ადგილას 20 დღით ადრე არჩევნების ჩატარებამდე.

საარჩევნო კრებებზე ამომრჩევლების მოწვევა უნდა ხდებოდეს სპეციალური უწყებებით, რომლებიც უნდა ჩაბარდეს მათ 5 დღის ადრე საარჩევნო კრებამდე.

ნაწილობრივ არჩევნების დროს ყრილობებისათვის დელეგატები არ იქნებიან არჩეული. დელეგატების არჩევა იწარმოებს თემის საბჭოს პლენუმზე საყოველთაო საარჩევნო კამპანიის დროს. აგრეთვე სარევიზიო კომისიის წევრები არჩეული უნდა იქნენ არა საარჩევნო კრებებზე, როგორიც ეს დღემდე ხდებოდა, არამედ საბჭოების პირველ სხდომაზე საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან.

მოაწერეთ ხელი სესხს!

ამხ. ბრიუხანოვი სესხზე ხელის მოწერის მსვლელობის შესახებ

მოსკოვი, 1 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ბრიუხანოვმა საუბარში ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე ხელის მოწერის შესახებ განაცხადა: წინასწარი ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის ახალ სესხზე არ იყო განზრახული. ოფიციალურად ხელის მოწერა უნდა დაწყებულიყო მხოლოდ 1 სექტემბერს. მაგრამ როგორც კი გამოქვეყნდა დეკრეტი სესხის გამოშვების შესახებ, მუშებმა და მოსამსახურეებმა ორივე დედა-ქალაქის წარმოებებსა და დაწესებულებებში დაიწყეს კოლექტიური ხელის მოწერის ჩატარება, მოსკოვის და ლენინგრადის პროლეტარიატს გამოეხმაურნენ მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელნი. არასრული ცნობებით, ხელის მოწერამ კავშირში უკვე მოგვცა 90 მილიონი მანეთი, ე. ი. მთელი სესხის 18 პროც. კამპანიის პირველი ეტაპი საუცხოვოდ მიმდინარეობს და შეცდომა იქნება, რომ შევასუსტოთ მუშაობის ტემპი.

ჩვენი ლოზუნგია—„სოფელო, ნუ ჩამორჩები მას." ქალაქის პროლეტარიატი, რომელმაც სესხის გავრცელებაში აქტიური მონაწილეობის მიღებით დაამტკიცა, რომ ის სავსებით იწონებს მთავრობისა და კომპარტიის პოლიტიკას მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის დარგში, უეჭველია გაიყოლიებს მშრომელ გლეხობასაც, რომელიც აგრეთვე აქტიურად შეუწყობს ხელს ინდუსტრიალიზაციის მთლიანი მუშურ-გლეხური სესხის გავრცელებას (ადს).

ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე

მოსკოვი, 1 სექტემბერი. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე წინასწარი ხელის მოწერის საერთო თანხამ 30 აგვისტოსათვის მთელ საბჭოთა კავშირში მიაღწია 87.300.000 მანეთს. აქედან რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში—68.700.000 მან., უკრაინაში—14.500.000 მან., ბელორუსიაში—2.200.000 მან., ამიერ-კავკასიაში—1.900.000 მან. (ადს).

მესამე საგლეხო სესხის ტირაჟი

მოსკოვი, 1 სექტემბერი. 9—10 სექტემბერს მოსკოვში გაიმართება 1927 წლის მესამე საგლეხო სესხის მოგებათა ტირაჟი (ადს).

1924 წლის სესხის ტირაჟი

მოსკოვი, 1 სექტემბერი. 8 სექტემბერს მოსკოვში გაიმართება 1924 წლის სესხის ტირაჟი (ადს).

ა.-კ. ცაკის ყველა წევრს

ამხანაგებო!

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის დასაჩქარებლად, ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების ასაგებად, ჰიდრო და ელექტრო სადგურების ასაშენებლად, ახალი რკინის გზებისა და დიდი არხების გასაყვანად, ისეთი არხებისა, რომელნიც მორწყავენ მრავალი ასი ათას დესეტინა მიწას, აგრეთვე სხვა ღონისძიებათა მისაღებად, რომლებიც ხელს შეუწყობენ სოფლის მეურნეობის განვითარებასა და ინდუსტრიალიზაციას, საბჭოთა კავშირის მთავრობა უშვებს 500 მილიონ მანეთიან სესხს.

თქვენ იცით, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია მოითხოვს მილიარდ მანეთების დაბანდებას მრავალი წლის განმავლობაში, და საბჭოთა მთავრობა, როგორც მუშათა მთავრობა, ვერ მიიღებს ამ თანხებს გარედან, კაპიტალისტურ სახელმწიფოებისაგან, რომელნიც არა თუ არ დაგვეხმარებიან ამ საქმეში, არამედ ყოველ საშუალებას მიმართავენ ძირი გამოუთხარონ მსოფლიოში პირველ მუშათა სახელმწიფოს სოციალისტურ მშენებლობას.

ამიტომ ამ სესხის გამოშვების დროს საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, რომ მას სრულ დახმარებას გაუწევენ ჩვენი დიდი კავშირის მუშათა და გლეხთა და სოფლისა და ქალაქის მშრომელთა ფართო მასები.

ყველა მშრომელს უნდა ახსოვდეს, რომ ყოველი მანეთი, რომელსაც იგი ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის გადასდებს, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას, ნაწარმოების გაფართოებას, სოფლის სავსებით უზრუნველყოფას საჭირო საქონლით და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, და, ბოლოს, ხელს შეუწყობს შვიდი და ექვსი საათის სამუშაო დღეზე სწრაფ გადასვლას.

ჩვენი ფედერაციის ყოველი მუშისა და მუშა-ქალის და ყოველი მშრომელის და გლეხ ქალის და ყოველი მშრომელის კლასობრივ მოვალეობას შეადგენს არა თუ მოაწეროს ხელი ამ სესხს. არამედ გახდეს აქტიურ აგიტატორად, სესხის გავრცელების საქმის ორგანიზატორად. ყოველი მშრომელი მოვალეა თავისი წვლილის შეტანით სესხში დაეხმაროს თავის სახელმწიფოს ინდუსტრიალიზაციის საქმის სწრაფ განხორციელებაში და ამით უზრუნველჰყოს მისი დამოუკიდებლობა კაპიტალისტურ ქვეყნებისაგან.

თქვენი, როგორც ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრების, ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მუშათა უბნებში ფართოთ გაავრცელოთ ინდუსტრიალიზაციის სესხის მიზნები და მნიშვნელობა. მოუწოდოთ მუშებსა და გლეხებს სესხზე კოლექტიური ხელმოწერისათვის, თანაც აუხსნათ მათ კოლექტიური ხელის მოწერის უპირატესობა. აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სესხის რეალიზაცია ხდება მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობის პრინციპზე.

დაკისრებულ მოვალეობათა წარმატებით შესრულების მიზნით, თქვენ პრესის საშუალებით უნდა გაეცნოთ ინფორმაციას სესხის რეალიზაციის კამპანიის მსვლელობის შესახებ, ხელის მოწერის, გადახდის ვადის პირობების და სხვ. შესახებ. ამ ინფორმაციის საფუძველზე საჭიროა აქტიური განმარტებითი კამპანიის ჩატარება მოსახლეობის შორის.

თქვენი აგიტაციის წარმატებისთვის საჭიროა, რომ თქვენ პირველებმა მოაწეროთ ხელი სესხს.

თქვენ საავიტაციო მუშაობას შედეგად უნდა მოჰყვეს ის, რომ არც ერთი მშრომელი ქალაქში და სოფელში არც ერთი შინამრეწველი, არც ერთი ხელოსანი არ უნდა დარჩეს სესხზე ხელის მოუწერლად!

უნდა გატარდეს ლოზუნგი—თვიური ხელფასი ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის!

არც ერთი გლეხი არ უნდა დარჩეს ინდუსტრიალიზაციის სესხის გარეშე!

საჭიროა აქტიური მონაწილეობა მიიღოთ იმ ხელის შემწყობ კომისიებში, რომელნიც დაარსდებიან წარმოებებში, ფაბრიკა-ქარხნებში, სოფლის და თემის საბჭოებთან მაღლა მდგომ აღმასრულებელ კომიტეტებთან.

არ დაივიწყოთ არც ერთი წუთით, რომ კულაკები სოფლად, ხოლო კერძო დამქირავებლები და ვაჭრები ქალაქში შეეცდებიან ხელი შეუშალონ ამ კამპანიის ჩატარებას. ამიტომ საჭიროა ფართოდ გადაშალოთ განმარტებითი კამპანია მშრომელთა შორის, განსაკუთრებით სოფელში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ ჩვენი სესხების სოციალური შინაარსის გაშუქებას. საჭიროა უფრო მეტად განმტკიცებულ იქნას კავშირი ღარიბ გლეხებისა საშუალო გლეხობასთან. ბრძოლის მთლიანი ფრონტის შექმნით კულაკების წინააღმდეგ იერიშის მისატანად.

ამ კამპანიასთან ერთად ტარდება აგრეთვე შემოდგომის თესვის კამპანია, რომლისთვისაც ამიერ-კავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოუშვა ამას წინად სპეციალური მოწოდება. თქვენ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოთ შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარებაში და უნდა დაეხმაროთ ხელისუფლების ორგანოებს როგორც თესვის საკითხების განმარტებასა და მათ ირგვლივ საზოგადოებრივი აზრის შექმნის საქმეში, ისე მთავრობის მიერ გაღებულ თესლეულის, მუშა საქონლის, მანქანებისა და სასუქის სწორ განაწილებაში ღარიბებს და ხელმოკლე გლეხობას შორის.

საჭიროა სასტიკად ებრძოლოთ ისეთ მოვლენებს, როგორიც არის კამპანიისათვის გაცემული თანხების შეფერხება, მათი დაგვიანებით განაწილება ან მათი გამოყენება არა პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

საჭიროა ყოველ მხრივ გამოვიყენოთ სოფლის კულტურული ძალები და ფართოდ აამოძრაოთ ღარიბ გლეხობის, სოფლის მოჯამაგირეების და საშუალო გლეხობის საზოგადოებრივი აზრი ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორიცაა: ნათესის სივრცის გადიდება, მიწის კულტურული დამუშავება, სასუქი მასალის ფართოდ გამოყენება და ამით ნათესის ხარისხის გაუმჯობესება. სოფლის მეურნეობის მაქსიმალური კოლექტივიზაცია — მიწის მხვნელთა გაერთიანება, მთესავთა გაერთიანება, არსებულ ორგანიზაციათა შეჯგუფება და ახლების მოწყობა. საჭიროა განუმარტოთ ღარიბ გლეხობას, რისთვისაც ფართოდ უნდა გამოიყენოთ არსებულ გაერთიანებათა და კოლექტიური მეურნეობათა გამოცდილება და მიღწევანი. თქვენს ენერგიაზე და მუშათა და გლეხთა მთელი აქტივის მონაწილეობის მიღებაზე დამოკიდებული ამჟამად ზემოაღნიშნულ კამპანიათა წარმატება.

გთხოვთ, ყოველგვარი, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, ფაქტის შესახებ, რომელსაც ადგილი ექნება ორივე კამპანიის ჩატარების დროს, დაუყოვნებლივ აცნობოთ ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

ამხანაგური სალამით.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ალამალი-ოღლი.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ტაბიძე.**

(ადს).

სესხის ქრონიკა

მე-5 სტამბაში

გუშინ, პირველ სექტემბერს, პოლიგრაფტრესტის მეხუთე სტამბის კლუბში შესდგა ამავე სტამბის მუშა-მოსამსახურეების, გაზ. „კომუნისტი"-ს და „მუშა"-ს რედაქციების თანამშრომელთა საერთო კრება, რომელზედაც ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ს. ბახტაძემ.

კრებამ ერთხმად დაადგინა სესხის ობლიგაციების შესაძენათ გადასდოს ერთი თვის ხელფასი საშუალო გადამუშავებით, რაც შეადგენს დაახლოვებით 22.000 მანეთს.

ამას გარდა მე-5 სტამბის ქარხკომმა თავის მხრივ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების შესაძენად გადასდო 300 მანეთი და ამავე მიზნით გამოიწვია თბილისის სტამბების ყველა ქარხკომები.

პირველ სტამბაში

პირველ სტამბის მუშა-მოსამსახურეებმა დაადგინეს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების შესაძენათ გადასდონ ერთი თვის ხელფასი.

რეალიზაციის კამპანია დაიწყო

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, გუშინ მთელ საქართველოში დაიწყო ინდუსტრიალიზაციის სესხის ოფიციალური რეალიზაციის კამპანია. მოსკოვიდან მიღებული ობლიგაციები 400.000 მანეთის რაოდენობით განაწილებულია და უკვე დაეგზავნათ ადგილებს. აღნიშნული ობლიგაციები გაყიდული უნდა იქნეს მხოლოდ ნაღდ ანგარიშზე.

15.000 მან.

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე 31 აგვისტოს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელმა ამხ. მარკაროვმა. მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმად კომისარიატის თანამშრომლები სესხზე ხელს აწერენ ერთი თვის ხელფასის რაოდენობით. მათი ერთი თვის ხელფასი შეადგენს 15.000 მანეთს.

„თემქა"-ში

31 აგვისტოს შესდგა „თემქა"-ს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა სახ. ბანკის წარმომადგენელმა ამხ. ინწკირველმა. მოხსენების შემდეგ კრებამ დაადგინა ხელი მოაწეროს სესხზე არა ნაკლებ ერთი თვის ხელფასის რაოდენობისა. რაც დაახლოვებით შეადგენს 15.000 მანეთს.

30.000 მან.

„ზაჰეს"-ის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე 31 აგვისტოს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა თბილისის აღმასკომის წარმომადგენელმა ამხ. ქორქიამ. მოხსენების შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლის თანახმადაც მუშა-მოსამსახურენი ხელს აწერენ სესხზე ერთი თვის ხელფასის რაოდენობით. მათი ერთი თვის ხელფასი შეადგენს დაახლოვებით 30.000 მანეთს.

კინო-მუშაკთა შორის

კინო-მუშაკთა საერთო კრებაზე 31 აგვისტოს მოხსენება გააკეთა სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელმა ამხ. ინწკირველმა. კრებამ დაადგინა არ დარჩეს არც ერთი კინო-მუშაკი სესხის გარეშე.

რკინის გზელთა გამოხმაურება

რკინის გზის მუშათა პროფესიონალურ კავშირის თბილისის საუბნო კომიტეტის დელეგატთა საერთო კრებაზე ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ საინსტრუქციო მოხსენება გააკეთა ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. ქაჯარმა. კრებამ დაადგინა მიიღოს ყოველგვარი ზომები რკინის გზის მუშათა შორის სესხის მაქსიმალური გასაღებისათვის. თბილისის საუბნო კომიტეტი აერთიანებს 14.000 მუშა-მოსამსახურეს, რომელთა თვიური ხელფასი დაახლოვებით უდრის 200.000 მანეთს.

1.000.000 მან.

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, აგვისტოს დამლევისათვის ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე ხელის მოწერით შეგროვილი იყო დაახლოვებით 1.000.000 მანეთი.

მეცნიერება და ტეხნიკა

ფილტვების ჭლექით დაავადებისადმი მიდრეკილების ერთი განსაკუთრებული მიზეზთაგანი

როგორც ადამიანს, ისე ცხოველებს მეტად ხშირად უავადდებათ ფილტვები ჭლექით. ფილტვები, როგორც ვიცით, ასრულებენ სხეულისათვის ჟანგბადის მიწოდების ფუნქციას, რომელიც აუცილებელია სხეულში მიმდინარე წვის პროცესებისათვის. ამ შემთხვევაში ფილტვები შეიძლება შევადაროთ გამძლე ღუმელს, რომელიც თითონ არ იწვის და ყველაზე ნაკლებ ჟანგბადს ხმარობს თავისთვის. სხვათა შორის ფილტვები მით განირჩევიან სხვა ორგანოებიდან, რომ მისთან მიმავალი სისხლის ძარღვები—ეს ფილტვების არტერიის ტოტები აძლევენ მათ ვენოზურ სისხლს, რომელიც შეიცავს ნახშირ-ორჟანგს და არა ჟანგბადს. მართალია, ფილტვებიდან მიმავალი ფილტვის ვენები, პირიქით, შეიცავენ ძალიან ბევრ ჟანგბადს, მაგრამ ამ ვენების მნიშვნელობა ფილტვებისა კვებისათვის ძალიან უმნიშვნელოა. ფილტვის ქსოვილის უჯრედები განირჩევიან ორგანიზმის სხვა უჯრედებიდან. საერთოდ, ქსოვილთა შიგნით სუნთქვის პროცესში უჯრედის ორი შემადგენელი ნაწილთაგანი თამაშობს ძალიან მნიშვნელოვან როლს. ეს არის ბირთვი უჯრედის და ეგრედ წოდებული—ოქსიდაზები —ჟანგბადის გადამტანი ფერმენტები. ფილტვების ქსოვილი, როგორც პირველად გვაჩვენა ერლიხმა მეტად ღარიბია ოქსიდაზებით. ეს გარემოება უფრო აძლიერებს ფილტვების შედარებას კარგ ღუმელთან—თავის თავად ფილტვები თითქმის არ ხმარობენ ჟანგბადს, ისინი მხოლოდ გადასცემენ ჟანგბადს სხვა ორგანოებს. ჟანგბადი, შედის რა უჯრედში, ასრულებს აქ სხვათა შორის აგრეთვე უცხო, მავნე ნივთიერებათა მოსპობის ამოცანას, უჯრედის დეზინფექციის ამოცანას. და ვინაიდან ფილტვის ქსოვილის უჯრედები არ ითვისებენ ჟანგბადის საკმაო რაოდენობას, ამიტომ ცხადია, რომ ესენი გაცილებით ადვილად დაემორჩილებიან ბაქტერიების მავნე გავლენას. ამნაირად, ფილტვების განსაკუთრებული მიდრეკილება ჭლექით დაავადებისადმი და თვით ამ გარემოების მიზეზი, უნდა ვეძიოთ, ნაწილობრივ მაინც, ჟანგვითი პროცესის სისუსტეში, რომელსაც ადგილი აქვს ფილტვის ქსოვილში.

ვ. მა—ლი.

მაშხალიანი დრეზინის ახალი გამოცდა

ფრიც ოპელმა (ცნობილი გერმანელი საავტომობილო ფირმის პატრონი) ჩაატარა თავისი მაშხალიანი დრეზინის ახალი გამოცდა. (პირველი გამოცდების შესახებ „კომუნისტში" უკვე გვქონდა მოთავსებული ორი წერილი). დამზადებული იქნა ორი მაშხალიანი დრეზინა „ოპელზანდერ" № 4 და № 5. ამ დრეზინების კონსტრუქცია თითქმის ისეთივე იყო, როგორიც დრეზინა № 3-ს, რომელიც გამოცდის დროს დაიმტვრა. ახალი დრეზინები № 3-დან განსხვავდებოდნენ მხოლოდ წონით (800 კილოგრამი) და სიმაგრით, რადგან ფიქრობდნენ, რომ № 3 დრეზინის ავარია გამოიწვია ჩარჩოს სისუსტემ: ჩარჩომ ვერ გაუძლო დიდ წნევას, რომელიც ერთბაშად განვითარდა, როცა ყველა მამოძრავებელი მაშხალები ამუშავდებოდნენ და გასკდა. ახალი დრეზინების მეორე თავისებურობა იმაში მდგომარეობდა, რომ მათ აღარ ჰქონდა გაკეთებული დასამუხრუჭებელი მაშხალები, რათა არ გაედიდებინათ ასაფეთქებელ ნივთიერების მარაგი, რომელიც ისედაც დიდი იყო. დრეზინის დამუხრუჭებას აპირებდნენ ქვიშის დაყრით გადასარბენი მანძილის უკანასკნელ რელსებზე.

მაგრამ, დრეზინამ ვერც კი მოასწრო ადგილიდან დაძვრა და 100—150 მეტრის გავლა, რომ გაისმა საშინელი აფეთქების ხმა და გადავარდა რკინის გზის ლიანდაგიდან. აფეთქდა ყველა მაშხალები. № 4 დრეზინიდან მხოლოდ ნამსხვრევები დარჩა.

რკინის გზების და ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომლებიც დაესწრნენ გამოცდას, აკრძალეს შემდგომი ცდების გაგრძელება. არც თვით ფრიც ოპელი მოითხოვდა ცდების გაგრძელებას, რადგან წინასწარ საჭიროდ მიაჩნდა № 4 დრეზინის ავარიის მიზეზების შესწავლა.

მარცხით დასრულდა აგრეთვე იმ მაშხალიანი დრეზინის გამოცდა, რომელიც ოპელისგან დამოუკიდებლად, აიზფელდის ფირმასთან ერთად ააგო მაქს ვალიერმა (პირველ ხანებში მაქს ვალიერი ოპელთან და ზანდერთან ერთად მუშაობდა მაშხალიან ავტომობილზე და შემდეგში გამოეყო მათ).

ვალიერის მაშხალიანი დრეზინის გამოცდა მოხდა ნორდგაუზენ-გერნროდეს რკინის გზის ხაზზე. კონსტრუქციით ვალიერის მაშხალიანი დრეზინა საგრძნობათ განირჩევა ოპელის დრეზინისაგან. მაშხალები მასში მოთავსებულია მთელი კორპუსის სიგრძეზე და არა უკან, როგორც ოპელის დრეზინაში. მას არა აქვს აგრეთვე ფრთები, რომლის საშუალებით ოპელი აპირებდა იმის მიღწევას, რომ დრეზინა არ ასცილებოდა რელსებს.

დრეზინის ხაზზე გაშვების პირველი და მეორე ცდა წარმატებით დასრულდა. პირველი გაშვების დროს დრეზინის სისწრაფე საათში უდრიდა 180 კილომეტრს, მეორეჯერ —210 კილომეტრს (უფრო მეტი სისწრაფე, ვიდრე ოპელის დრეზინამ განავითარა).

მესამე გაშვების დროს ასაფეთქებელი ნივთიერების რაოდენობა დრეზინის მაშხალებში ოთხჯერ იქნა გადიდებული, დრეზინამ მშვენივრად აიღო სტარტი (წავიდა ადგილიდან) და მოკლე ხანში განავითარა უდიდესი სისწრაფე, რომელიც ვერ გაზომეს (სპეციალისტების აზრით იგი უდრიდა 250—300 კილომეტრს საათში). მაგრამ მოსახვევში დრეზინა ასცდა ლიანდაგს, მოხდა აფეთქება და მთელი მანქანა დაინგრა.

მიუხედავად ამ მარცხისა დრეზინის აშენებელი ვალიერი კმაყოფილია გამოცდის შედეგებით. ვალიერი და აიზენფელდის ფირმის წარმომადგენელი აცხადებენ, რომ მეტს არაფერს არ მოელოდნენ, რადგან დრეზინა მთლიანად ხისგან იყო დამზადებული და სულ 50 კილოგრამს იწონიდა.

უახლოეს ხანში აიზფელდი და ვალიერი აპირებენ ახალი დრეზინის დამზადებას მსუბუქ ლითონიდან.

ა. მ.

გვირაბი ჰიბრალტარის ქვეშ

ინგლისის ციხე-სიმაგრეს ჰიბრალტარში საფრთხე მოელის. ინგლისთან „მეგობრული" ურთიერთობა ხელს არ უშლის საფრანგეთს ესპანეთში აწარმოოს აგიტაცია ჰიბრალტარის ქვეშ გვირაბის გაყვანის სასარგებლოდ. უკანასკნელ ხანებში ამ საკითხზე გაცხოველებული მსჯელობაა, როგორც ესპანეთში, ისე საფრანგეთში. დიდი ყურადღება დაიმსახურა გვირაბის პროექტმა, რომელიც ესპანელ ინჟინერ პედრო ხევერიოს ეკუთვნის. 21 აპრილს საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიაში ავტორის თანდასწრებით გაკეთებულ იქნა მოხსენება ამ პროექტის შესახებ. 7 ივლისს კი ესპანეთში დაარსდა მთავრობის ოფიციალური კომიტეტი პროექტის შესასწავლად.

მეორე მხრივ ამ პროექტზე უკვე 1908 წლიდან მუშაობს ინჟინერი კ. იბანიეს იბერო, რომელიც თავის ფრანგულ ბროშურაში (1927 წელს გამოვიდა ქ. კორდოვაში) გვირაბის გაყვანის ხარჯებს 330 მილიონი ფრანკით განსაზღვრავს. გაზ. „ინფორმასიონეს"-მა მოათავსა საუბარი ინჟ. იბეროსთან, რომელმაც აღნიშნა გვირაბის გაყვანის მნიშვნელობა სამხედრო და ეკონომიური თვალსაზრისით.

ტეხნიკურ სიძნელეების გამო შეუძლებელი ხდება გვირაბის გაყვანა უმოკლესი გზით—გუადელმესის და სირისის კონცხს შუა, სადაც წყლის სიღრმე 900 მეტრს უდრის. ვაკეროსის სრუტიდან აფრიკის ნაპირებისაკენ გაყვანილი გვირაბი კი გაივლის 396 მეტრის სიღრმეზე და მისი სიგრძე იქნება 40 კილომეტრი. იბეროს პროექტით დაინტერესებული არიან იტალიისა და საფრანგეთის სავაჭრო პალატები. სამხედრო და სამეცნიერო მუშაკებიდან ამ პროექტისადმი დიდ ინტერესს იჩენენ შ. დალლემანი, გენერალი პერიე, ადმირალი ფურნიე, ფიზიკოსი ჟ. კლოდი და სხვა.

გვირაბის საკითხს გაცხოველებით იხილავს პრესა. საფრანგეთისა და ესპანეთის გაზეთებმა ამ საკითხს მთელი რიგი წერილები და შენიშვნები უძღვნეს.

გვირაბის გაყვანას დასჭირდება ხუთი წელიწადი. (ამ ვადაში არ შედის მოსამზადებელი სამუშაოების შესასრულებლად საჭირო დრო).

გვირაბის გაყვანა ძირს გამოუთხრის ინგლისის ბატონობას ჰიბრალტარში (კონტროლი [illegible] ამ სრუტით) და მჭიდროდ დააკავშირებს ესპანეთ-საფრანგეთს, გააძლიერებს მათ სამხედრო თანამშრომლობას აფრიკის სანაპიროებზე. ამით აიხსნება ის დიდი ინტერესი, რომელსაც საფრანგეთის იმპერიალისტური წრეები იჩენენ გვირაბისადმი.

ესპანეთის იმპერიალისტური წრეების ფარული ზრახვები გვირაბის გაყვანასთან დაკავშირებით ნათლად გამომჟღავნდა ჟურნალ „ესპანია ენ აფრიკა"-ს წერილში, „გვირაბის გაყვანის დროს,—სწერს ჟურნალი,—მაროკოს ზონა ანდალუზიის (ესპანეთის პროვინცია) უშუალო გაგრძელებათ გადაიქცევა. გვირაბის გაყვანა უაზროთ გახდის პოზიციას ჰიბრალტარისას, რომელსაც ფლობს ინგლისი, თუმცა უკანასკნელი განუწყვეტლად კი არ ბატონობს სრუტეზე, არამედ იყოფს ამ ბატონობას ესპანეთის სეუტასთან. სრულის საფუძვლით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ გვირაბი გაყვანილ იქნა, ინგლისს შეეძლება მეტყით გადაბარგდეს სადმე სხვა ადგილას".

ა. ბ.

ცხოველთა სიცოცხლის ხანგრძლივობა

ცნობილია, რომ ზოგიერთი ცხოველები ცხოვრობენ გაცილებით მეტ ხანს ვიდრე ადამიანი. განსაკუთრებით დიდ ხანს ცოცხლობენ კუები. ერთი კუს შესახებ (რომელიც ეკუთვნის (Testuo daudinii-ს სახეობას) ცნობილია, რომ იცოცხლა სამხეცეში 150 წელი, თუმცა დაჭერილი იყო არა ახალგაზრდა. საყურადღებოა, რომ ცხოველებს, რომლებიც ცნობილნი არიან თავიანთი სიცოცხლის ხანგრძლივობით, ეკუთვნიან მრავალი ფრინველები, თუმცა უნდა ვფიქრობდეთ, რომ შედარებით მაღალი ტემპერატურა ფრინველთა სხეულის და მათი სწრაფი მოძრაობანი სწორედ უნდა აპოკლებდნენ მათ სიცოცხლეს. საკითხი იმის შესახებ, თუ რა ახდენს გავლენას ცხოველთა სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, აქამდის გამოურკვეველია. ყოველ შემთხვევაში ამაზედ არავითარ გავლენას არ ახდენს საკვები, რაც შესანიშნავად სჩანს ფრინველთა მაგალითიდან. სახელდობრ: ყვავი ცოცხლობს 100 წელზე მეტს, კაჭკაჭი კი, რომლის საკვები ცოტათი განირჩევა ყვავის საკვებიდან, ცხოვრობს 25 წელს. სიცოცხლის განსაკუთრებული ხანგრძლივობით ცნობილნი არიან აგრეთვე მტაცებელი ფრინველნი. არწივი ცხოვრობს 100 წ. მეტს და ერთმა ქორმა იცოცხლა სამხეცეში 162 წელი. ცნობილია აგრეთვე თუთიყუშთა სიცოცხლის ხანგრძლივობა. ამ მხრივ საინტერესო არის ერთი მწვანე თუთიყუში, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინად მოკვდა 117 წლის.

—ლი.

ავტომობილებით უდაბნოში

მორისის საავტომობილო ფირმის (ბირმინგამი, ინგლისი) ორმა ავტომობილმა გაიარა უდაბნო კალახარი (ცენტრალურ აზიაში) როდეზიისა და ბეჩუნალენდს შორის. ეს მოგზაურობა დიდ დაბრკოლებებთან იყო დაკავშირებული. საბარგო ავტომობილებს მოუხდათ გავლა სილის გორებში, ბუჩქნარებში, ტერიტორიით, სადაც წვეთი წყალი არ მოიძებნებოდა. ასეთ პირობებში ავტომობილებმა 600 კილომეტრი გაიარეს 12 დღეში. უდაბნოს ამ გადალახვას საბარგო ავტომობილით ინგლისის საავტომობილო წრეები თვლიან ინგლისის ავტომრეწველობის დიდ გამარჯვებად. მორისის ფირმის საბარგო ავტომობილები სპეციალურად უდაბნოში სავალად დამზადებული.

უდიდესი დირიჟაბლი



ამ რამდენიმე ხნის წინად გერმანიაში მოხდა ახალი საჰაერო გიგანტის ცეპპელინის „L 127"-ს «ნათლობა». ეს საჰაერო გემი გერმანიის მთავრობამ დაუთმო მეცნიერთა საერთაშორისო არქტიულ საზოგადოებას მომავალ წელში ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ გაფრენის მოსაწყობათ. ხსენებული საზოგადოება იწარმოებს არქტიკის—ჩრდ. პოლიუსის გარშემო მდებარე ქვეყნების შესწავლას.

ცეპპელინ-გიგანტი დამზადებულია ალუმინიდან ლენინგრადში სწარმოებს მზადება ცეპპელინის გასაფრენათ. საცდელი გაფრენა მოხდება მარშრუტით: გერმანია-ლენინგრადი-ვლადივოსტოკი-ამერიკა.

ელექტრო-ენერგიის ექსპორტი და იმპორტი

ელექტროდადგმულობათა გაუმჯობესება შესაძლებლად ხდის ელექტრო-ენერგიის გადაცემას მეტად დიდ მანძილზე.

ამერიკაში უკვე ახლა არის წარმოებები, რომლებიც ელექტრო-ენერგიას იღებენ 450-500 კილომეტრით დაშორებულ ელექტრო სადგურებიდან.

ელექტრო-ენერგიის გადაცემამ შორ მანძილზე ზოგ ქვეყნებში შესაძლებელი გახადა მისი გადაქცევა საგარეო ვაჭრობის საგნად. აღსანიშნავია, რომ ელექტრო-ენერგიის ექსპორტი (გატანა სხვა ქვეყნებში) ყოველდღიურად მატულობს.

ასე მაგალითად, შვეიცარიას 1923 წ. მეზობელ ქვეყნებში (იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში) გაჰქონდა 462 მილიონი კილოვატ-საათი ენერგია (კილოვატ-საათი—ენერგიის ის რაოდენობა, რომელსაც ერთ კილოვატიანი ელექტრო-მანქანა იძლევა საათის განმავლობაში), 1926 წ. კი—854 მილიონი, ე. ი. 3 წლის განმავლობაში გაორკეცა ელექტრო-ენერგიის ექსპორტი.

კანადას 1923 წ. შეერთებულ შტატებში გაჰქონდა 1,055 მილიონი კილოვატ-საათი ენერგია, 1926 წ. კი—1.359 მილიონი.

უკანასკნელ ხანებში გერმანულმა „რეინ-ვესტფალის ელექტრონის საზოგადოებამ" ხელი მოჰკიდა ავსტრიის მდინარეთა ენერგიის გაძლიერებულ ექსპლოატაციას და განზრახვა აქვს ელექტრონის ენერგია „გაიტანოს" დასავლეთ გერმანიაში და ბავარიაში.

ვინაიდან ელექტრო-ენერგიის მომარაგებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, დაინტერესებულ სახელმწიფოთა მთავრობები იძულებული ხდებიან ჩაერიონ კერძო ელექტრონულ საზოგადოებათა მუშაობაში.

ასე მაგალითად, საფრანგეთში 1919 წლიდან ელექტრო-ენერგიის „გატანა" შესაძლებელია მხოლოდ მთავრობის განსაკუთრებული ნებართვით, 1927 წ. აგვისტოდან კი დაწესებულია საბაჟო გადასახადი შემოტანილ ენერგიაზე.

იტალიაშიც 1927 წლიდან შემოღებულია კანონი, რომელიც კრძალავს ელექტრო-ენერგიის „გატანას" და შემოტანას მთავრობის ნებართვის გარეშე, შემოტანილ ენერგიაზე კი დაწესებულია ბაჟი 25 კაპ. რაოდენობით კილოვატ-საათზე.

1923 წ. წამოიჭრა საკითხი დანიის მომარაგების შესახებ ელექტრო-ენერგიით ნორვეგიიდან. რადგან კაბელის გაყვანა ზღვით (სკაგერაკის სრუტით) დიდ მანძილზე (120 კილომეტრი) დიდ სიძნელეს წარმოადგენს, ორივე ქვეყნის მთავრობამ სთხოვა შვეციის მთავრობას ნება დაერთო, რომ ელექტრო-ენერგია ნორვეგიიდან უბაჟოდ ყოფილიყო გადაზიდული შვეციის ტერიტორიით (ზუნდის ყურისკენ). მაგრამ შვეციამ ასეთი ნებართვა არ მისცა, რადგან 1914 წლიდან დაწყებული თვით მას გააქვს ელექტრო-ენერგია დანიაში და ნორვეგიის მეტოქეობის ეშინია.

შენობა შუშიდან და ბეტონიდან

ამ რამოდენიმე ხნის წინად ნიუ-იორკში დასრულდა აგება შენობის, რომელიც იმით არის შესანიშნავი, რომ მის მშენებლებს სრულიად არ უსარგებლიათ ხის მასალით. მთავარ სამშენებლო მასალას წარმოადგენდა ფოლადი და ბეტონი. რკინის ბოძებიდან მოამზადეს შენობის ჩონჩხი, რომელიც შემდეგ ბეტონით გაავსეს, დიდი როლი ითამაშა შენობის აგებაში შუშამ. შენობის მთელი არმატურა—ჩარჩოები, კარები და სხვ.—დამზადებულია ბაკელიტიდან, ახლად აღმოჩენილ მასალიდან, რომელსაც ახასიათებს მსუბუქი წონა, სიმაგრე და ადვილად დამუშავების თვისება. ბაკელიტს შეიძლება მიეცეს ყოველგვარი ფერი და ფორმა.

სამხედრო ტეხნიკა

თანამედროვე ამერიკული არტილერია



სურ. 1— [illegible]

საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის

საუბარი ამხ. ს. ჯუღელთან

შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარებელ რესპუბლიკანურ კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ს. ჯუღელმა თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

შემოდგომის თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიის დაარსებისთანავე, ყველა სამაზრო აღმასკომებს დაეგზავნა დაწვრილებითი ცირკულიარი, რომლითაც განმარტებული და დასახული იყო როგორც თესვის კამპანიის მიზნები და ამოცანები, აგრეთვე საშუალებები მათ დაჩქარებით განსახორციელებლად.

სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეებს, რომლებიც ამავე დროს არიან თესვის კამპანიის ჩატარების საქმის რწმუნებულები და ეკისრებათ პასუხისმგებლობა კამპანიის წარმატებით მსვლელობისათვის რესპუბლიკანურმა კომისიამ უპირველეს ყოვლისა განუმარტა, რომ კამპანიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ზამთრის ნათესების სივრცის გაფართოვება და მოსავლიანობის გადიდება. მათვე ევალებათ მიიღონ ზომები გლეხობისათვის, პირველ რიგში კოლექტივებისათვის და ულარიბეს გლეხთა ორგანიზაციებისათვის აგრო-დახმარების მიწოდების გასაძლიერებლად. ისინი მომარაგებული უნდა იქნენ გადარჩეულ, გაწმენდილ და მოწამლულ სათესლე მასალებით.

ამავე დროს გლეხებს უნდა მიეცეთ შესაფერი რჩევა-დარიგება და ფაქტიური მაგალითები იმისა, თუ როგორ უნდა იქნეს დათესილი და დამუშავებული მიწა, რომ მოსავალი კარგი მივიღოთ.

შემდეგ ულარიბეს გლეხთა მეურნეობანი უზრუნველყოფილნი უნდა იქნენ მუშა საქონლით, საჭირო საკვებით და შესაფერი ხელხოთ.

სათესლე მასალისთვის დროზე გაწმენდის მიზნით, რესპუბლიკანურმა კომისიამ წინადადება მისცა სამაზრო რწმუნებულებს, მიიღონ ზომები რათა ხორბლეულის საწმენდი მანქანები მუშაობდენ ორ წყებად. აგრეთვე მათვე დაევალათ სასტიკათ ადევნონ თვალყური იმას, რათა კოლექტივებში მუშაობის დამთავრების შემდეგ, კოლექტივების კუთვნილი ინვენტარი გამოყენებული იქნეს სხვა რაიონებში მიწების დასამუშავებლად.

თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს სასოფლო სამეურნეო მანქანების წესიერად გამოყენება და ახალი მანქანების თავის დროზე მიწოდება ადგილებისათვის. ამიტომ რესპუბლიკანურმა კომისიამ დაავალა რწმუნებულებს უყოველმხრივ ეცადონ შესაფერათ გამოიყენონ ადგილობრივ არსებული მანქანა-იარაღები და ამავე დროს ახალი მანქანები თავის დროზე მიაწოდონ კოლექტიურ მეურნეობებს და ულარიბეს გლეხთა მეურნეობებს.

ამასთანავე ცირკულიარი მიუთითებს ადგილებს, რომ როგორც ცენტრში ისე რაიონებში მოიწვიონ სახელმწიფო, პარტიულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციების და აგრეთვე გლეხების წარმომადგენლების გაფართოებული თათბირები თესვის კამპანიასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად და გასაშუქებლად. ამ თათბირებზე უნდა გამომუშავდეს შესაფერი დამხმარე ღონისძიებები კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად.

როგორც ადგილებიდან მიღებულ ცნობებიდან ჩანს, ცირკულიარის გატარებას უკვე შეუდგენ ადგილებზე. მაგალითად, ბორჩალოს მაზრის რწმუნებულმა და თესვის კამპანიის ჩამტარებელმა კომისიამ მიიღო ზომები მთელი მაზრისათვის საკრედიტო ამხანაგობაში სათესლე ფონდის—(5000 ფუთი) დასაარსებლად. ამავე მაზრაში აგრო ორგანიზაციები უკვე შეუდგნენ სათესლე მასალის გაწმენდას და მოწამვლას.

ბორჩალოს სამაზრო აგრონომიულ ორგანიზაციას და სახალხო მამულს წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ შეუდგენ გლეხთა მეურნეობებში სარჩევნებელ ნაკვეთების მოწყობას.

ამასთან ერთად შესაფერ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ მოიყვანონ წესრიგში მაზრაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მიიღონ ზომები ახალ სახელოსნოების გასახსნელად 6 რაიონში.

თუ დასახული ღონისძიებები სავსებით განხორციელებული იქნება ადგილებზე, უნდა ვიქონიოთ სრული იმედი, რომ შემოდგომის თესვის კამპანია წარმატებით ჩატარდება და სასურველ შედეგებსაც მივიღებთ.

დასასრულ, უნდა აღვნიშნო—განაცხადა ამხ. ს. ჯუღელმა,—რომ. სახალხო კომისართა საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე 28 აგვისტოს დაამტკიცა შემოდგომის თესვის კამპანიისათვის ფინანსების მიწოდების გეგმა. ამ გეგმის მიხედვით სათესლე მასალისათვის გადადებულია 205.000 მ. მუშა-საქონლის შესაძენათ—85.000 მ.; სასოფლო-სამეურნეო მანქანების და ტრაქტორების შესაძენად და სახელოსნოების მოსაწყობათ 210.000 მ., საქონლის საკვების დასამზადებლად—70.000 მ., ზამთრის მწკრივათ ნათეს კულტურების კონტრაქტაციისათვის—10.000 მ., და სხვა.

ამრიგად მიღებულია ყოველგვარი ზომები თესვის კამპანიის სასურველად ჩასატარებლად.

თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად 4 სექტემბერს მიწსახკომში მოწვეულია სამაზრო აღმასკომების წარმომადგენელთა თათბირი.

ხელშეკრულების დადება სას.-სამ. ამხანაგობებთან

შემოდგომის ნათესების კონტრაქტაციას საქართველოს ფარგლებში ჩაატარებს „სოფლის კავშირი“. ჟურის მთელ მოსავალს „სოფლის კავშირი“ ჩაიბარებს სააქც. საზოგადოება „სოიუზხლებ“-ს.

ნათესების კონტრაქტაციას „სოფლის კავშირი“ ჩაატარებს თავისი ძირითადი ქსელის, სას. სამ. საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით. ამ მიზნით „სოფლის კავშირი“-მა შემუშავა ამხანაგობებთან დასადებ ხელშეკრულების ფორმა.

ხელშეკრულებების დასადებათ ამ დღეებში გორის, კახეთის და ბორჩალოს მაზრებში გაემგზავრნენ ინსტრუქტორები. ხელშეკრულების დადების კამპანიასთან დაკავშირებით, აღნიშნულ მაზრებში ჩატარდება თათბირები, რომელზედაც გლეხობას გააცნობენ კონტრაქტაციის საკითხს და ხელშეკრულების შინაარს. რის შემდეგაც „სოფლის კავშირი“-ს ინსტრუქტორები შეუდგებიან ხელშეკრულებების დადებას საკრედიტო ამხანაგობებთან.

ეს უკანასკნელები კი თავის მხრივ დაუკავშირდებიან ხელშეკრულებით კოლექტივებს და გლეხთა ჯგუფურ გაერთიანებს.

საკონტრაქტაციო ხელშეკრულებაში, რომელიც დადებული იქნება მთესველებთან, გათვალისწინებულია მიწის გაუმჯობესებულ იარაღებით დამუშავება, მწკრივათ თესვა. მწკრივათ სათეს მანქანების საშუალებით და მიწის განოყიერება შეძლებისდაგვარად. ამას გარდა თესვა იწარმოება წმინდა ხარისხის მასალით. აღნიშნულ პირობების შესრულებას ხელს შეუწყობენ თავის მხრივ ამხანაგობები ტეხნიკური და აგრონომიული დახმარების მოწოდების გზით.

შემოდგომის თესვის კამპანიისათვის მუშასაქონლის შესაძენათ საქ. მიწსახკომი და „სოფლის კავშირი“ მაზრებს გაუნაწილებენ 170.000 მანეთს.

ა. წ. 8 სექტემბერს, ქ. თბილისში „სოფლის კავშირი“-ს შენობაში მოწვეულია თბილისის და დუშეთის მაზრის საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლების თათბირი. თათბირზე გაირჩევა საკითხი შემოდგომის ნათესების კონტრაქტაციის შესახებ.

ამავე დროს მოხდება ხელშეკრულებების დადება „სოფლის კავშირს“ და აღნიშნულ მაზრების საკრედიტო ამხანაგობათა შორის.

თესვის ქრონიკა

სათესლე მასალა

საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩამტარებელმა კომისიამ ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში დაავალა დაჩქარებით შეიძინოს და შემოზიდოს საქართველოში 20.000 ფუთი ჭვავის თესლი. ჭვავი შემოზიდული უნდა იქნეს ყოფ. ეკატერინოსლავის გუბერნიის სამხრეთ ნაწილიდან, ტავრიდის გუბერნიის ჩრდილოეთ ნაწილიდან და ოდესის ოლქიდან, გარდა ამისა ვაჭრობის კომისარიატს დაევალა შემოზიდოს საქართველოში 49.000 ფუთი ხორბალი და 1.000 ფუთი „უკრაინკას“ ჯიშის სათესლე ხორბალი.

ხორბალი, გადაცვლილი იქნება ადგილობრივ სათესლე მასალაზე.

კონტრაქტაცია ხორბლეულზე

საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანური კომისიის ცნობით, მომავალ საშემოდგომო თესვის კამპანიაში განსაკუთრებული ყურადღება იქნება მიქცეული კონტრაქტაციის სისტემით ხორბლეულის მწკრივათ თესვას. ასეთ ნათესების თვითეულ ჰექტარზე გაცემული იქნება ავანსი 10 მანეთის რაოდენობით.

აგრო.-დახმარება

საშემოდგომო თესვის წარმატებით ჩატარების მიზნით, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ადგილობრივ აგრონომიულ ორგანოებს სისტემატიური ხელმძღვანელობა გაუწიონ და რჩევა-დარიგება მისცენ გლეხებს.

ქრონიკა

„ზაკავტოპრომტორგ“-ი

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს დადგენილებით სახელმწიფო სააქციო საზოგადოება „ზაკავტოპრომტორგ“-ი გადაცემულია საგზაო კომისარიატის რწმუნებულის განკარგულებაში.

გაგრის სანაპიროების გამაგრება

სახკომსაბჭომ დაადგინა ეთხოვოს ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს, აღძრას სსრ კავშირის სათანადო ორგანოებში საკითხი—გაგრის სანაპიროების გასამაგრებლად 130,000 მან. გაღების შესახებ.

ახალგაზრდობის გამოცდა

ცხენოსანთა, არტილერიის და სამხედრო საინჟინერო სასწავლებლებში გასაგზავნ კანდიდატთა მისაღები გამოცდები იწარმოებს ორშაბათს, 3 სექტემბერს, დილის 9 საათიდან.

ყველა ის მოქალაქენი, რომლებმაც ჩამოთვლილ სამხედრო სკოლებში შესასვლელად შეიტანეს განცხადებები საქართველოს ცაკთან არსებულ ცენტრალურ გადამრჩევ კომისიაში, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ აღნიშნულ დროისათვის ამიერ-კავკასიის ფეხოსანთა სკოლის შენობაში (პლეხ. პრ. №148).

რიონჰესი - ჭიათურა

ჭიათურის მოპოვებლობის ელექტროფიკაციის მიზნით რიონჰესის აგებასთან ერთად პარალელურად იწარმოებს ქუთაისიდან ჭიათურამდე რიონჰესის ენერგიის გადამცემი ხაზის გაყვანა და საჭირო ქვე-სადგურების მოწყობა.

ხაზი ენერგიას მიაწოდის ჭიათურის სამთო მრეწველობას, ქალაქს და მის რაიონს.

მთელი ხაზის გაყვანა და ქვე-სადგურების აგება დაჯდება 350.000 მანეთი.

თბილისის მაზრის ელექტროფიკაცია

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საელექტროფიკაციო განყოფილებამ შეიმუშავა თბილისის მაზრის ნაწილობრივი ელექტროფიკაციის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით უახლოეს 5 წლის განმავლობაში ზაჰესის ენერგია გაყვანილი იქნება საგარეჯოში, თეთრ წყაროში და აქედან თბილისის სამხრეთით მდებარე სოფლებში კოჯორამდე. ამ მიმართულებით ზაჰესის ენერგია გაყვანილი იქნება 40—50 კილომეტრის მანძილზე. კოჯორში და კოჯრის მიმართულებით ახლომახლო მდებარე სოფლებში ზაჰესის ენერგიის მისაღებად აგებული იქნება ქვე-სადგური და მოეწყობა ენერგიის გადამცემი მთავარი ხაზი.

წინასწარი მუშაობა დაიწყება მომავალ წლიდან.

თბილისის აღმასკომში

◆ **ახალი სახლი.** ტატიანის ქ. მუშათა ახალი სახლის ასაგებათ თბ. აღმასკომმა გადასდო 50.000 მანეთი.

◆ **ტუბდისპანსერის გაფართოება.** შესაკეთებლად ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასდო 6.000 მანეთი.

◆ **ლენინის სახელობის სტადიონზე** აღმასკომმა გადაწყვიტა ფიზკულტურელთათვის თავის დასასვენებელი ოთახები და აბანო.

◆ **ქუჩების შეკეთება.** მე-10 და მე-11 უბნებში ქუჩების შესაკეთებლად აღმასკომმა გადასდო 46,000 მანეთი.

◆ **საზოგადო საპირფარეშო.** კეთილმოწყობის განყოფილებას დაევალა პლეხანოვის პროსპექტზე მოაწყოს საზოგადო საპირფარეშო.

◆ **ახალი სავადმყოფოები.** ჯანმრთელობის განყოფილება სართიჭალის ქუჩაზე შეუდგა ახალი სავადმყოფოს აგებას.

სხვადასხვა

◆ **უნივერსიტეტის კლინიკაში** ახლო ხანში გაიხსნება სადიაგნოსტიკო პავილიონი.

◆ **ახალი წიგნი.** დაიბეჭდა და იყიდება ცხვედაძის „პედოლოგიის შესავალი“. წიგნი შეიცავს 124 გვ. და ღირს 1 მან. და 25 კაპ.

◆ **პროექტების გამოფენა.** დღეს მუშათა სასახლის დიდ დარბაზის ფოიეში გაიხსნება [illegible]-კვების კავშირის ახლად ასაგებ სახლის პროექტების გამოფენა. სულ გამოფენილია 12 პროექტი. გამოფენაზე შესვლა შეიძლება დილის 10—1 ს., საღამოს—5—10 საათამდე.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში დაბეჭდილ ამხ. ს. ბუაჩიძის წერილში შეცდომით გამოტოვებულია ერთი მნიშვნელოვანი ადგილი, რომელიც, დედანის თანახმად, შეიცავს შემდეგს: „არა ნაკლებ სერიოზული მუშაობა მოგვეთხოვება სოციალურად უცხო, კლასიურ ხაზს მოკლებულ, სისხლის სამართლის დამნაშავე და ანტი-საბჭოთა ელემენტების გამოსააშკარავებლად და გასაცხრილავად“. გარდა ამისა გაპარულია შემდეგი კორექტურული შეცდომა: მესამე სვეტში მეოთხე აბზაცში (ზევიდან) სწერია: „აუცილებელია, არა პარტიულებმა“... უნდა იყოს: „აუცილებელი, რომ პარტიულებმა“...

თბილისის სამაზრო გლეხკომის პლენუმი

გუშინ დილის 10 ს. თბ. აღმასკომის წითელ დარბაზში გაიხსნა თბილისის სამაზრო გლეხკომის პლენუმი.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ მოსმენილ იქნა სამაზრო გლეხკომის მუშაობის საანგარიშო მოხსენება. მოხსენებაში გამოირკვა, რომ ამჟამად თბილისის მაზრაში სულ არსებობს 75 სასოფლო გლეხკომი. საანგარიშო წლის განმავლობაში გამოკვლეულ იქნა 45 გლეხკომის მუშაობა. ამ გლეხკომებში, ოჯახების შეხვით გამოკვლევით ირიცხება 5.061 წევრი. მათ შორის 614 ქალია და 213 გლეხკომებმა საანგარიშო წელში შრომით დახმარება აღმოუჩინეს 41 წევრისათვის, ხოლო ფულობრივი—1.738 წევრისათვის. მათი შემოსავალი აღმატება—15174 მან., გასავალი—16,845 მ. გარდა ამისა გამოკვლევაში მოხვედრილ გლეხკომებს სულ აქვთ 29.997 მანეთის ქონება. აქედან ულარიბეს გლეხებზე სესხათ გაცემულია—11.642 მანეთი.

მათვე აქვთ 150 დესეტინა სახნავი მიწა, 35 დესეტინა ბაღ-ვენახები, 1 კარაქის ქარხანა, 7 წისქვილი, 3 პურის საცხობი, 3 სასადილო, 2 საყასბო და სხ.

გლეხკომები მონაწილეობას ღებულობდენ სავალდებულო სესხის ობლიგაციების გავრცელებაში და თესვის კამპანიაში, საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გლეხკომები ვერ იჩენენ სათანადო აქტიურობას და მუშაობის უნარიანობას საშუალებების და წევრების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მათ სუსტ მუშაობაში ბრალი მიუძღვის, როგორც თვითონ ადგილობრივ გლეხკომების ხელმძღვანელებს ისე სამაზრო გლეხკომებს, რომელიც უკანასკნელ შექმნილ მდგომარეობის გამო ვერ უწევდა მათ შესაფერ ხელმძღვანელობას.

თავის მხრივ სამაზრო გლეხკომის მუშაობა ჩამოქვეითდა იმ გარემოებამ, რომ მას თბ. აღმასკომის დადგენილებით ჩამორთვა ყველა სავაჭრო ოპერაციები და მისი აპარატის შესანახი ხარჯები შეტანილი იქნა თბ. აღმასკომის ბიუჯეტში, ხოლო შემდეგ კი ივნისში 20 პროცენტიან შემცირების ჩატარების გამო, გლეხკომის აპარატის შესანახი ხარჯები გამორიცხულ იქნა ბიუჯეტიდან. ამრიგად სამაზრო გლეხკომი დარჩა ჰაერში გამოკიდებული. ამან კი თავის გავლენა იქონია გლეხკომის საერთო მუშაობაზე.

სამაზრო გლეხკომს მიღებული აქვს ზომები, რომ მომავალ საანგარიშო წლიდან მას შეუძლია მუშაობის ნორმალურად წარმოების საშუალება.

მოხსენების გარშემო დაიწყო კამათი.

ფაბკარხადგილკომების გადარჩევა

გუშინ, პირველ სექტემბერს, დაიწყო საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების გადარჩევა, რომელიც გაგრძელდება სამი თვე.

ამის გამო საქართველოს პროფსაბჭომ მიმართა ყველა პროფორგანიზაციებს, რომ სერიოზული ყურადღება მიაქციონ კავშირების წევრთა ფართო მასების ჩაბმას ძირითად პროფორგანიზაციების (ფაბკარხადგილკომების) გადარჩევაში.

უდიდეს მნიშვნელობას აძლევს რა ფაბკარხადგილკომების გადარჩევას, საქართველოს პროფსაბჭო აღნიშნავს, რომ ეს კამპანია ჩატარებული უნდა იქნეს ფართო თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ; გამომჟღავნებული უნდა იქნეს მუშაობის ყველა ნაკლოვანებანი და სუსტი მხარეები.

აუცილებელია ძლიერი თვითკრიტიკა, რომელშიაც ფართო მონაწილეობა უნდა მიიღონ მასებმა. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ფაბკარხადგილკომები გახდენ უფრო ძლიერ და ავტორიტეტულ ორგანიზაციათ ამომრჩეველთა თვალში.

პროფსაბჭო წინადადებას იძლევა, რომ მსხვილ წარმოებებში ფაბკარხადგილკომების არჩევნები მოხდეს ნაწილ-ნაწილად. კრების ადგილისა და დროის შესახებ დროზე უნდა ეცნობოს მუშებს.

პროფორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ უზრუნველყოფილი იქნეს არჩევნების მაქსიმალური თავისუფლება. კერძოთ ამომრჩევლებს თავზე არ უნდა მოახვიონ რომელიმე კანდიდატურა. აღნიშნული მუშაობა საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით დამთავრებული უნდა იქნეს მიმდინარე წლის პირველ დეკემბრამდე.

პროფსაბჭო წინადადებას აძლევს კავშირების ცენტრალურ გამგეობებს, ავტონომიურ რესპუბლიკების პროფსაბჭოებს და სამაზრო პროფბიუროებს. არჩევნების დამთავრებიდან ორი კვირის განმავლობაში წარუდგინონ საქართველოს პროფსაბჭოს სრული ცნობები არჩევნების შედეგების შესახებ.

ა.-კ. რკინისგზელთა საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმში

500 მან. რკინისგზის ტეხნიკუმისათვის

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კაბინეტის მოსაწყობათ რკინისგზის ტეხნიკუმს გადაეცა 500 მან. საგზაო კომიტეტის კულტგანყოფილებას წინადადება მიეცა მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ კაბინეტის მოწყობაში.

პიონერთა ბანაკების მოსაწყობად

პიონერთა ბანაკების მოსაწყობად რკინის გზათა ც. დამზღვევ სალაროს სამმართველომ ამიერ-კავკასიისათვის გადადო 2.400 მან. პრეზიდიუმმა აღნიშნული თანხა განაწილა შემდეგნაირად: საქართველოს მიეცა—1.200 მ., აზერბეიჯანს—800 მან. და სომხეთს—400 მან.

ადგილკომების და საუბნო კომიტეტების გადარჩევა

პრეზიდიუმმა დაამტკიცა საორგანიზაციო განყოფილების მიერ დამუშავებული გეგმა ადგილკომების და საუბნო კომიტეტების გადარჩევის შესახებ. აღნიშნულ გეგმის მიხედვით სექტემბერში და ოქტომბერში ჩატარდება ადგილკომების გადარჩევა, ხოლო შემდეგ დაიწყება საუბნო კომიტეტების გადარჩევა.

შეშით მომარაგება და შეშაზე ფასის დაწესება

ცალკე რესპუბლიკების სატყეო ტრესტებმა ვერ შეასრულეს ა.-კ. რკინისგზათა დაკვეთა, ამიტომ წინადადება მიეცა მატერიალურ განყოფილებას შეუდგეს შეშის დამზადებას სამეურნეო წესით. შეშაზე დაწესდა რკინისგზელებისათვის მტკიცე ფასი.

1 კუბ. მეტრი მაგარი ჯიშის 7 მან., რბილი ჯიშის—6 მან.

ადგილების განაწილება საგზაო კურსებზე

საშუალო განათლების საგზაო კურსებზე ადგილები საუბნო კომიტეტებს შორის განაწილებულია შემდეგნაირად: თბილისის საუბ. კომიტ.—3; ბაქოს—3; განჯის—2, ლენინაკანის—2, სამტრედიის—1, ბათუმის—1.

საგზაო პოლიტ-განათლების მუშაკთა თათბირი

ა. წ. 6 სექტემბერს მოწვეულია პოლიტ-განათლების მუშაკთა თათბირი შემდეგი დღის წესრიგით. მოხსენება ადგილებიდან, საორიენტირო ქსელის შესახებ, პოლიტსკოლების პროგრამა, მიმდინარე საკითხები.

დროებითი საკონტროლო კომისიები

თანახმად რკინისგზელთა კავშირის ც. კ. და გზათა სახკომის ცირკულიარისა, დროებითი საკონტროლო კომისიები წევის დარგში მოეწყობა თბილისის, ბაქოს და ერევანის სახელოსნოებში. წინასწარ ჩატარებული იქნება კამპანიები დროებითი საკონტროლო კომისიების მნიშვნელობის შესახებ.

ა.-კ. რკინისგზის შემგლეხინის მუშაობის გეგმა

საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ა.-კ. რკინ. გზ. შემგლეხინის მუშაობის გეგმა, რასაც თავის მხრივ დაუმატა შესასწავლათ და გამოსაკვლევათ შემდეგი საკითხები: ამიერიკული სისტემით მოძრაობა, კაპიტალურ ხარჯების განსაზღვრა, სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია, სამმართველოს მიერ სესხის მოხმარა ახალ სამუშაოებზე, საბინაო მშენებლობა, სატვირთო მატარებლების ცხრილის მიხედვით მოძრაობა და საწარმოო—კომისიების და თათბირების მუშაობა.

რკინისგზეზე

ვაგონების გაცემა იჯარით

შემოდგომის სეზონის განმავლობაში ტვირთების გადაზიდვის გადიდებასთან დაკავშირებით, გზების გამგეობამ გადასწყვიტა არ მისცეს ვაგონები იჯარით სხვადასხვა უწყებებს, რომლებიც ამაზე წარმოადგენენ მოთხოვნილებას.

ხანძარი მატარებელში

31 აგვისტოს სადგ. გიუზდეკიდან გასვლის დროს მატ. № 458 შემადგენლობაში ცეცხლი გაუჩნდა ერთ-ერთ საბარგო ვაგონს, რომელშიაც მოთავსებული იყო 50 ცხვარი.

მატარებელი დაუყოვნებლივ დაბრუნებულ იქნა უკან სადგურში, სადაც მიღებულ იქნა ზომები ცეცხლის ჩასაქრობად, მაგრამ ცხვრებით დატვირთული ვაგონის გადარჩენა მაინც ვერ მოხერხდა. დაიწვა 50 ცხვარი.

როგორც გამოირკვა, მატარებელს ცეცხლი გაუჩნდა ერთ-ერთ გამყოლის მიერ პაპიროსის ნამწვავის გადაგდებით ცხვრისათვის მომარაგებულ თივაში.

მატარებლის გაწყვეტა

საბარგო მატარებელი № 104 ორმაგი წევით მიდიოდა აგარა-გომის გადასარბენზე. მემანქანე ჰელიძე იდგა ორთქლმავლის ფანჯარასთან და იყურებოდა წინ. ორთქლმავლიდან ქარმა თავიდან მოგლიჯა ქუდი. მემანქანემ მისცა ნიშანი მეორე ორთქლმავალს გაჩერებულიყო, თითონაც დაუწყო მატარებელს დამუხრუჭება.

მემანქანე ჰელიძემ მოსძებნა თავისი ქუდი და დაუბრუნდა ორთქლმავალს. მატარებელი ადგილიდან დაძვრის დროს გაწყდა.

აღნიშნული შემთხვევის გამო რკინის გზას ჰელიძის ქუდი დაუჯდა 74 მანეთი. შემთხვევასთან მებრძოლმა კომისიამ ორივე ორთქლმავლის მემანქანეები ჩამოაყენა დაბალ თანამდებობაზე 3 თვით.

შრომის დაცვა

ა. კ. რკინის გზების გამგეობამ დაამტკიცა რკინის გზებზე შრომის დაცვის ხუთ-წლიანი გეგმა.

გეგმის მიხედვით 1928 წლიდან 1933 წლამდე შრომის დაცვის საქმეზე დაიხარჯება 3.38,620 მანეთი.

შემთხვევები

სროლა „ჟოკეი კლუბში“

გუშინ, ღამის 11 საათზე, „ჟოკეი კლუბის“ კარებს მიადგა ხულიგან ახალგაზრდების ერთი ჯგუფი. ახალგაზრდები ხმაურობით შევიდნენ კლუბში. ისინი ვიღაცას ემუქრებოდნენ დანით. უეცრად შეჯგუფებულ ხალხში გავარდა რევოლვერი, გავარდა მეორე, და ხალხი შეჩოჩქოლდა, შეიქნა წივილ-კივილი. მსროლელ ახალგაზრდებისკენ გაიქანა მეათე სამილიციო რაიონის უფროსი ამხ. კარხანაძე, სწვდა ერთ-ერთ მსროლელს რევოლვერს. რიან ხელში და დაუწყო ბრძოლა რევოლვერის ჩამოსართმევათ, ამ დროს იქვე ზედიზედ კიდევ სამჯერ გავარდა რევოლვერი, ამით არ დასრულდებოდა ხულიგნების თავხედობა, რომ ამ კარხანიძეს არ წამოშველებოდა რკინისგზის მეველ რაზმის ერთი თანამშრომელი, რომლის დახმარებითაც დიდი ბრძოლის შემდეგ მოხერხდა მებრძოლ ხულიგნების განიარაღება. სროლის დროს ფეხში დაიჭრა მოქ. ბახვა კვიზიძე. (პროფკავშირიდან ჩამოსული) და ხუციშვილი (მარცხენა ბარძაყში).

შემთხვევის ადგილზე სასწრაფოთ გამოცხადდნენ გამომძიებელი შ. ადამიძე და სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები. დაჭრილები გადაგზავნეს კამოს სახელობის საავადმყოფოში. ხულიგნები შოთა გედევანიშვილი და კონსტანტინე კანდელაკი დაპატიმრებული არიან.

„კოოპერატორი“ — გამფლანგველი

შალვა კვანჭახაძე ირიცხებოდა „ზაკტპო“-ს მეორე მაღაზიის გამგეთ.

რევიზიით გამოირკვა, რომ კვანჭახაძემ მიითვისა და გაფლანგა 1097 მანეთი. იგი პასუხისგებაშია მიცემული.

ქურდობა

ბოქლომის აგლეჯის საშუალებით გაქურდეს ანასტასია ბუტკინის ბინა (ბროსეს ქუჩა № 5), წაიღეს 400 მანეთის ნივთები.—გაქურდეს გერ. ლებანიძის ბინა (ავჭალაში). მოპარულია 450 მანეთი ფულად.—ქურდობისათვის დააპატიმრეს დიმიტრი სტეფანეს ძე ბოროდინი და პარმენ ფრიდონის ძე ომიაძე.

სასამართლო

ტრესტის ფულების მოყვარული

ნესტორ ალექსის ძე ლოლუა 1926 წლიდან—27 წლამდე მუშაობდა დავალებათა აღმასრულებლად ლითონ-ტრესტში. მას დავალებული ჰქონდა სხვადასხვა დაწესებულებებიდან ფულის მიღება. მაგრამ მან ისეთი რამ დაიდგა, რაც არავის დაუვალებია მისთვის—სახელდობრ ტრესტის ფულების მითვისება.

მისი „მოღვაწეობის“ ამბავი მივიდა სათანადო ორგანოების ყურამდე და ლოლუას ეწვია რევიზია.

— სად არის დანაკლისი ფული, ეკითხებიან ლოლუას.

— გასამართლებელი საბუთები მაქვს და პორტფელიდან იღებს ერთს 2021 მანეთის და მეორე 396 მანეთის საბუთს. აი, ეს ფული გადაცემული მაქვს მოქ. გურიევზე.

ახედ-დახედეს საბუთს, წაშლილი ციფრები მკრთალად მოსჩანან მასზე.

რაღაც ნერვიულობა ეტყობა ლოლუას. სულ „ბატონი“-ს გაიძახის, იბნევა ჩვენების მიცემის დროს.

მოიწვიეს კალიგრაფიული ექსპერტიზა. რომელმაც გამოარკვია, რომ „საბუთები“ ხელმოწერილია ლოლუას მიერ.

საქმეს მიეცა მსვლელობა.

წინასწარი გამოძიების დროს გამოირკვა, რომ ლოლუას არც ერთი კაპეიკი არ გადაუცია მოქ. გურიევისათვის და რომ ორივე საბუთი ყალბია.

დამტკიცდა. რომ ლოლუამ ტრესტის ფულები გაიხადა საკუთარი შემოსავლის წყაროდ და ყალბი საბუთების შედგენის გზით ხელ-ნელა ტრესტს დააძრო 4.178 მანეთი და 68 კაპ.

ტრესტის ფულების გაფლანგვისათვის ლოლუა შეემატა გამფლანგველთა კადრს გამასწორებელ სახლში;

საქმე უკვე გამოძიებულია. ამ ახლო ხანში ლოლუა წარსდგება სასამართლოს წინაშე.

თ.

ბიბლიოგრაფია

გ. გეხტმანი. „სოფლის მეურნეობა და ეკონომიკა“ (ნარკვევები)

მეორე შესწორებული, გადამუშავებული და შევსებული გამოცემა თბილისის უნივერსიტეტის მიერ 1928 წ. გვ. 203.

სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენს პირობებში. სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქცია, მისი ინდუსტრიალიზაცია და ინტენსიფიკაცია მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩავატაროთ მიზანშეწონილად, როცა ჩვენ გვეყოლება სოფლის მეურნეობაში არსებულ პროცესებთან სათანადოდ გაცნობილი პირები. ხოლო სოფლის მეურნეობაში მომქმედ პროცესებს კი სწავლობს სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკა. მაგრამ აღნიშნულ მეცნიერებას საფუძვლიანად არა თუ ჩვენში ბევრი არ იცნობს, არამედ მთელ საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც ამ დარგის მცოდნენი ერთობ მცირე რიცხვი მოიპოვება. ამას ადასტურებს ამხ. სტალინი, რომელმაც კომკავშირის უკანასკნელ საკავშირო ყრილობაზე ხაზგასმით აღნიშნა: „სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მცოდნენი ჩვენში სამარცხვინოდ მცირეა“-ო. მით უმეტეს ითქმის ეს საქართველოზე.

ამ ნაკლის შევსებას ჩვენში ცდილობს სარეცენზიო წიგნი, რომელიც ავტორის წინა გამოცემასთან შედარებით მნიშვნელოვნად შევსებულია და შესწორებულია.

ავტორი მიზნად ისახავს ჩვენს სტუდენტობას და მოსწავლე ახალგაზრდობას გააცნოს სასოფლო მეურნეობაში მომქმედი საზოგადოებრივი და ეკონომიური ხასიათის ფაქტორები, შესავალში საკმაოდ ვრცლადაა გარკვეული სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის განვითარების ისტორია, სადაც მოთხრობილია ამ დარგში გამოჩენილ ავტორთა მოსაზრებებს სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის საგნისა და მეორეს მხრივ სას.-სამ. ეკონომიკის მეთოდის შესახებ.

მეორე თავში განხილულია სასოფლო მეურნეობის წარმოება. ამ თავში მკითხველი ეცნობა სასოფ. მეურნ. წარმოების ძირითად ფაქტორებს, მათ თავისებურ თვისებებს და მის განსხვავებას მრეწველობის სხვა დარგებთან შედარებით. აქვე დაწვრილებითაა განხილული სოფლის მეურნეობის შინაგანი (ტეხნიკური) ფაქტორები, შემდგომ დანახარჯთა კლებადი ნაყოფიერობის კანონი, მოძღვრება სტატიკაზე, დიფერენციალური და აბსოლიუტური რენტა და სხვა. შემდეგ თავებში ავტორი იხილავს შინამრეწველობას, სასოფლო-სამეურნეო კრედიტს, დაზღვევას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას დასავლეთ ევროპაში, სასოფლო-სამეურნეო პრობლემებს, სოფლის მეურნეობისა და მემინდვრეობის სისტემებს საერთოდ და კერძოდ საქართველოში, ბაზრის გავლენას სოფლის მეურნეობის ორგანიზაციაზე, ორთქლის ტრანსპორტის გავლენას სოფ. მეურნეობის ორგანიზაციაზე, ფასების შეფარდებას და მათ გავლენას სოფლის მეურნეობაზე და სოფლის მეურნეობის კრიზისს.

ყველა აქ ჩამოთვლილი კითხვების განხილვა თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვანია რადგან მათი საშუალებით ჩვენ ვეცნობით არა მარტო იმ მოვლენებს, რომლებსაც თვით სოფლის მეურნეობის შიგნით ვითარდებიან იმ ფაქტორებსაც, რომლებიც მის გარეშე მოქმედებენ, მაგრამ ამავე დროს სოფლის მეურნეობის განვითარებასაც განსაზღვრავენ. აღნიშნული შრომა საყურადღებოა სხვათა შორის იმითაც, რომ ამ წიგნით ქართველ მკითხველს საშუალება ეძლევა დაწვრილებით გაეცნოს მთელ რიგ საკითხებს და გამორკვეულ მეცნიერების მოსაზრებებს, რომელთა შესახებ დღემდე ქართულად არაფერი ყოფილა დაბეჭდილი ხოლო რომელთა ცოდნას შეუძლია სოფლის მეურნეობის განვითარებაში გარკვევა. ასეთ საკითხებათ ჩვენ მიგვაჩნია მეურნეობის ინტენსივობის საკითხი და ბაზრის გავლენა სოფლის მეურნეობაზე.

მეორე საკითხის გასარკვევად დაწვრილებითაა განხილული ტიუნენის მოძღვრება, როგორც იკვლევს ბაზრის მნიშვნელობას, როგორც სასოფლო-სამეურნეო ევოლიუციის გარკვეულ ფაქტორს. სატრანსპორტო ხარჯებს ამა თუ იმ კულტურის გავრცელებაზე უდიდესი გავლენა აქვს, იგი მოქმედებს სოფლის მეურნეობის ორგანიზაციაზე, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გასაღებაზე და წარმოების საშუალებათა და პირად მოსახმარ საგანთა შეძენაზე ბაზრისა და ტრანსპორტის ამ გავლენას ჩვენი სოფელიც განიცდის. ამიტომ ტიუნენის მოძღვრების გაცნობას ჩვენი სოფლის მეურნეობაში მომუშავეებისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის პროცესში არა თუ არ უნდა იქნას დავიწყებული ბაზრის გავლენა სოფლის მეურნეობაზე, არამედ ეს საკითხი დაწვრილებით უნდა იქნას გათვალისწინებული.

ეკონომიურად ბაზარს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. თუ რომელი სისტემა იქნება შემოღებული და, სად, ეს სავსებით დამოკიდებულია ბაზარზე. ტიუნენმა ეს საკითხი დაწვრილებით გამოარკვია და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ყოველ სისტემას სოფლის მეურნეობაში აქვს გარკვეული საზღვარი, რომლის იქით იგი სასარგებლო არაა. ამის გამო სასოფლო-სამეურნეო კულტურები და სისტემები ისე ვითარდებიან, რომ თვითეული მათგანმა მაქსიმალური სარგებლობა მისცეს სოფლის მეურნეს. უეჭველია ჩვენს პირობებში საჭიროა ამ მხრივ გათვალისწინება. ავტორს ტიუნენის მოძღვრება საკმაო სრულყოფით აქვს მოცემული.

სარეცენზიო შრომაში განხილულია აგრეთვე მესაქონლეობის პროდუქტების ბაზარი საერთოდ და კერძოდ საქართველოში. ეს საკითხი დიდ ყურადღებას იპყრობს, საერთოდ მთელ საბჭოთა კავშირში, რადგან მესაქონლეობიდან მიღებულ ნედლეულის კრიზისს საკავშირო მრეწველობა საკმაო სიმწვავით განიცდის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ შრომაში არაა სათანადო სისრულით მოცემული სოფლის მეურნეობის დინამიკის ანალიზი. მკითხველი ვერ მიიღებს სრულ წარმოდგენას თუ რაზეა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის განვითარების ნელი ტემპი. საჭიროა უფრო გარკვევით და უფრო დაწვრილებით შეჩერება ამაზე. ეს ნელი ტემპი დამოკიდებულია სოფლის მეურნეობაში მომქმედ ბიოლოგიურ პირობებზე თუ ის ნაყოფია საწარმოო ძალთა იმ განაწილების, როცა კაპიტალისტური მეურნეობის ინტერესებით ნაკარნახევია სოფლის მეურნეობაში უფრო ნაკლები სამუშაო ძალა და კაპიტალის გამოყენება, ვიდრე ქალაქის მრეწველობაში. ცხადია პირველი ფაქტორი, არ გამოდგება—ნელი ტემპის ახსნის მიზეზად, ეს ბიოლოგიურ-ტეხნიკური პირობები ადვილად ემორჩილება ადამიანის კონტროლს და ამიტომ ძალაში რჩება ჩვენ მიერ მოყვანილი მეორე მიზეზი.

მეორე ჩვენი შენიშვნა შეეხება იმას, რომ ავტორს სრულიად არაფერი აქვს ნათქვამი კოლექტიური მეურნეობათა შესახებ. ჩვენ კი ვფიქრობთ ამ საკითხის დაწვრილებით განხილვა უნდა შეადგენდეს ჩვენში დაწერილ სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის კურსის საგანს. ეს ნაკლი უეჭველად მნიშვნელოვანია და შემდეგ გამოცემაში ავტორმა თავის შრომა ამ მხრივ უნდა შეავსოს. სოფლის კოლექტ. მეურნეობათა მოწყობის შესაძლებლობის მეცნიერული დასაბუთება თანვე უნდა სდევდეს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის დაწვრილებით შესწავლას, რითაც მკითხველს გაუადვილდება ამ დიდი მოვლენის ნათელი წარმოდგენის მიღება.

მიუხედავად აღნიშნულ ნაკლისა სარეცენზიო შრომა დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც ჩვენს სტუდენტობას, ისე ტეხნიკუმების მოწაფეებს.

ვ. ნ—ძე.

ფიზკულტურა და სპორტი

წყლის სპორტის დღესასწაული

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ წინადადება მისცა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს გამოჰყონ კავშირის ერთი ან ორი წევრი. წყლის სპორტის დღესასწაულზე გასაგზავნათ ქ. ბათუმში.

თბილისიდან დღესასწაულის მონაწილენი გაემგზავრებიან 7 სექტემბერს საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. მაჩაიძის მეთაურობით. ამავე დღის კულტგანყოფილება აწყობს პროფკავშირთა წევრების მასიურ ექსკურსიას ბათუმში. ექსკურსანტები დაესწრებიან წყლის სპორტის დღესასწაულს, რომელიც ჩატარდება 8, 9 და 10 სექტემბერს.

თბილისიდან დღესასწაულზე მონაწილეების მისალოცავ მეზღვაურთა კავშირიდან მიემგზავრება გამოცდილი მცურავი შორეულ დისტანციაზე ამხ. დანილოვი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ინდივიდუალურ შეჯიბრებებში.

დღესასწაულის პროგრამა ასეთია:

8 სექტემბერს დილით მოწყობილი იქნება შეჯიბრება ნიჩბოსნობაში და აფრიანობაში და წინასწარი შეჯიბრება ცურვაში.

საღამოს სტადიონზე მოხდება დღესასწაულის ოფიციალური გახსნა და ფეხბურთის შეჯიბრება ბათუმის და ფოთის პროფკავშირთა გუნდებს შორის.

9 სექტემბერს დილით გაიმართება შეჯიბრება ცურვაში და წყალ-ბურთში და აგრეთვე ფინალი ცურვაში.

დანარჩენ დღეებში მოეწყობა სიგნალიზაციის დემონსტრაცია და გაიმართება შეჯიბრებები წყლის სპორტის სხვადასხვა დარგებში.

რადიო-გადაცემა

კვირა 2 სექტემბერი

თბილისის რადიო-სადგურიდან დღეს გადაცემული იქნება:

დილით: მოხსენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევის შესახებ.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე ქართულ ენაზე.

გლეხური რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე.

საქართველოს პროლეტარული მწერლების გამოსვლა.

კონცერტი სტუდიიდან.

საღამოთი: რადიო-გაზეთი ქართულ და რუსულ ენაზე.

[illegible] საუბარი აგრონომიაზე—ქართულ ენაზე.

მოხსენება—შინაგან სეკრეციის ჯირკვლე[illegible]—ქართულ ენაზე.

მოხსენება—მუცლის ტიფის და მისი თავიდან აცილების შესახებ.

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე.

მოხსენებებს შორის შესრულებული იქნება ვოკალური ნომრები.

ორშაბათი, 3 სექტემბერი

[illegible] მიწათმოწყობა და სამიწათმოქმედო საკ[illegible]—ქართულ ენაზე.

[illegible] ცხოველების მკურნალობა—რუსულ ენაზე.

[illegible] მიმდინარეობს თვითკრიტიკა—ქართულ ენაზე.

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე.

კონცერტი სტუდიიდან.

[illegible] საგენტოს ინფორმაცია—რუსულ ენაზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 2 სექტემბერს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევართ:

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ვიქტორ სიხარულიძე; ვერა საფონოვა; ლიდია ანასტასიევა; ელენე მიხაილევსკაია; გიორგი გამოგოევი; კონსტანტინე ოდიშარია; ალექსანდრე ტაბალუა; ამბროსი მახარაძე; ვასილ კახიძე; დავით მანჯგალაძე; ვალერიან გაბისონია; კლარა ხოჭოლავა; მიხეილ ჯანგველაშვილი; ლევან ფლოდვინი; ფილია; რამიშვილი; სერგო იაროვი; იონა შანიძე; ტარიელ კილურაძე, ფალავანდიშვილი, მიხეილ ზალდასტანიშვილი; მარგარიტა მირზოევა; პავლე ქათამაძე; გალუსტ ტერ-სიმონოვი; ვლადიმერ სანოვიჩი; იოსებ ბრ. გვაძე; კაპიტონ ახვლედიანი; ილია რატიშვილი; ელისაბედ ლომაძე; შტეინბერგი, ალექსი მაქაცარია, შალვა სანაძე; გიორგი ზარულავა; მიხეილ ფხაკაძე; აბაკო შავგულიძე; ერასტი ტყაბლაძე; პროკოფი ქორიღოვა; შალვა კვანტალიანი და ლიუბა აგარონოვა.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: გიორგი ანდრონიკაშვილი; იაკობ ვარდიევი.

მედსექციიდან: ალექსანდრა კრუმპელოვა; გრიგოლ ჯიხვაძე.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: მუშეღ ბარსეგინი; ტატულ სარდაროვი; ოსმან თაზოევი; ივანე ბოლგარჩევი; აპარიკ არუთინიანი; არუთინ ასატუროვი; რუბენ სუკიასოვი; ივანე დადიაშვილი.

[illegible] ისინი ამ ომს ამზადებენ სისტემატიურად. ამზადებენ მთელი თავისი ძალღონით და საშუალებებით, ამზადებენ ყოველ ხაზობით.

ფინანსიურ-ეკონომიური ბლოკადის ცდა მთელი რიგი სახელმწიფოების მხრივ—დაწყებული ძლიერი ამერიკის და გათავებული უბადრუკი ავსტრიით, დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა, დიპლომატიური და სამხედრო კავშირების შეკვრა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, განუწყვეტელი პროვოკაციული მუქარები მარშალ პილსუდსკის მხრივ, —ამ თავხედი „სალდაფონის“ მხრივ, რომელიც ეგრედწოდებულ „ხალხის წარმომადგენლებს“ ცინიკურად უწოდებს პროსტიტუტკებს, რომელიც მით უფრო მეტად აბაკუნებს თავის უხეშ ჩექმებს, რაც უფრო უსირცხვილოდ და დამამცირებლად ლოკავს ინგლისის და საფრანგეთის გენერლების და მინისტრების ჩექმებს,—ანტისაბჭოთა სამხედრო შტაბების აშკარა მუშაობა ბალტიის მხარეში და რუმინეთში, დაბოლოს, თავხედური პროპაგანდა იაპონიის იმპერიალიზმის მხრივ,—ყოველივე ამან სერიოზულად უნდა დააფიქროს ყოველი სინდისიერი მუშა, ყოველი პროლეტარი, ყოველი ჩაგრული მსოფლიოში, რომლებიც საბჭოთა კავშირს უყურებენ როგორც ნამდვილ სამშობლოს, რომელიც მოპოვებულ იქნა მუშათა კლასის შვილთა სისხლით, მძაფრი ბრძოლით მემამულეებისა და კაპიტალისტების, მოძალადეთა და ხალხის დაუძინებელ მტერთა წინააღმდეგ.

ეს „კულტურული“ მტაცებლები, რომელნიც დანაშაულებრივ ბრძოლას აწარმოებენ ჩინეთში, ყუმბარებს უშენენ ჩინეთის ქალაქებს, იპყრობენ ჩინეთის მიწებს, იტაცებენ ჩინეთის ხალხის არსებობის უკანასკნელ წყაროებს, სიცოცხლეს უსპობენ მის საუკეთესო შვილებს, ამზადებენ თავდასხმებს ერთი-მეორეზე, რაზმავენ თავის ძალებს საბჭოთა კავშირზე შეტევისათვის, თავით ფეხამდე იარაღდებიან მიწაზე და წყალში, იყენებენ მეცნიერებას უაღრესად განმანადგურებელ, უაღრესად ბარბაროსულ, უაღრესად ულმობელ ომის საქმისათვის, იმ ომის, რომელმაც უნდა ჩაახრჩოს კაცობრიობა მოწამლულ გაზებში და აწამოს იგი ხელოვნურად შეყრილ სასიკვდილო ავადმყოფობებით, აწყობს საშუალო საუკუნეთა „მაიმუნების პროცესებს“ დარვინის თეორიის წინააღმდეგ, მე-19 საუკუნის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან თეორიის წინააღმდეგ, სცემენ სასტიკ კანონებს „მავნე შეხედულებათა“ ამოსაფხვრელად, ელექტრონის სკამებზე სწვამენ საკოს და ვანცეტის,—როდესაც უკვე შეჩერდა მილიონთა მაჯისცემა და უნებურად გაისმა შურისძიებისა და პროტესტის წყევლის ამოძახილი. —ეს „კულტურული“ მტაცებლები, გენერალური შტაბების ყასბები, საიდუმლო დიპლომატიის ოინბაზები, ბანკებისა და ტრესტების მეფეები, თავის სწავლულ და უსწავლელ საპოლიტიკო და სასულიერო მსახურთა კრებულთან ერთად, გაჰყვირიან ბოლშევიკების ბარბაროსობისა და თავის „მშვიდობიანობისადმი მიყვარულობის“ შესახებ.

ისტორიას არ ახსოვს იმაზე უფრო უსირცხვილო სიყალბე და თვალთმაქცობა, იმაზე უფრო ცრუ და საზიზღარი იდეოლოგია, როგორიცაა იმპერიალიზმის „პაციფისტური იდეოლოგია“, იმ იმპერიალიზმის, რომლის საგარეო პოლიტიკის „პროფესიას“ წარმოადგენს ომის ყველაზე უსინდისო, ყველაზე ბარბაროსული, ყველაზე კონტრ-რევოლიუციონური, ყველაზე განმანადგურებელი სახე.

რაც უფრო მეტად მძვინვარებს შეიარაღება და კონკურენცია, მით უფრო მეტი ენერგიით ცდილობენ ერთმანეთს ოფიციალური და არაოფიციალური აგენტები „მშვიდობიან“ [illegible] წარმოებაში „მშვიდობიან“ ხელშეკრულებების, კონფერენციების, ყრილობების, პროექტების და წინადადებების შესახებ.

[illegible] „სამეურნეო დემოკრატიას“ [illegible] ამის განხორციელებას სცდილობენ ტრესტებში გაერთიანებული კაპიტალის ლურსმნებიანი ჩექმის ქვეშ.

„სამრეწველო ზავი“ ეკონომიკაში, „კოალიცია ბურჟუაზიასთან“ პოლიტიკაში—აი ასეთია ხალატით შეზავებული სიბრძნე სოციალ-დემოკრატებისა.

პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების თვალსაზრისით განსაკუთრებით ეხლა არის საჭირო მხილება ბურჟუაზიის ყოველი სამხედრო ნაბიჯისა, მითითება ომის საფრთხეზე და, საერთოდ, გაფრთხილება მშრომელებისა. სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკოსები სწორედ ამ დროს, ამ მომენტში აგებენ ჯავშნოსნებს, ხდებიან საზიზღარი „სამხედრო კანონების“ ინიციატორებად. მუცლით დახოხავენ მილიტარიზმის წინაშე, აქტიურად „აუმჯობესებენ“ კაპიტალისტურ არმიებს, ქებათა-ქებას ასხამენ იმპერიალისტურ ერთა ლიგას, ცილს სწამებენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, სიამოვნებას განიცდიან საკო[illegible] და ვანცეტის ჯალათების თვალთმაქცური [illegible]უმენტის გამო და შხამიან პაციფისტურ [illegible]რბლებს ანთხევენ. ისინი ყოველი ღონით და საშუალებით ამართლებენ იმპერიალიზმის ნამ[illegible] მზადებას ომისათვის და ამავე დროს [illegible] საბჭოთა კავშირს ბრალს სდებენ „იმპერიალიზმში“. ისინი, 1914 წლის აგვისტოს ეს გმირები ეხლავე მუხლის თავებზე დგებიან და წინასწარვე ემზადებიან, რომ იმპერიალისტურ [illegible]ლურ შტაბებთან ერთად ხელი-ხელ [illegible]ებულებმა იომონ. ეს ვაჟბატონები [illegible] ხელებ-გაშვერილნი დგანან, რომ მი[illegible] მოწყალება იმ დღეებისათვის, როცა ისინი [illegible]ლურლათ გამოწყობილნი, ბურჟუაზიის [illegible] იდგებიან პროლეტარულ რევოლიუც[illegible] ჯარისკაცების წინააღმდეგ.

პროლეტარიატის კლასობრ[illegible] ინტერესების თვალსაზრისით, ეხლა უფრო [illegible] ვიდრე როდესმე, საჭიროა ინდუსტ[illegible]ური პროლეტარიატის ერთობა კოლონ[illegible] მშრომელ მასებთან. მაგრამ სოციალ-დე[illegible]ატიული პარტიები ამ საკითხში დადგნენ მხარეზე, იმპერიალისტების მხარეზე, მჩაგვრელთა [illegible]რი იმპერიალისტური სახელმწიფოთა [illegible] აგენტების მხარეზე. საფრანგეთის სოციალისტები მხარს უჭერდნენ თავის [illegible] რობას მაშინ, როცა ეს მთავრობა [illegible] და ყუმბარებით მიწასთან ასწორებდნენ [illegible]ბის სოფლებს და სირიის ქალაქებს. ინგლისის [illegible] ნალდის მთავრობა აშკარად და ყველას [illegible] წინ ახრჩობდა ინდოეთს, ხოლო [illegible] შათა პარტიის წევრები ინდოეთში [illegible] ცილებენ ბრიტანეთის ბურჟუაზიის [illegible] ლებებს, ყველა სოციალისტური პარტია [illegible] ნეთის საკითხში მხარს უჭერს თავის მთავრობას; ეს პარტიები მხოლოდ ათასში ერთხელ, [illegible] გამონაკლის შემთხვევებში, როცა მასები [illegible] ლას ატანენ, იძულებულნი ხდებიან მიმართონ [illegible] ისიც მუხლებზე დაჩოქილებმა, თვალთმაქცური [illegible] ბერებს მხდალი კრიტიკული შენიშვნებით. სოციალისტების ბრიუსელის კონგრესი [illegible] იმ სოციალისტების, რომლებიც სრულებით არ უჭერდნენ მხარს გომინდანს მის რევოლიუციონურ პერიოდში, აშკარა სოლიდარობას უცხადებენ გომინდანს ეხლა, როდესაც იგი გადაიქცა იმპერიალიზმის ქოფაკ ძაღლად, მუშათა მოძრაობის უსაზიზღრეს ჯალათად. ბრიუსელის კონგრესმა მიიღო საზიზღარი, მართლაც რომ სამარცხვინო გადაწყვეტილება კოლონიალურ საკითხში, მან სიტყვასიტყვით გადაიწერა მჩაგვრელი ერთა ლიგის დოკუმენტები.

ამრიგად, სოციალ-დემოკრატია გადაიქცა იმ მთავარ ძალად, რომელიც სთიშავს, აშორებს ერთმანეთს ინდუსტრიალური ქვეყნების მუშებს და კოლონიების მშრომელთა მასებს.

ბოლოს, პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების თვალსაზრისით, ეხლა უფრო მ[illegible] ამ განაცხადის თავიდან ასაცილებლად.

ეხლავე დაულალავად დღითი-დღე უნდა გავამრავლოთ მებრძოლთა რიგები, დავრაზმოთ მასები, არმიაში და ფლოტში ჯარისკაცებთან და მეზღვაურებთან გავგზავნოთ მუშათა კლასის ერთგული შვილები და მოვამზადოთ ის დღე და საათი, როცა პროლეტარები—საპასუხოდ იმპერიალისტების საძაგელი მოწოდებისა, რომ პროლეტარებმა ულიტონ ერთმანეთი—შეატრიალებენ ზარბაზნების და თოფის ლულებს იმპერიალისტების წინააღმდეგ რომლებიც საუკეთესო დასამიზნებელნი არიან იმპერიალისტური ომის დროს.

იმპერიალიზმი ჰგავს ბრმა ღორს, რომელიც თავისი ამღვრეული თვალებით ხედავს მხოლოდ ისტორიულ წარსულს, არ ძალუძს ახადოს მომავლის ფარდა და თავს ინუგეშებს ილიუზიით მშვიდობიანობის შესახებ ევროპაში, რომელიც ამერიკის ვეშაპისაგან პერიოდულად იღებს გამაცოცხლებელ ოქროს ელექსირს. პროლეტარის ფხიზელი თვალი, რომელმაც თავის ზურგზე გადაიტანა კაპიტალისტური რაციონალიზაციის მთელი სიმძვინვარე და „სამრეწველო ზავის“ ცინიზმი, დაცინვა, კარგად ხედავს კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა უაღრესად გამწვავებას და კლასობრივი ბრძოლის ზრდას. გაფიცვა ინგლისში, ვენის აჯანყება, გაფიცვები გერმანიაში, არჩევნების შედეგები საფრანგეთსა და გერმანიაში, გერმანელი მუშების რეაქცია და სოციალ-დემოკრატიის მორიგი გამცემლობა, ჩინეთის მუშებისა და გლეხების შეუპოვარი წინააღმდეგობა, რევოლიუციონური მოძრაობის ზრდა ინდოეთში, უკმაყოფილების ზრდა სამხრეთ-ამერიკაში, ზანგების თვითშეგნების ზრდა და ათასი სხვა სიმპტომი განა არ მოწმობს, რომ ისტორიის თხუნელა კარგად სთხრის მიწას.

კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს ყველა მშრომელს და, პირველ რიგში, ინდუსტრიალურ მუშებს—იბრძოლონ მოპოვებული პოზიციების თვითეული გოჯისათვის იბრძოლონ კაპიტალის იერიშების წინააღმდეგ. იბრძოლონ ულმობელი ექსპლოატაციის, პროლეტარიატის დამონავების, იმპერიალისტური პოლიტიკისა და ომის წინააღმდეგ. კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს ყველა მშრომელს და ჩაგრულს—დაიცვას ჩინეთის რევოლიუცია, დაიცვას იმ გმირთა დ[illegible] თავები, რომელთაც ულმობელად სცელავს ჯალათების გაუმაძღარი ხმალი.

კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს ყველა პატიოსან პროლეტარებს რათა [illegible] შემოკრბენ საბჭოთა კავშირის გარშემო, რომელსაც ემუქრება იმპერიალიზმის აღმართული ხმალი. კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს სიფხიზლისაკენ, პირდაპირ ბრძოლისაკენ. პაციფისტური ილიუზიებისა და სიცრუის წინააღმდეგ. კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს—[illegible] ყოველივე კავშირი ბურჟუაზიასთან, [illegible] მუშათა კლასის მთლიანობისაკენ, პროლეტარიატის მტრებთან დაუზოგავი ბრძოლისაკენ. ბურჟუაზიასთან სოციალ-დემოკრატიული [illegible] ანობის წინააღმდეგ, პროლეტარების კლასობრივი მთლიანობისაკენ, სოციალ-იმპერიალიზმის წინააღმდეგ კოლონიალურ მშრომელთა დახმარებისაკენ. პაციფისტური სიცრუის წინააღმდეგ, იმპერიალისტურ ომთან თავდადებული ბრძოლისაკენ.

[illegible] რეაქციისა და ფაშიზმის წინააღმდეგ,

[illegible] გაბედულ რევოლიუციისაკენ.

საბჭოთა პროლეტარულ დიქტატურას გაუმარჯოს!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

კომუნისტური ინტერნაციონალის მეექვსე კონგრესი.

[illegible] ლებს სადღეგრძელო, გენსაბჭოს წევრები—ხიკსი, პერსელი და კუკი—დანარჩენებთან ერთად არ წამოდგნენ ფეხზე და განაგრძობდნენ ჯდომას. ბანკეტის დამთავრების შემდეგ ხიკსმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა:

„გარწმუნებთ, ეს არ ნიშნავდა მისი უდიდებულესობის პირად უპატივცემლობას“-ო.

გენსაბჭოს თავმჯდომარემ ბენ-ტერნერმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხიკსის, პერსელის და კუკის საქციელს „უხერხულ“ საქციელს უწოდებს.

„მე დარწმუნებული ვარ,—განაცხადა ბენ-ტერნერმა,—რომ გენსაბჭო გაემიჯნება ამგვარი დემონსტრაციისაგან“. (ადს).

ტრედიუნიონების ყრილობის გარშემო

სუონსი, 3 სექტემბერი. მიტინგი, რომელიც ტრედიუნიონების კონგრესის გენერ[illegible] გამოაცხადა: „ყოვლად ძლიერმა ღმერთმა მოგვანიჭა უსაზღვრო მსოფლიო და ჩვენ უნდა ვისწავლოთ მისი გამოყენება“. ხიკსი გაურბოდა სიტყვის ჩამოგდებას „მრეწველობაში მშვიდობიანობის დამყარების“ შესახებ. გენერალური საბჭოს მდივანი სიტრინი გადაკვრით იცავდა მოლაპარაკებას „მშვიდობიანობის შესახებ მრეწველობაში“, თუმცა მიტინგამდე შეთანხმება მოხდა, რომ ამ საკითხს მიტინგზე ორატორები არ შეეხებოდნენ, ამავე დროს გამართულმა კომუნისტურმა მიტინგმა დიდის წარმატებით ჩაიარა მიტინგზე გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი საკლატვალა და მემაღაროეთა ლიდერი ხორნერი. ორივემ ამხილეს „მრეწველობაში მშვიდობიანობის“ შესახებ გამართული მოლაპარაკების ნამდვილი აზრი. აუდიტორიამ მათ ოვაცია გაუმართა. (ადს).

ბერლინი, [illegible] სააგენტო იუწყება:

„გამოქვეყნებულ იქნა სარეპარაციო გადასახადთა გენერალური აგენტის ანგარიში. ანგარიშში აღნიშნულია, რომ გერმანიამ სრულიად და წესიერად შეიტანა ის თანხა, რომელიც ვადიანად ითვლებოდა დაუესის გეგმის მოქმედების მეოთხე წელიწადს. გენერალურ აგენტს ფაქტიურად გადაეცა 1.746,000 ოქროს მარკა“. (ადს).

შემდეგი ეტაპი

ვარშავა, 2 სექტემბერი. ვილნოში ბელორუსიის სასკოლო საზოგადოების დაკეტვასთან დაკავშირებით „ძენიკ ვილენსკი“ სწერს:

„ხელისუფლების მოქმედება ამ საზოგადოების მიმართ უნდა ჩავთვალოთ შემდეგ ეტაპად ბელორუსიის გრომადის ლიკვიდაციის საქმეში“. (ადს).

თვითკრიტიკის გაღრმავების გზით

(საკავშ. კომპ. ცენ. საკ. კომ. პლენუმის გამო)

მას შემდეგ, რაც თვითკრიტიკა აღიარებულ იქნა ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანად, ჩვენ უკვე განვლეთ საკმაო დრო იმისათვის, რომ შევაფასოთ, თუ რა შედეგები მოგვცა საკუთარ დეფექტების წინააღმდეგ წარმოებულ მასიურმა გალაშქრებამ. საკავშირო კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის მესამე პლენუმის რეზოლიუციაში თვითკრიტიკის შესახებ ამ კითხვაზე ჩვენ ვპოულობთ სწორ და ავტორიტეტულ პასუხს.

მთავარი, რაც უნდა აღინიშნოს, როგორც თვითკრიტიკის ნაკლი, ეს არის ის, რომ თვითკრიტიკა, მიუხედავად მთელ რიგ გადამჭრელი ხასიათის ღონისძიებებისა, რომელიც მიიღო პარტიის ცენტრალურმა ორგანოებმა, ჯერ კიდევ არ გადაქცეულა ჩვენი სინამდვილის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად. იმისათვის, რომ დაძლეულ იქნას ეს ნაკლი, საჭიროა ერთხელ და კიდევ ერთხელ დაისვას საკითხი თვითკრიტიკის საქმეში მასის აქტიურად ჩაბმის შესახებ. ის, რაც გაკეთდა დღემდე ამ მიმართულებით, თავისთავად ცხადია, საკმარისად ვერ ჩაითვლება.

ბევრგან შემჩნეულია ისეთი შემთხვევებიც, როცა ჩვენი აღმშენებლობის კრიტიკას აწარმოებს მხოლოდ პრესა, ან მხოლოდ კრიტიკოსთა განსაზღვრული წრე. მაგრამ კრიტიკა მარტო ბეჭდვითი სიტყვით არ ამოიწურება. გარდა პრესისა, ჩვენ გვაქვს მშრომელი მასის ნებაყოფლობის გამომხატველი მრავალი სხვა გზები. ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, თითქოს ბეჭდვითი კრიტიკა ჩვენში სათანადო დონეზე იდგეს პირიქით, აქ ჯერ კიდევ მრავალი რამ არის გასაკეთებელი იმისათვის, რომ პრესა, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი (კედლის გაზეთები) თვითკრიტიკის ნამდვილი გამტარებელი გახდეს.

ამისათვის უნდა ამოძრავებულ იქნან მუშა და გლეხ კორესპონდენტთა რაზმები. უნდა ჩაბმულ იქნან პრესის მუშაობაში უპარტიო მშრომელი მასების ახალი ფენები.

ამასთან ერთად, რომ თვითკრიტიკა ისე არ იქნეს გაგებული, როგორც მარტო პრესის ამოცანა, საჭიროა სათანადო მუშაობის გადატანა ფაბრიკა-ქარხნებში და სოფლის ღარიბ გლეხკაცობაში. ერთ-ერთ საუკეთესო საშვალებას თვითკრიტიკის გასაშლელად წარმოება-დაწესებულებაში უნდა ჩაითვალოს საწარმოო თათბირები და ეკონომიური კომისიები. თუ თვითკრიტიკას წარსული თვეების განმავლობაში განვიხილავთ ამ მხრივ, უნდა ვაღიაროთ, რომ მდგომარეობა ოდნავათაც ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად.

საწარმოო თათბირებისადმი უყურადღებობა თითქმის საყოველთაო მოვლენას წარმოადგენს. არ სდგება საწარმოო თათბირების მუშაობის გეგმები, არ ტარდება ცხოვრებაში მუშათა წინადადებები, ხშირად არ ესწრება თათბირებს წარმოების ხელმძღვანელი ტეხნიკური პერსონალი და, თუ ესწრება, არ ღებულობს სათანადო აქტიურ მონაწილეობას საკითხების გაშუქება-დამუშავებაში და სხვა. ასეთია ბევრ შემთხვევაში ჩვენი საწარმოო თათბირების სურათი. ამის პირდაპირი შედეგი კი ის არის, რომ მუშათა მასებში იკარგება ინტერესი საწარმოო თათბირებისადმი, ეცემა მასის აქტივობა თვითკრიტიკის საქმეში.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს თვითკრიტიკის გაღრმავებისათვის მშრომელი ახალგაზრდობის მასიურად ჩაბმას ამ მოძრაობაში. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ეგრედ წოდებული „მსუბუქი კავალერიის“ იდეამ, რომელიც ასე პოპულიარული გახდა კომკავშირისა და მთელი მშრომელი ახალგაზრდობის წრეებში, ჯერ-ჯერობით ყველგან ვერ ჰპოვა სათანადო პრაქტიკული გამოხმაურება. კომკავშირის ორგანიზაციები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ ამ საკითხის მოგვარებას. კომკავშირმა და მის ირგვლივ დარაზმულ ახალგაზრდობამ თავისებური ალღოიანებით შეუპოვარი იერიში უნდა მიიტანოს ჩვენი სინამდვილის მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ. პარტია და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა სამართლიანად მოელის მისგან ასეთ გამოძახილს.

მნიშვნელოვანი ნაკლი, რომელიც ახასიათებს ჩვენს თვითკრიტიკას, მდგომარეობს აგრეთვე იმაში, რომ ზოგჯერ დეფექტების ძებნაში ვივიწყებთ იმ მიღწევებს, რომელნიც ჩვენ უთუოდ ხშირად საკმაოზე მეტი გვაქვს და რომელთა პროპაგანდასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ეძლევა ჩვენი შემდგომი წარმატებითი მუშაობისათვის. თვითკრიტიკასთან ერთად ჩვენ უნდა გვახსოვდეს საკუთარი მიღწევების გაშუქებაც. მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს საქმის ცოდნით, უფრო დამახასიათებელ მიღწევების შერჩევით, მათი გადაუჭარბებლად აღწერით და სხვა.

ადგილობრივი ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი შეცდომა, სხვათა შორის, ბევრგან იმაში მდგომარეობს, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგი გაგებულ იქნა, როგორც მორიგი კამპანია. ამიტომ იყო, რომ ზოგიერთ ადგილებში, თითქოს კიდეც მისცხრა თვითკრიტიკის ძლიერი ტალღა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ლოზუნგის გამოცხადების პირველ ხანებში. ბევრგან თვითკრიტიკას „ყური შეაჩვიეს“.

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმს ეს ნაკლი აღუნიშნავი არ დარჩენია. თავის რეზოლიუციაში თვითკრიტიკის შესახებ აღნიშნული პლენუმი ხაზგასმით ამბობს, რომ თვითკრიტიკა არ არის მორიგი კამპანია, ის წარმოადგენს ჩვენს ერთ-ერთ მუდმივ მთავარ ამოცანას. ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის ეს გადაწყვეტილება მტკიცედ უნდა დავიხსომოთ და აქედან სათანადო პრაქტიკული დასკვნა გავაკეთოთ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს მუშა-პროპაგანდისტების კურსებზე ჩაწერილთ, ამა წლ. 4 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე გამოცხადდნენ საორგანიზაციო კრებაზე თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ცენტრ. პარტკაბინეტში.

„თბილისის კომიტეტთან არსებულ უნივერსიტეტისათვის მოსამზადებელ კურსების ა. ლ. კ. კ. უჯრედების ყველა წევრები და კანდიდატები ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტში 2 სექტემბერს, საღამოს სრულ 4 საათზე დაუგვიანებლივ.

ბიურო კოლექტივის პ. მგებელი მდივანი დ. კვანტალიანი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის „26 კომისრის“ სახელობის რაიონული კომიტეტი აცხადებს, რომ ორშაბათს, 3 სექტემბერს საღამოს 5 საათზე რაიონული კომიტეტის სადგომში შედგება რაიონული კომიტეტის მიმდები კომისიის სხდომა. ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

1) მაკრუი ბაბაიანი, 2) ანდრონიკ კეროპიანი, 3) პავლე ფრომიანი, 4) მიხეილ მერაბიშვილი, 5) სედრაკ შარუმოვი, 6) გიორგი პეტრიანი, 7) არტაშ მანუკოვი; 8) სერგი არუთიუნიანი, 9) მიხეილ პიატიბრატი, 10) ქაჯირატ ტოპასიევი, 11) ისააკ ირემაშვილი, 12) ყაზარ ქსოვრელი, 13) გრიგოლ ზალიევი, 14) ალექსანდრე მაირატი; 15) მიხეილ სალნიკოვი, 16) მარო ჩერქეზიშვილი, 17) აიკაზ შაბუიანი, 18) აველის სრობიანი, 19) მათე ბალახტიდუნაშვილი, 22) აკაკი ტაბიძე; 23) სერგო ადამოვი, 24) გაბრიელ შამალაშვილი; 25) ერვანდ მურადოვი, 26) ლიუსია ჯალალოვა, 27) ჰაიკ გასპარიანი; 28) არუსიაკ ტოროსიანი; 29) გიორგი გორგიჯანოვი; 30) შალვა მარგიშვილი, 13) ალექსი ორთანეზოვი, 32) გიორგი კარაკოზოვი, 33) აშოტ დედეიანი; 34) იოსებ დანგიაშვილი, 35) ირაკლი ჩოფიკაშვილი, 36) ერვანდ გრიგორიანი; 37) დიმიტრი ქიტიანი; 38) ერვანდ დავიდოვი, 39) ისაი კარავაევი; 40) გრიგოლ ხუციშვილი; 41) სერგო ტოოიანი; 42) სარქის ქსოვრელი; 43) არშენ კაზაროვი; 44) აკაკი სიორდია. 45) ივანე ელიავა; 46) ზაქარია ჩერქეზიშვილი, 47) აშოტ სტეპანიანი, 48) ივანე ბახუტაშვილი, 49) ამბროსი ქურდობაძე; 50) პეტროს ამირხანოვი; 51) სოკრატ ქურთიშვილი; 52) არკადი ყორღანოვი, 53) მიხეილ ვართანოვი 54) იოსებ ასლანიშვილი, 55) აირაპეტ გაბრიელიანი, 56) აშოტ სეროპიანი, 57) ანნა ძამურაშვილი, 58) მიხეილ კორშენოვი; 59) სურენ სუმბატიანი, 60) გიორგი ნათიძე; 61) სტეფან ბაიადაშვილი, 62) მკრტიჩ ტერტეროვი; 63) მარიამ მიხიან; 64) ივანე სეხნიაშვილი; 65) აიეტიკ შამაროვი. 66) ზარმაირ შაინოვი; 67) ქსენია კელობერია; 68) ნესტორ ხუბაევი; 69) შალვა ზარდალიშვილი, 70) რუბენ ფირუმოვი; 71) გიორგი სარქისოვი; 72) ანდრია ბაიდაკა, 73) გიორგი ფაილაძე, 74) შოთა ჩოფიკაშვილი; 75) ალექსი ბელოპუხოვი; 76) შალვა მამრიკიშვილი, 77) ზაქარია ბერიკაშვილი; 78) გიორგი სოლოლაშვილი; 79) ტიგრან ეპისტროსოვი, 80) გიორგი გიგიაშვილი.

გარდაიცვალა

ერისტო მიხეილის-ძე ქავთარაძე

რასაც მწუხარებით აცხადებენ მეუღლე მატო, შვილები: მიხეილი და ალექსანდრე და ძმისშვილები გიორგი და ანდრია ქავთარაძეები ცოლ-შვილებით. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე კვირას, 2 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე. რუსთაველის გამზ. № 30.

4003

ს.ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა

ცირკულიარულად

ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატი აცხადებს სიას სახელმძღვანელოებისას, რომლები ც სკოლებში სავალდებულო სახმარებლადაა მიღებული. ამასთანავე კომისარიატი აცხადებს სკოლების წარმძღვანელთა და მასწავლებელთა საყურადღებოდ, რომ სასტიკად აკრძალულია იმ სახელმძღვანელოების შემოღება, რომლებიც არაა მოთავსებული ამ სიაში.

განათლების სახალხო კომისარი **დ. კანდელაკი.**

სახელმძღვანელოები

შრომის სკოლის ყველა საფეხურების და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისათვის [1]

პირველი ჯგუფი

1. ვ. ძიძიგური, ალ. გვახარია და აკ. გვახარია—„პირველი წიგნი“ ნაწ. I.
2. ვ. ძიძიგური ალ. და აკ. გვახარია— „პირველი წიგნი“ ნაწ. II.
3. ტ. ზაალიშვილი—„ვისწავლოთ“. ნაწ. I.
4. ტ. ზაალიშვილი—„ვისწავლოთ“ ნაწ. II.
5. ბურჯანაძე, ბოცვაძე, ჩიხლაძე—„ ხალი წიგნი“ ნაწ. I.
6. ბურჯანაძე, ბოცვაძე, ჩიხლაძე—„ „ახალი წიგნი“ ნაწ. II.
7. მოძრავი ანბანი.

(1–6: ერთი ამათგანი)

მეორე ჯგუფი

8. ნ. ძიძიგური და კ. აფხაძე—„ჩირაღდანი“.
9. ტ. ზაალიშვილი—„ნაკადული“.
10. დიდია და ლაზრიშვილი—„ჩვენი შრომა“.
11. გ. ბურჭულაძე—მათემატიკის სამუშაო წიგნი
12. მგელაძე, შაფაქიძე და კვინიკაძე— არითმეტიკა შრ. სკოლაში.

(8–10: ერთი ამათგანი; 11–12: ერთი ამათგაი)

მესამე ჯგუფი

13. გ. ჭუმბურიძე და გ. ბურჭულაძე. —„ჩვენი სოფელი“.
14. ნ. კეცხოველი, შ. თაბუკაშვილი, შარაშიძე—„ახალი სოფელი“.
15. მასწავლებელთა ჯგუფი—ჩვენი მხარე (ქალაქის სკოლებისათვის).
16. ოცხელი და წულუკიძე—ამოცანათა კრებული.
17. ა. ხარაბაძე—მათემატიკური ამოცანები
18. ს. ფურცელაძე—„Живая струйка“. მე-3 და მე-4 ჯგ.
19. ნ. მისაბიშვილი და წულუკიძე—„Новый мир“.
20. დ. დონდუა—გეოგრაფიის რვეული ნაწ. I.

(13–14: ერთი ამათგანი; 16–17: ერთი ამათგანი; 18–19: ერთი ამათგანი)

მეოთხე ჯგუფი

21. ნ. კეცხოველი, შ. თაბუკაშვილი, შარაშიძე—„ჩვენი კავშირი“.
22. გ. ჭუმბურიძე—„თაიგული“.
23. ს. ლორთქიფანიძე, და ა. ხარაბაძე—მათემატიკის ამოცანათა კრებული.
24. ოცხელი და წულუკიძე—მათემატიკურ ამოცანათა კრებული.
25. დ. დონდუა—„წყარო“.
26. ნ. მისაბიშვილი—„Новый мир“.
27. ს. ფურცელაძე—„Живая струйка“.
28. ნ. შაფაქიძე—თვალსაჩინო პრაქტიკული გეომეტრია—ნაწ. I.
29. დ. დონდუა—გეოგრაფიის რვეული ნაწ. II.

(21–22: ერთი ამათგანი; 23–24: ერთი ამათგანი; 26–27: ერთი ამათგანი)

დამხმარე წიგნები მოწაფეთათვის

1. ლუნკევიჩი—პირველყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრება.
2. ფერაძე და სიხარულიძე—ენის დაკვირვება.

მეხუთე ჯგუფი

(სოფლის ახალგაზრდობის სკოლის 1 ჯგ.).

30. ვ. რუხაძე და გომელაური—„სხივი“.
31. ი. ნიკოლაიშვილი—ქართ. ენის პრაქტიკული გრამატიკა.
32. ს. ფურცელაძე—„Русская Речь“. 33. თ. ჭუმბურიძე—საზოგადოებათმეცნიერება.
34. ა. ხარაბაძე—მათემატიკურ ამოცანათა კრებული.
35. გ. ბურჭულაძე—სამუშაო წიგნი მათემატიკაში.
36. ნ. შაფაქიძე—თვალსაჩინო პრაქტიკული გეომეტრია ნაწ. II.
37. ნ. კეცხოველი—ბუნება და სოფლის მეურნეობა.
38. ს. იაშვილი—ბოტანიკა.
39. მუჯირი—არაორგანიული ბუნება.
40. პოლოვცევი—პრაქტიკული ვარჯიშობანი ბოტანიკაში (თარგმ.).
41. გაჩეჩილაძე—მეტეოროლოგია (მხოლოდ სოფლის ახალ. სკოლებისათ.).

დამხმარე წიგნები მოწაფეთათვის

1. აგრ. ნაკაშიძე—სიმინდის ჩრჩილი.
2. აგრ. ნაკაშიძე—თხილი, მისი გაშენება და მოვლა.
3. თვალჭრელიძე—ციტრუსნაირთა კულტურა.
4. ნაკაშიძე—ჩაის ბუჩქი, მისი გაშენება და მოვლა.
5. იაკოვლევი—მეცნიერება მიწის წარმოშობის შესახებ.
6. მალინინი—ქვეყნიერების ისტორია.
7. ტ. თაბუკაშვილი—სასვენი ნიშნები.
8. უჩანეიშვილი—საქართველოს ისტორია.
9. ჯიშკარიანი—წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი.

მეექვსე ჯგუფი

სოფლის ახალ სკ. მე-II ჯგ.)

42. ს. გორგაძე და შ. თაბუკაშვილი— „ახალი მნათობი“.
43. ს. ფურცელაძე—„Русская Речь“. (6-7)
44. ი. ნიკოლაიშვილი—ქართული ენის პრაქტიკული გრამატ
45. თ. ჭუმბურიძე—საზოგ. მეცნიერება.
46. ა. ხარაბაძე—მათემატ. ამოცანები (6—7).
47. კ. ბერიძე და კორძახია—სამუშაო წიგნი მათემატიკ
48. ნ. შაფაქიძე—თვალსაჩინო პრაქტიკული გეომეტრია
49. გაჩეჩილაძე—მეტეოროლოგია (დამატებით სოფლის
50. შ. კლიმიაშვილი—საქართველოს გეოგრაფია.
51. ს. იაშვილი—საბჭოთა კავშირის გეოგრაფია.
52. ა. ჯავახიშვილი—გეოგრაფიის რვეული.
53. ქუთათელაძე—ზოოლოგია.

დამხმარე წიგნები მოწაფეთათვის

1. ქავთარაძე—ახალგაზრდა ბუნების მეტყველების თანამგზავრნი.
2. ქავთარაძე—ბუნება სკოლაში და სახლში.
3. ვ. ივანოვი—მელორეობა.
4. კონგე—მაკე საქონელი.
5. ჩირაძე—მეფრინველეობა.
6. გედევანიშვილი—მესაქონლეობა.
7. მახარაძე—სვანეთი.
8. ყავრიშვილი—სვანეთი.
9. ე. გაბლიანი—თავისუფალი სვანეთი ნაწ. I.
10. ე. გაბლიანი—თავისუფალი სვანეთი ნაწ. II.

მეშვიდე ჯგუფი

(სოფლის ახალ. სკოლის მე-3 ჯგ.)

54. ს. გორგაძე, ვ. ხუროძე, შ. თაბუკაშვილი—„ტალღები“.
55. თ. ჭუმბურიძე—საზ. მეცნიერება.
56. ს. იაშვილი—მსოფლიო მოკლე გეოგრაფია
57. ბ. ყავრიშვილი—ევროპა.
58. ჩუბინიძე—ადამიანის ანატომია, ჰიგიენა და ფიზიოლოგია.
59. ა. ხარაბაძე—მათემატიკური ამოცანები (6—7 ჯგ.).
60. ბერიძე—კორძახია—სამუშაო წიგნი მათემატიკაში (6—7).
61. ს. ფურცელაძე—„Русская Речь“ (6—7 ჯგ.).
62. ი. გაჩეჩილაძე—მეტეოროლოგია მხოლოდ სოფლ. ახალ. სკოლისათვის).

დამხმარე წიგნები მოწაფეთათვის

1. ი. გომართელი—თავის მოვლა.
2. როსტომაშვილი—ცოტა რამ ჩინეთზე.
3. ქავთარაძე—ბუნება სკოლასა და სახლში.
4. მახარაძე—1905 წელი (ქართულად)
5. ლენინი—ოქტომბერი.
6. ლენინი—ოქტომბრისაკენ.
7. ლენინი—ოქტომბრის შეფასება.
8. ლენინი—შეინარჩუნებენ თუ არა ძალას ბოლშევიკები.
9. სტალინი—ოქტომბერი—მსოფლიო ჩირაღდანი.
10. უჩანეიშვილი—საქართვ. ისტორია

მერვე ჯგუფი

63. ს. გორგაძე—ჩვენი ძველი მწერლობა და ახალი პოეზია.
64. მასწ. ჯგუფი—ახალი ქართული ქრესტომატია გ. II.
65. ბერეჟიანი და ყიფშიძე—ფიზიკური გეოგრაფია.
66. მენი და ტვისი—ფიზიკა გ. I (სისტ. კურსი).
67. საზონოვი და ვერხოვსკი—ქიმიის სახელმძღვანელო.
68. კისელიოვი—ალგებრა (თარგმანი)
69. კ. სულაქველიძე—სწორწიროვანი ტრიგონომეტრია.
70. ა. ხარაბაძე და დევიძე—სწორწიროვანი ტრიგონომეტრია.
71. კანდელაკი—ლოღიკური გეომეტრია.
72. ს. მაკალათია—საზოგადოებრივ ფორმათა განვითარების ისტორია.
73. ტარასოვი—საზ. მეცნიერება გ. II. ნაწ. I.
74. ჩხენკელი ბიოლოგია.
75. ჭავჭანიძე—ბიოლოგია.
76. თ. ჭუმბურიძე—საზ. მეცნიერება.

(69–70: ერთი ამათგანი; 75–76: ერთი ამათგანი)

დამხმარე წიგნები მოწაფეთათვის

1. ჯიშკარიანი—ტრიგონომეტრია.
2. იაკოვლევი—მეცნიერება მიწის წარმოშობის შესახებ
3. მალინინი—ქვეყნიერების ისტორია.
4. ფ. მახარაძე—თხზულებანი ტ. 1, 2, 3, 4, 5, 6.
5. გ. გიორგაძე—ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში
6. რაჭველიშვილი—საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია.
7. ლუკინი—დასავლეთ ევროპის ისტორია.
8. ტ. თაბუკაშვილი—სასვენი ნიშნები
9. ი. ბეგიაშვილი—ქართული ლიტ. ისტორია ტ. I.
10. ბუბლიკოვი—ბიოლოგიური საუბრები.

მეცხრე ჯგუფი

85. საზანოვი და ვერხოვსკი—ქიმიის სახელმძღვანელო.
86. ჭავჭანიძე—ბიოლოგია.
87. ჩხენკელი—ბიოლოგია.
88. დ. გვაზავა და ვ. ბახტაძე—კლასთა ბრძოლის ისტორია.
89. კისელიოვი—ალგებრა.

(86–87: ერთი ამათ განი)

დამხმარე წიგნები მოწაფეთათვის

1. ბუბლიკოვი—ბიოლოგიური საუბრები.
2. ვ. კანდელაკი—ტრუდ ი ზნანიე.
3. ჯიშკარიანი—ტრიგონომეტრია.
4. ხორაბინი—მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფია.
5. დევდარიანი გ.—კომკავშირის საოცნებებთან.
6. მისივე—ნარკვევი კომკავშირის ისტორიიდან.
7. მახარაძე—1905 წელი (ქართულად)
8. მახარაძე—1905 წელი (რუსულად)
9. მახარაძე—საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლ. საქართველოში.
10. „ —საქართველოს კომპარტიის ისტორიისათვის
11. ლენინი—ოქტომბერი.
12. ლენინი—ოქტომბრისაკენ.
13. ლენინი—ოქტომბრის შეფასება.
14. ლენინი—შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები ხელისუფლებას.
15. სტალინი—ოქტომბერი—მსოფლიო ჩირაღდანი.
16. ფ. მახარაძე—თხზულებანი ტ. ტ. 1, 2, 3, 4, 5, 6.
17. ბუხარინი—ისტორიული მატერიალიზმი.
18. მოტილოვი—პოლიტეკონომია.
19. სტუჩკა—საბჭოთა კონსტიტუცია.
20. თ. ბეგიაშვილი—ქართული ლიტ. ისტორია II.
21. ვ. ხუროძე—ქართული ლიტერატურის თემატიკური განხილვა.
22. გ. წერეთელი—ალგებრა.

პედაგოგიური განხრის ცხრაწლედისათვის

1. კორნილოვი—ფსიქოლოგია (სახელმძ.).
2. კორნილოვი—სკოლის ასაკამდე ბავშვის ყოფა-ცხოვრება (სახელმძ.).
3. პინკევიჩი—ბუნებისმეტყველების მეთოდიკა (სახელმძ.).
4. წულუკიძე, მაჩაბელი და ი. ერისთავი—წერა-კითხვა საბავშო ბაღში.
5. უნაფქოშვილი—ბუნება საბავშო ბაღში
6. მასწავლებლის თანამგზავრი (კრებული).
7. სკოლის ასაკამდე აღზრდა (კრებული მ. პ. ორახელაშვილის რედ.).
8. გ. დევდარიანი—პედოლოგია (სახელმძ).
9. ვ. კაპანაძე—პედოლოგია (სახელმძ.).
10. პინკევიჩი—პედაგოგიკა ტ. II. შრომის სკოლა.
11. პაილი—ფსიქოლოგიის გამოყენება სწავლებაში.
12. მასწავლ. ჯგუფი—Методическое руководство. გეკკერის რედაქტორობით.
13. ბილიბინა და წერეთელი—Русский яз. в груз. школе (Методика).
14. გ. ბურჭულაძე—არითმეტიკა შრომის სკოლაში (მეთოდიკა).
15. ეგნატაშვილი—ფიზიკური აღზრდა შრომის სკოლაში
16. ს. გოგლიჩიძე—საბავშო მოძრავი თამაშობანი.

სასოფლო სამეურნეო განხრა

1. გორთამაშვილი—მებაღეობა.
2. გორთამაშვილი.—მებოსტნეობა.
3. ქიქოძე—მევენახეობა.
4. ბელსკი—სასოფლო-სამეურნეო ჰიდროტექნიკა.
5. ივანოვი—მეღორეობა.
6. კონგე—მაკე საქონელი.
7. ნაკაშიძე—სიმინდის ჩრჩილი.
8. ნაკაშიძე—ჩაის ბუჩქი, მისი გაშენება და მოვლა.
9. ნაკაშიძე—თხილი და მისი გაშენება
10. თვალჭრელიძე—ციტრუსნაირთა კულტურა.
11. ჩირაძე—მეფრინველეობა.
12. გედევანიშვილი—მესაქონლეობა.
13. სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკა (მეურნეობის ყველა დარგიდან). 100 წიგნაკი. „კავკასიონის“ გამოცემა.
14. იაშვილი—სასოფლო-სამეურნეო წრე.

კოოპერატიული და საბჭოთა ადმინისტრატიული განხრები

1. მასლოვი—კოოპერაციის საფუძვლები.
2. კორნეევი—კოოპერაციის ისტორია.

განათლების სახალხო კომისარი დ.

სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობის გამგის მ

დ.

სახელგამის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ს.

სახელგამის საგამომცემლო განყოფ. გამგე ნ. მიწიშვ

ლებსაც წინ მოუძღოდა ამხ. ა, ალა მალი-ოღლი, ლ. ღოღო ალაფუზო, ჯავახიშვილი, ვ. ძე ლ. აბაშიძე და სხ.

გებში.

მისალმების შემდეგ გაიმართა ბლლუმი. კურს დამთავრებულებმა მთავრობის წევრების წინ გაიარეს ცერემონიალური მარშით.

ქოს პლენუმზე საყოველთაო არჩევნო კამპანიის დროს. აგრეთვე სარევიზიო კომისიის წევრები არჩეული უნდა იქნენ არა საარჩევნო კრებებზე, როგორც ეს დღემდე ხდებოდა, არამედ საბჭოების პირველ სხდომაზე საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან.

შესრულების მიზნით, თქვენ ბით უნდა გაეცნოთ ინფორმაციას სესხის რეალიზაციის კამპანიის მსვლელობის შეხახებ, ხელის მოწერის, გადახდის ვადის პირობების. და სხვ. შესახებ. ამ ინფორმაციის საფუძველზე საჭიროა აქტიური განმარტებითი

საჭიროა განუმარტოთ ულარიბეს გლეხობა, რისთვისაც ფართოდ უნდა გამოიყენოთ არსებულ გაერთიანებათა და კოლექტიური მეურნეობათა გამოცდილება და მიღწევანი. თქვენს ენერგიაზე და მუშათა და გლეხთ

ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, აგვისტოს დამლევისათვის ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე ხელის მოწერით შეგროვილი იყო დაახლოებით 1.000.000 მანეთი.

რაბი ჰიბრალტარის ქვეშ

ისის ციხე-სიმაგრეს ჰიბრალტარში სა. მოელის. ინგლისთან „მეგობრული“ ერთობა ხელს არ უშლის საფრანგეთს თში აწარმოოს აგიტაცია ჰიბრალტა ვეშ გვირაბის გაყვანის სასარგებლოდ. ნელ ხანებში ამ საკითხზე გაცხოველი მსჯელობაა, როგორც ესპანეთში, საფრანგეთში. დიდი ყურადღება დაიმსა გვირაბის პროექტმა, რომელიც ესპა ინჟინერ პედრო ხევენოიზს ეკუთვნის. რილს საფრანგეთის სამეცნიერო აკადე ვტორის თანდასწრებით გაკეთებულ მოხსენება ამ პროექტის შესახებ. 7 ივ კი ესპანეთში დაარსდა მთავრობის ოფი ური კომიტეტი პროექტის შესასწავლად. რე მხრივ ამ პროექტზე უკვე 1908 ან მუშაობს ინჟინერი კ. იბანიეს იბერო, ლიც თავის ფრანგულ ბროშურაში (1927 გამოვიდა ქ. კორდოვაში) გვირაბის გა ხარჯებს 330 მილიონი ფრანკით გან რავს. გაზ. „ინფორმასიონეს“-მა მოე საუბარი ინჟ. იბეროსთან, რომელმაც ა გვირაბის გაყვანის მნიშვნელობა სა და ეკონომიური თვალსაზრისით. ურ სიძნელეების გამო შეუძლებელი გვირაბის გაყვანა უმოკლესი გზით— ლმესისა და სირისის კონცხს შუა, წყლის სიღრმე 900 მეტრს უდ ტეროსის სრუტიდან აფრიკის ნაპირე გაყვანილი გვირაბი კი გაივლის 396 სიღრმეზე და მისი სიგრძე იქნება 40 ტრი. იბეროს პროექტით დაინტერესე რიან იტალიისა და საფრანგეთის სა პალატები. სამხედრო და სამეცნიერო იდან ამ პროექტისადმი დიდ ინტერესს მ. დალლემანი, გენერალი პერიე, ად ფურნიე, ფიზიკოსი ჟ. კლოდი ა.

ბის საკითხს გაცხოველებით იხილავს საფრანგეთისა და ესპანეთის გაზეთებ კითხს მთელი რიგი წერილები და მე ი უძღვნეს.

ბის გაყვანას დასჭირდება ხუთი წე ა. (ამ ვადაში არ შედის მოსამზადე სამუშაოების შესასრულებლად საჭირო

ბის გაყვანა ძირს გამოუთხრის ინგლი ტონობას ჰიბრალტარში (კონტროლი ოაზე ამ სრუტეთ) და მჭიდროდ დაა ებს ესპანეთ-საფრანგეთს, გააღვივებს ხედრო თანამშრომლობას აფრიკის სა ებზე. ამით აიხსნება ის დიდი ინტერე ელსაც საფრანგეთის იმპერიალისტუ ბი იჩენენ გვირაბისადმი.

ის იმპერიალისტური წრეების ფა ახვები გვირაბის გაყვანასთან დაკა ნათლად გამომჟღავნდა ჟურნალ ენ აფრიკა“-ს წერილში, „გვირაბის დროს,—სწერს ჟურნალი,—მაროკოს ალუზიის (ესპანეთის პროვინცია) გაგრძელებად გადაიქცევა. გვირა ანა უაზრობა გახდის პოზიციას ჰიბ ისას, რომელსაც ფლობს ინგლისი, უკანასკნელი განუყრელად კი არ ბა რუტეზე, არამედ იყოფს ამ ბატოთა ნეთის სრუტესთან. სრულის საფუძვ ეიძლება ვთქვათ, რომ თუ გვირაბი იქნა, ინგლისს შეეძლება მეტოქით გდეს სადმე სხვა ადგილას“.

ა. ბ.

ცხოველთა სიცოცხლის ხანგრძლივობა

ცნობილია, რომ ზოგიერთი ცხოველები ცხოვრობენ გაცილებით მეტ ხანს ვიდრე ადამიანი. განსაკუთრებით დიდ ხანს ცოცხლობენ კუები. ერთი კუს შესახებ (რომელიც უკითვნის (Testuo daudinii-ს სახეობას) ცნობილია, რომ იცოცხლა სამხეცეში 150 წელი, თუმცა დაჭერილი იყო არა ახალგაზრდა. საყურადღებოა, რომ ცხოველებს, რომლებიც ცნობილნი არიან თავიანთი სიცოცხლის ხანგრძლივობით, ეკუთვნიან მრავალი ფრინველები, თუმცა უნდა ვფიქრობდეთ, რომ შედარებით მაღალი ტემპერატურა ფრინველთა სხეულის და მათი სწრაფი მოძრაობანი სწორედ უნდა ამოკლებდნენ მათ სიცოცხლეს. საკითხი იმის შესახებ, თუ რა ახდენს გავლენას ცხოველთა სიცოცხლის ხანგრძლივობაზედ, ჯერ კიდევ გამოურკვეველია. ყოველ შემთხვევაში ამაზედ არავითარ გავლენას არ ახდენს საკვები, რაც შვენივრად ჩანს ფრინველთა მაგალითიდან. სახელდობრ: ყვავი ცოცხლობს 100 წელზე მეტს, კაჭკაჭი კი, რომლის საკვები ცოტათი განირჩევა ყვავის საკვებიდან, ცხოვრობს 25 წელს. სიცოცხლის განსაკუთრებული ხანგრძლივობით ცნობილნი არიან აგრეთვე მტაცებელი ფრინველნი. არწივი ცხოვრობს 100 წ. მეტს და ერთმა ქორმა იცოცხლა სამხეცეში 162 წელი. ცნობილია აგრეთვე თუთიყუშთა სიცოცხლის ხანგრძლივობა. ამ მხრივ საინტერესო არის ერთი მწვანე თუთიყუში, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინად მოკვდა 117 წლის.

—ლი.

ავტომობილებით უდაბნოში

მორისის საავტომობილო ფირმის (ბირმინგამი, ინგლისი) ორმა ავტომობილმა გაიარა უდაბნო კალახარი (ცენტრალურ აზიაში) როდეზიასა და ბეჩუნალენდს შორის. ეს მოგზაურობა დიდ დაბრკოლებებთან იყო დაკავშირებული. საბარგო ავტომობილებს მოუხდათ გავლა სილის გორებში, ბუჩქნარებში, ტერიტორიით, სადაც წვეთი წყალი არ მოიძებნებოდა. ასეთ პირობებში ავტომობილებმა 600 კილომეტრი გაიარეს 12 დღეში. უდაბნოს ამ გადალახვას საბარგო ავტომობილით ინგლისის საავტომობილო წრეები თვლიან ინგლისის ავტომრეწველობის დიდ გამარჯვებად. მორისის ფირმის საბარგო ავტომობილები სპეციალურად უდაბნოში სავალად დამზადებული.

უდიდესი დირიჟაბლი



ამ რამდენიმე ხნის წინად გერმანიაში მოხდა ახალი საჰაერო გიგანტის ცეპპელინის „L 127“-ს «ნათლობა“. ეს საჰაერო გემი გერმანიის მთავრობამ დაუთმო მეცნიერთა საერთაშორისო არქტიულ საზოგადოებას მომავალ წელში ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ გაფრენის მოსაწყობად. ხსენებული საზოგადოება იწარმოებს არქტიკის—ჩრდ. პოლიუსის გარშემო მდებარე ქვეყნების შესწავლას.

ცეპპელინ-გიგანტი დამზადებულია ალიუმინიდან ლენინგრადში სწარმოებს მზადება ცეპპელინის გასაფრენად. საცდელი გაფრენა მოხდება მარშრუტით: გერმანია-ლენინგრადი ვლადივოსტოკი-ამერიკა.

ელექტრო-ენერგიის ექსპორტი და იმპორტი

ელექტროდადგმულობათა გაუმჯობესება შესაძლებლად ხდის ელექტრო-ენერგიის გადაცემას მეტად დიდ მანძილზე.

ამერიკაში უკვე ახლა არის წარმოებები, რომლებიც ელექტრო-ენერგიას იღებენ 450-500 კილომეტრით დაშორებულ ელექტრო სადგურებიდან.

ელექტრო-ენერგიის გადაცემამ შორ მანძილზე ზოგ ქვეყნებში შესაძლებელი გახადა მისი გადაქცევა საგარეო ვაჭრობის საგნად. აღსანიშნავია, რომ ელექტრო-ენერგიის ექსპორტი (გატანა სხვა ქვეყნებში) ყოველდღიურად მატულობს.

ასე მაგალითად, შვეიცარიას 1923 წ. მეზობელ ქვეყნებში (იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში) გაჰქონდა 462 მილიონი კილოვატ-საათი ენერგია (კილოვატ-საათი—ენერგიის ის რაოდენობა, რომელსაც ერთ კილოვატიანი ელექტრო-მანქანა იძლევა საათის განმავლობაში), 1926 წ. კი—854 მილიონი, ე. ი. 3 წლის განმავლობაში გაორკეცა ელექტრო-ენერგიის ექსპორტი.

კანადას 1923 წ. შეერთებულ შტატებში გაჰქონდა 1,055 მილიონი კილოვატ-საათი ენერგია, 1926 წ. კი—1.359 მილიონი.

უკანასკნელ ხანებში გერმანულმა „რეინ-ვესტფალიის ელექტრონის საზოგადოებამ“ ხელი მოჰკიდა ავსტრიის მდინარეთა ენერგიის გაძლიერებულ ექსპლოატაციას და განზრახვა აქვს ელექტრონის ენერგია „გაიტანოს“ დასავლეთ გერმანიაში და ბავარიაში.

ვინაიდან ელექტრო-ენერგიის მომარაგებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, დაინტერესებულ სახელმწიფოთა მთავრობები იძულებული ხდებიან ჩაერიონ კერძო ელექტრონულ საზოგადოებათა მუშაობაში.

ასე მაგალითად, საფრანგეთში 1919 წლიდან ელექტრო-ენერგიის „გატანა“ შესაძლებელია მხოლოდ მთავრობის განსაკუთრებული ნებართვით, 1927 წ. აგვისტოდან კი დაწესებულია საბაჟო გადასახადი შემოტანილ ენერგიაზე.

იტალიაშიც 1927 წლიდან შემოღებულია კანონი, რომელიც კრძალავს ელექტრო-ენერგიის „გატანას“ და შემოტანას მთავრობის ნებართვის გარეშე, შემოტანილ ენერგიაზე კი დაწესებულია ბაჟი 25 კაპ. რაოდენობით კილოვატ-საათზე.

1923 წ. წამოიჭრა საკითხი დანიის მომარაგების შესახებ ელექტრო-ენერგიით ნორვეგიიდან. რადგან კაბელის გაყვანა ზღვით (სკაგერაკის სრუტით) დიდ მანძილზე (120 კილომეტრი) დიდ სიძნელეს წარმოადგენს, ორივე ქვეყნის მთავრობამ სთხოვა შვეციის მთავრობას ნება დაერთო, რომ ელექტრო-ენერგია ნორვეგიიდან უბაჟოდ ყოფილიყო გადაზიდული შვეციის ტერიტორიით (ზუნდის ყურისკენ). მაგრამ შვეციამ ასეთი ნებართვა არ მისცა, რადგან 1914 წლიდან დაწყებული თვით მას გააქვს ელექტრო-ენერგია დანიაში და ნორვეგიის მეტოქეობის ეშინია.

შენობა შუშიდან და ბეტონიდან

ამ რამოდენიმე ხნის წინად ნიუ-იორკში დასრულდა აგება შენობის, რომელიც იმით არის შესანიშნავი, რომ მის მშენებლებს სრულიად არ უსარგებლიათ ხის მასალით. მთავარ საამშენებლო მასალას წარმოადგენდა ფოლადი და ბეტონი. რკინის ბოძებიდან მოამზადეს შენობის ჩონჩხი, რომელიც შემდეგ ბე ტონით გა ბის აგებაში შუშამ. შენობის მთელი არ ტურა—ჩარჩოები, კარები და სხვ.—დამზა ბულია ბაკელიტიდან, ახლად აღმოჩენილ სალიდან, რომელსაც ახასიათებს მსუბუქი ნა, სიმაგრე და ადვილად დამუშავების თ სება. ბაკელიტს შეიძლება მიეცეს ყოველ

სამხედრო ტექნიკა

თანამედროვე [illegible] ატილერია



სურ. 1.—სანაპირო თავდაცვის ზარბაზანი, დადგმული მოძრავ სარკინიგზო პლატფორმაზე. ზარბაზანი იმნაირად არის დადგმული, რომ მისი საშუალებით შესაძლებელია ყუმბარების დაშენა როგორც გემებისათვის, ისე აეროპლანებისათვის: სურ. 2 და 6—დიდყალიბიანი საზენიტო (აეროპლანებისათვის სასროლი) ზარბაზანი, ზევით—დაშლილი სახით, ქვევით—გამზადებული აეროპლანისათვის სასროლად. სურ. 4—მანქანა, რომელიც ავტომატიურად არკვევს სიმაღლეს და მანძილს, რომელზედაც იმყოფება მტრის აეროპლანი, სიჩ [illegible] [illegible] აეროპლანების საწინააღმდეგო სამდიუმმიანი ზარბაზანი. ისვრის 27 ყუმბარას საათში, სროლის მანძილი—7.000 მ. სურ. 6—აეროპლანების საწინააღმდეგო ოთხმაგი ტყვიისმფრქვეველი, იძლევა 2.000 გასროლას წუთში.

სახელმწიფოს კინოები		
ბანთიადი	ამერიკელი ქალის თავგადასავალი 5 და 6 სერიები	
საზაფხულო ეთერი	ჭირვეული ცოლი	
საზაფხულო დარბაზი	ორი მეგობარი, მოდელი და მეგობარი ქალი	
საზაფხულო პალასი	ატლანტიდა	
პროლეტარი ავლაბარი	ზღვის გმირი 1 და 2 სერია ერთად	

ახალი: მალე საზღვარ გარეთის მხატვრული ფილმი „ნიპტუნი“

კინო-ეთერი

სეზონის საუკეთესო სურათი

პურგა

რეჟისორი საბინსკი

მონაწილეობენ: ბორონიხინი, მავიერინი, და სხვ.

ორშაბათიდან 3 სექტემბრიდან

სიმებიანი ორკესტრი

კინო-და

მხატვრულ

შავი

მსახიობი ქა.

ტანია

მონაწილ

დაკარგა: მეტრიკული ამონაწერი, სოციალური მდგომარეობის მოწმობა და თბილისის რკინ. გზის 4 შრომის სკოლის მე-5 ჯგუფის მოწმობა თამარა მიხეილის ასულის ჯაჯაას სახელზე, ჩ. გ. 3996

დაკარგა: სამხედრო საღრიცხვო ბარათი ფორმა № 4 და ა. ლ. კ. კ წიგნაკი № 6016, შალვა ქობესაშვილის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგა: მატრიკული № 1527, სახ. უნ. ლევან აბდუშელიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3998

დაკარგა: სამხედრ განკი ფორმა № 4, № სოლომონის-ძე ნუცუბ ჩ. გ.

დაკარგა: მუშკო 10336 ვლადიმერ დან ჩ. გ.